პალიტრა მედია

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
10 აპრილი **ხუთშაბათი** 2014
**№068 (14 289)** ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

80

აპრილში ლელო იუბილარია

# რავარია ბავარია?!



# არც შიში არც რიდი, გავიდა მადრიდი

ბარსად გაქრა?

16

## ატლეტიკო, ბაიერნი, რეალი, ჩელსი

ვინც არ უნდა დაწყვილდეს, ყველა მაგარია



# ელოდეთ სიურპრიზებს იტალიისგან

ჯიჯი ბუფონი თავის შემცვლელს ასახელებს

9

UEFA EUROPA LEAGUE

# დიდი ომი სევილიაში

9

● კონფლიქტი



თორნიკე გორგიაშვილი

# ზესტაფონმა სამოქალაქოშიც წააგო

„ზესტაფონმა" ის საქმეც წააგო, რომელიც **თორნიკე გორგიაშვილთან** დაკავშირებით სამოქალაქო სასამართლოში ჰქონდა შეტანილი. ოღონდ ეს საქმე კონკრეტულად თორნიკე გორგიაშვილს არ ეხებოდა. „ზესტაფონიდან" ამ ფეხბურთელის კონტრაქტის ამოწურვამდე გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილება თავდაპირველად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტმა განიხილა და თორნიკე გორგიაშვილს „ზესტაფონის" ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლება არ მისცა. ამის შემდეგ კი თავად ფეხბურთელმა გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრა და „ზესტაფონიდან" თავუსუფლებაც მიიღო. თავის მხრივ კი კლუბმა ეს გადაწყვეტიულება უკვე სპორტულ არბიტრაჟში გაასაჩივრა, რომელმაც ისევ ფეხბურთელი გაამართლა. „ზესტაფონმა" კი ეს არ იკმარა და უკვე არბიტრაჟის წინააღმდეგ სამოქალაქო სასამართლოში იჩივლა. რამდენიმე დღის წინ სამოქალაქო სასამართლოს ვერდიქტიც გახდა ცნობილი, იქამდე კი... 2013-2014 წლების ჩემპიონატისთვის „ზესტაფონმა" მზადება რომ დაიწყო, შეკრებაზე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი თორნიკე გორგიაშვილი არ გამოცხადებულა. კლუბს იმ დროისთვის ფეხბურთელების დავალიანება ჰქონდა. მართალია, სეზონის დაწყებამდე კლუბმა ფეხბურთელების ვალი ბოლომდე გაისტუმრა, მაგრამ გორგიაშვილმა ისარგებლა და „ზესტაფონთან" კონტრაქტის ანულირებასა და თავისუფალი აგენტის სტატუსს მინიჭების მოთხოვნით ფედერაციის შესაბამის კომიტეტს მიმართა. მისი საქმე ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტმა განიხილა, მაგრამ გორგიაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ფედერაციაში თქვეს, ფიფას წესებით, ფეხბურთელს აქვს უფლება, მოითხოვოს თავისუფალი აგენტის სტატუსი, თუ კლუბი მას ხელფასს ვერ უხდის, არ უხდის ან უგვიანებს, მაგრამ მითითებული არ არის, თუ კონკრეტულად რამდენი თვის ხელფასის დაგვიანების შემთხვევაში უნდა მიეცეს ფეხბურთელს თავისუფალი აგენტის სტატუსი, ანუ ვერდიქტი კონკრეტული სიტუაციის მიხედვით უნდა იყოს გამოტანილი და ეს საკითხი ეროვნული ასოციაციის გადასაწყვეტიაო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გორგიაშვილის პრეტენზიები ფეხბურთის ფედერაციამ არ დააკმაყოფილა, თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა. ფეხბურთელმა გადაწყვეტილემა უკვე სააპელაციო კომიტეტში გაასაჩივრა და... კლუბისა და მისი ფეხბურთელის დავა საბოლოოდ 2013 წლის 2 სექტემბერს დამთავრდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა გორგიაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და კლუბთან მისი კონტრაქტი ბათილად ცნო. სააპელაციო კომიტეტმა, რომელსაც **თამარ წერეთელი** თავმჯდომარეობდა, გააუქმა ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერის კომიტეტის გადაწყვეტილება და „ზესტაფონსა" და თორნიკე გორგიაშვილს შორის გაფორმებული კონტრაქტი გააბათილა, ფეხბურთელს კი თავისუფალი აგენტის სტატუსი მიენიჭა. სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება „ზესტაფონს" არ ჰქონდა, მაგრამ კლუბმა საქმე მაინც სპორტულ არბიტრაჟში, რომლის თავმჯდომარეც იმ დროისთვის **ჯიმშერ ტყებუჩავა** გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების განხილვის უფლება არ ჰქონდა, სპორტულმა არბიტრაჟმა „ზესტაფონი" - გორგიაშვილის საქმე წარმოებაში მაინც მიიღო. ფეხბურთის ფედერაციის წესდების მიხედვით, თურმე, სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილებების გასაჩივრება სპორტულ არბიტრაჟში შესაძლებელია გამონაკლისების გარდა, მაგალითად, როცა საქმე ეხება თამაშის წესების დარღვევას, ერთიდან ოთხ მატჩამდე დისკვალიფიკაციასა და ტექნიკურ საკითხებს, გორგიაშვილისა და „ზესტაფონის" საქმე კი ამ გამონაკლისებში არ შედის. სხვათა შორის, ჯიმშერ ტყებუჩავა ამჟამად ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს თავკაცობს.

მისი თქმით კი არბიტრაჟი გადაწყვეტილების გამოტანისას ფიფას კანონებით იხელმძღვანელებდა. „ზესტაფონმა" გორგიაშვილის სტატუსის საქმე სპორტულ არბიტრაჟშიც წააგო და მერე უკვე სამოქალაქო სასამართლოს მიმართა, ჰქონდა თუ არა სპორტულ არბიტრაჟს თორნიკე გორგიაშვილის თავისუფალ აგენტად გამოცხადების უფლება. ერთი სიტყვით, „ზესტაფონმა" ჯერ საფეხბურთო, შემდეგ სპორტულ სამყაროში ბევრი იბრძოლა, რომ გორგიაშვილი, რომელიც საფეხბურთო მილეთმა ფეხბურთელად სწორედ „ზესტაფონში" თამაშით გაიცნო, კლუბში დაეტოვებინა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გახდა, საჩივრით სამოქალაქო სასამართლოს მიმართა. სასამართლომ კი ზესტაფონელებს შეუთვალა, რაკი საქმეში ჩვენს ჩართვამდე აღიარებდით სპორტული არბიტრაჟის უფლებამოსილებას, ამიტომაც

თქვენი მომართვაც უსაფუძვლოდ მიგვაჩნიაო. ზესტაფონში არ საქმესთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ და შესაბამისად, ჯერ ჩვენთვისაც უცნობია, რა იქნება ამ საქმესთან დაკავშირებით კლუბის შემდეგი ნაბიჯი. ისე არის „ზესტაფონი" გორგიაშვილით დაინტერესებული, არ არის გამორიცხული კლუბმა ეს საქმე უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოშიც გადაიტანოს. ფაქტი კი ისაა, რომ დღესდღეობით თორნიკე გორგიაშვილი თბილისის „დინამოში" სტაბილურად თამაშობს.

**კობა ინასარიძე**


ილია კოკაია

● ისტორია

# სტადიონიდან დაწყებული 9 აპრილი

## ხალხი იქ მიდის, სადაც სისხლი უდუღს

გუშინ საქართველომ კიდევ ერთხელ აღნიშნა 9 აპრილის ტრაგედია. 25 წლის წინანდელი მოვლენების გახსენებისას ბევრმა არც იცის, რომ ხალხის ძირითადი მასა რუსთაველის გამზირს 4 აპრილის საღამოს, საფეხბურთო მატჩის შემდეგ მიაწყდა.

იმ დღეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, თბილისის "დინამომ" ხარკოვის "მეტალისტს" უმასპინძლა და **კახა კაჭარავასა და მამუკა ფანცულაიას** გოლებით 2:1 დაამარცხა. მატჩის შემდეგ გულშემატკივრებს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მიმართეს, რომ რუსთაველზე დაწყებულ აქციას შეერთებოდნენ. "დინამოს" სტადიონზე 31 ათასი მაყურებელი იმყოფებოდა (ოფიციალური სტატისტიკაა), საიდანაც ნახევარზე მეტი რუსთაველისკენ დაიძრა და ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყებულ აქციას შეუერთდა. და არა მხოლოდ ისინი – აქციაზე ფეხბურთელებიც იმყოფებოდნენ, რამაც დემონსტრანტთა აღტაცება გამოიწვია.

რატომ ვყვებით ამ ყველაფერს? ეროვნული მოძრაობა ყოველთვის სპორტის და ფეხბურთის გულშემატკივართა წრიდანაც საზრდოობდა. საბჭოთა კავშირის პერიოდში ქართველ სპორტსმენებისა და გუნდების წარმატებებს ხალხი ერის დამოუკიდებლობისკენ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამდა. შემთხვევითი არაა, როდესაც ბარსელონელებით დაკომპლექტებულმა ესპანეთმა მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, კატალონიაში დამოუკიდებლობის მოთხოვნები გახშირდა და გაძლიერდა – ფეხბურთს ერში თავისუფლების მოყვარული სულის გაღვიძების ასეთი უზარმაზარი ძალა გააჩნია.

1962 წლის 29 ივნისს, როდესაც ჟენევაში, კალათბურთის ჩემპიონთა თასის ფინალში თბილისის "დინამომ" მადრიდის "რეალს" 90:83 სძლია და ევროპის საკლუბო ჩემპიონი გახდა, ემიგრაციაში მყოფმა ქართველმა მწერალმა **გრიგოლ რობაქიძემ** დისადმი გაგზავნილ ბარათში მისწერა: *"მე ძალიან ვღელავდი. გასაგებია - სისხლი! ეს გამარჯვება ქართველებისთვის დიდად მნიშვნელოვანია. დავინახე ყამირითგან ამოხეთქილი ძალა ქართული, მაგარი. როგორც ქართველი, მე მხრებში გავიმართე"*.

გულშემატკივარს ჩვენი ფეხბურთელების თამაში სიამაყის გრძნობას უძადებდა, სისხლი უდუღდა და ამიტომაც მიდიოდა სტადიონზე. ახლა კი სისხლი ეყინება და აღარ დადის. და სანამ ქართული ფეხბურთი, ჩვენი გუნდები და ნაკრებები გულშემატკივარს სისხლს ვერ აუდუღებენ, სტადიონებიც სულ დაცარიელებული იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

● აქტუალური თემა

# ავთო ბერიძე: ფეხბურთიდან ამიტომ გამრიყეს

დღეს ფეხბურთში კვალიფიციური ფიზმომზადების სპეციალისტების საკითხი მწვავედ დგას. თემურ ქეცბაიას ჰქონდა ინიციატივა, უცხოეთიდან ამ საქმის გამოცდილი მცოდნეები ჩამოეყვანა, ახალგაზრდა ქართველები, მწვრთნელები რომ გაეზარდა. ფაქტია, რომ 21-ე საუკუნის ფეხბურთში ეს პროფესია მთავარ მწვრთნელობაზე არანაკლებ საჭირო და აუცილებელია.


ავთო ბერიძე

უცნაურია, რომ ასეთ დროს ფეხბურთში აღარ საქმიანობს ავთანდილ ბერიძე - ქართულ სპორტულ წრეებში მიღებული და ცნობილი პიროვნება, ფიზმომზადების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი სპეციალისტი.

ბერიძე ამჟამად საქართველოს საკალათბურთო ნაკრებისა და ამავე სახეობის კლუბის თბილისის "დინამოს" სამწვრთნელო შტაბის წევრია. ფეხბურთში წლები საქმიანობდა, მათ შორის, ეროვნულ ნაკრებსა და თბილისის "დინამოში".

არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში, სპორტის ოსტატი, მრავალი საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილე და გამარჯვებული. თუმცა, ამბობს, რომ ფეხბურთში აგორებული "შავი პიარის" გამო აღარ არის:

- ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი სპორტული წვრთნის დადებითი და უარყოფითი ასპექტები. ბევრი ცნობილი სპორტსმენი მომიმზადებია, მათ შორის ისეთებიც, რომლებმაც ქვეყანას სახელი მოუტანეს - არაერთი ფეხბურთელი, მორაგბე, ხელბურთელი, ჩოგბურთელი, კალათბურთელი, მოჭიდავეების მთელი პლეადა, ორთაბრძოლების წარმომადგენლები. ისინიც, ვისაც ელემენტარულად, ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა.

მომზადების ჩემი მეთოდით არც ერთი მათგანისთვის წარმატების მიღწევაში ხელი არ შემიშლია. მაგრამ ბოლო დროს ჩემ მიმართ უსაფუძვლო კრიტიკა ისმოდა, თითქოს სპორტსმენებს "ვწვავდი"; თურმე, არ ვიცი ასაკობრივი ზღვარი და რომ ერთნაირად ვტვირთავდი დიდსა და პატარას?!

**- ამ ჭორებს ვინ გივრცელებდათ?**

- ის მწვრთნელები, რომლებმაც თვენახევრიანი მწვრთნელთა კურსები გაიარეს, აიღეს სერტიფიკატი და ასე მოიპოვეს წვრთნის უფლება. ეს ის ხალხია, რომლებიც ვერ გიპასუხებენ, სპორტსმენი რა პულსზე, რა ინტენსივობით, რა სისტემით უნდა ვარჯიშობდეს. ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ მათ წყინთ, ვინმემ მათზე მეტი რომ იცის, რადგან ასე სახელი უტყდებოდათ.

**- ვის გულისხმობთ?**

- გამგებმა გაიგოს: არ შეიძლება ერთდროულად საფეხბურთო ელემენტებში ავარჯიშებდე და „სამჭკუაშვილივით", "ფიზიკაშიც" პროფესორობდე. თან მშობლებს აშინებენ, ბერიძესთან არ მიიყვანოთ, ფიზიკურად „მოკლავსო".

**- ასეთი მოსაზრება მართლაც გვსმენია.**

- ჩემი ვარჯიში დაფუძნებულია თითოეული სპორტსმენის შესაძლებლობებზე, ორიენტირებული არ ვარ წამლებზე, კრეატინებზე, ამინომჟავეებზე, პროტეინებზე. ამიტომ სპორტსმენებს მეტი შრომისკენ და თავდადებისკენ მოვუწოდებ - სწორედ ეს იძლევა წარმატების საფუძველს.

მე ვარ, არა საერთო ფიზიკური მომზადების, არამედ სპეციალური მომზადების მწვრთნელი. ჩემთან ბევრი ცნობილი სპორსტმენი მომზადებულა - ჩოგბურთელი ლაბაძე, მოჭიდავეები ზვიადაური და კურტანიძე, ხელბურთელი ტიტე კალანდაძე, რაგბისტები - ქავთარაშვილი, აბუსერიძე, მაჩხანელი, ურჯუკაშვილი, კალათბურთელები ფაჩულია, ცქიტიშვილი და ზოგადად, მთელი ნაკრები, ფეხბურთელების მთელ არმია. კითხეთ, რომელი მათგანი „გადამწვარა"?

...თუმცა, ფეხბურთიდან მაინც გამრიყეს. ასე მგონია, სწორედ ამ გაუგებარი მოტივების შედეგია, რაც დღეს ამ სახეობაში ხდება. მეტი გარკვეულობა და ცოდნა არავის აწყენს, მაგრამ ჩვენთან ასე იქცევიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები

## ხუბუტიას გუნდის ბაზა დაიწვა

8 აპრილს ქალაქ სარანსკში ცეცხლი გაუჩნდა საფეხბურთო კლუბ „მორდოვიას" ბაზას, რომელიც თითქმის მთლიანად დაიწვა. შეგახსენებთ, რომ რუსული პირველი დივიზიონის ლიდერი გუნდის რიგებში საქართველოს ნაკრების მცველი **აკაკი ხუბუტია** თამაშობს.

რუსული მედიის თქმით, ცეცხლი მაშინ გაუჩნდა შენობას, როცა „მორდოვიას" ფეხბურთელები აბანოში იყვნენ. არავინ დაშავებულა, თუმცა დაიწვა გუნდის სათამაშო ფორმის კომპლექტი, ასევე გუნდის თილისმა მელაკუდა. დაიწვა ვიდეო ტექნიკა, ბურთები და სხვა წვრილმანები. მეხანძრეებმა შეძლეს ფეხბურთელების უვნებლად გაყვანა. დაიწვა გუნდის მცირე მუზეუმი, სადაც ინახებოდა გუნდის ტიტულები, თასები, ვიმპელები, დიპლომები და სხვა ჯილდოები.

დირექტორის განცხადებით, ბაზაზე ვარჯიში შესაძლებელია, ფეხბურთელები კი სახლებში გამოიცვლიან.

## ილურიძე ავტოავარიაში მოყვა

როგორც ხორვატიული „ინდექსი" იუწყება, სპლიტის „ჰაიდუკის" ქართველი ნახევარმცველი **გიორგი ილურიძე** ავტოავარიაში მოყვა.

გიორგი ხეს შეასკდა, თუმცა, საბედნიეროდ, არც ის და არც სხვა ვინმე მანქანაში ავარიის შედეგად არ დაშავებულა. ინციდენტი „სპლიტ 3-ის" ავტობანიდან ქუჩაზე შეხვევისას მოხდა, თვითმხილველთა მტკიცებით, ავარიის მიზეზი გიორგი არ ყოფილა, პირიქით, მან თავად აირიდა შეჯახება სხვა მანქანასთან, მაგრამ ხეს დაეჯახა.

ილურიძე უკვე მწყობრშია და გუნდთან ერთად კვირის მატჩისთვის ემზადება.

## ექიმების დასკვნა: მჭედლიძე ჯანზეა

9 აპრილს იტალიური „ემპოლის" ფორვარდმა **ლევან მჭედლიძემ** სრული სამედიცინო შემოწმება გაიარა. დიდი ხნის განმავლობაში ტრავმირებულ ქართველს უნდა გაეგო პასუხი, შეძლებდა თუ არა ის ვარჯიშის განახლებას.

მაგნეტურ-რეზონანსულმა ანალიზმა ძალიან კარგი პასუხი ამცნო „ემპოლის" „გიგანტე ბუონოს", როგორც მჭედლიძეს იტალიაში უწოდებენ - ის სრულად გამოჯანმრთელდა და ვარჯიშის განახლების უფლება მიეცა.

„ემპოლი" მეორე ადგილზეა და სერია A-ში გადასვლისთვის იბრძვის, ახლა ამ ბრძოლაში მას ქართველი ფორვარდიც დაეხმარება.

## გოგუას საგოლე პასი, მაღრაძის ფინალი

რუსეთის პირველი დივიზიონის 31-ე ტურის მატჩში ხაბაროვსკის „სკა-ენერგიამ" „უფას" უმასპინძლა და 2:2 დაუზავდა.

მასპინძელთა ქართველთაგან შეუცვლელად ითამაშეს **გიორგი ნავალოვსკიმ** და **გოგიტა გოგუამ**, ხოლო **კახაბერ ალადაშვილს** ვალდას ივანაუსკასი ჯერჯერობით ნაკლებად ენდობა, ის სათადარიგო იყო. 37-ე წუთზე, 0:2-ზე მასპინძლებმა გოგიტა გოგუას პასით შეამცირეს ანგარიშში სხვაობა.

**დავით სირაძე** და **გუჯა რუხაია** სათარიგოთა სკამზე დარჩნენ, მათმა „ნალჩიკმა" კი 1:0 მოუგო „შინიკს".

კვიპროსის თასის ფინალში გავიდა **ლევან მაღრაძის** „ერმისი", რომელმაც 2:1 მოუგო „აპოლონს". ვინაიდან, პირველი მატჩი ანალოგიური ანგარიშით წააგო ქართველის გუნდმა დაინიშნა დამატებითი დრო, რომელშიც მასპინძლებმა კიდევ ორი გოლი გაიტანეს. მაღრაძემ 120 წუთი ითამაშა. ფინალში „ერმისის" მეტოქე აპოელ-ია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გოგიტა გოგუა

ევროპის თასი–საქართველო

# რეგიონებში გამარჯვებულები გამოვლინდნენ

4 აპრილს დაიწყო ტურნირი "ევროპის თასი-საქართველო", რომლის ორგანიზატორიც საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია "კობი და მეგობრები" გახლავთ. გათამაშებაში 2001 წელს დაბადებული ბავშვები მონაწილეობენ.

ქობულეთში მინი-ტურნირში სამი გუნდი თამაშობდა. ადგილობრივმა "შუქურამ" ბათუმის "დინამოს" 1:0 მოუგო, ლანჩხუთის "გურიას" - 6:0 და აჭარა-გურიის რეგიონის გამარჯვებული გახდა.

ფინალური ეტაპის მონაწილე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშიც გამოვლინდა. აქ 8 გუნდი მონაწილეობდა, შეჯიბრება კი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. მეოთხედფინალში "ზუგდიდმა" მარტვილის "სალხინოს" 2:1 მოუგო, ნახევარფინაში ასეთივე ანგარიშით (2:1) გზიდან ფოთის "კოლხეთი" ჩამოიშორა, ხოლო ფინალში თანაქალაქელ "ბაიას" 3:1 სძლია და გამარჯვებული გახდა.

იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის საგზურის მფლობელი გუნდის სახელი მალე ქუთაისში გაირკვევა. თბილისში ერთმანეთს 8 გუნდი შეეცილება, მატჩები კი 13 აპრილს გაიმართება. ამ ოთხი რეგიონის გამარჯვებულები 26 და 27 აპრილს თბილისში ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

დაბრუნება. ინტერვიუ ვლადიმერ ხაჩიძესთან.

# როცა პაუზა აუცილებელია...

## პრო-ლიცენზიის მწვრთნელი... II ლიგაში!

**უცნაურია, მაგრამ ფაქტია: უმაღლესი, პრო-კატეგორიის მწვრთნელი ქართველებს მხოლოდ 6 გვყავს და საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ამათგან მხოლოდ ორია დასაქმებული (გია გეგუჩაძე, გიორგი დარასელია); კიდევ სამი სპეციალისტი უცხოეთში მოღვაწეობს (შოთა არველაძე, კახა ცხადაძე, გიორგი ჩიხრაძე), აი, მეექვსე კი თითქმის ხუთი თვე უმუშევარი გახლდათ და სულ ახლახანს განაახლა თავისი ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერა. თანაც, ალბათ, გაგიკვირდებათ და საქართველოს ჩემპიონატის... მეორე ლიგაში! ჰო, ასეა: ამ ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა ქართველმა სპეციალისტმა ვლადიმერ ხაჩიძემ მეორე ლიგის აღმოსავლეთი ზონის ერთ-ერთი ლიდერი „ბორჯომი" ჩაიბარა და ამ გუნდის ელიტაში დაბრუნებასაც შეეცდება.**

**...ვლადიმერ ხაჩიძე იმ იშვიათ მოქმედ ქართველ მწვრთნელთა რიცხვს მიეკუთვნება, საქართველოს ჩემპიონატში სულ პირველი გათამაშებიდან (1990 წლიდან) რომ მოღვაწეობს; ხაშურის „ივერია" და თბილისის თსუ, გორის „დილა" და „ვიტ ჯორჯია", „ბორჯომი" და „გაგრა", — აი, ამ გუნდებს წვრთნიდა ეროვნულ ჩემპიონატში. ისე როგორც ცხინვალის „სპარტაკს", საიდანაც წინა წლის ოქტომბრის მიწურულს წამოვიდა, როცა თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრაში პენალტების სერიაში დამარცხდა ქუთაისის „ტორპედოსთან".**

**ალსანიშნავია, რომ ამ გამოცდილ მწვრთნელს სხვადასხვა დროს სამი გუნდი („ივერია", „დილა", „სპარტაკი") გადაუყვანია პირველიდან უმაღლეს ლიგაში და სამივეჯერ პირველსავე ცდაზე მოახერხა. ცალკე საუბრის თემაა ვლადიმერ ხაჩიძისა და „ბორჯომის" ურთიერთობა: 2005-2008 წლებში ამ გუნდის თავკაცი გახლდათ და ბევრს ემახსოვრება, ალბათ, თუ როგორი საფეხბურთო ბუმი იყო იმ პერიოდში საკურორტო ქალაქში. გიორგი მეგრელაძე, შოთა ბაბუნაშვილი, თემურ ღონღაძე, თორნიკე აფციაური, გიორგი ნერგაძე, ზურაბ მამალაძე, რევაზ გეწაძე, სანდრო ბურნაძე, ლაშა ჭელიძე, შოთა გრიგალაშვილი, — კიდევ ბევრი იმ ფეხბურთელის ჩამოთვლა შეიძლებოდა, იმდროინდელ „ბორჯომში" რომ ასპარეზობდნენ; აღარაფერს ვამბობთ არგენტინელ დე პორასზე, მცირე ხნით ყოფნის მიუხედავად, ერთ-ერთი გამორჩეული ლეგიონერი რომ გახლდათ საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში. ვლადიმერ ხაჩიძეს გუშინ შევეხმიანეთ და თავის ძველ-ახალ გუნდში დაბრუნებასა თუ მიზნების გარდა, სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ. მით უფრო, რომ ეს გამოცდილი სპეციალისტი თავისი ხანგძლივი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ქართული სპორტული მედიისათვის მუდამ სასურველ რესპონდენტად მიიჩნეოდა და, თავის ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, ნებისმიერ აქტუალურ საკითხზე საკუთარ პოზიციას მუდამ საჯაროდ აფიქსირებდა...**

**- „სპარტაკიდან" წამოსვლის მერე გარკვეული პერიოდი უმუშევარი იყავით და ეს სამწვრთნელო პაუზა ხომ არ გაგიგრძელდათ?**

- მწვრთნელებს ისეთი სტრესული პროფესია გვაქვს, პაუზა ხანდახან აუცილებელიც არის; ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა: „სპარტაკში" ძალიან დაძაბული პერიოდი მქონდა: გუნდი პირველი ლიგიდან უმაღლესში გადავიდა, სადაც გარკვეულ სირთულეებს წავაწყდით. პაუზაც იმიტომ არის საჭირო, რომ საკუთარ შეცდომებს „გარედან" შეხედო და გააანალიზო.

**- დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორ ფიქრობთ, „სპარტაკში" მუშაობისას რა შეცდომები დაუშვით?**

- უპირველეს ყოვლისა, არასწორ სელექციას ვგულისხმობ; პირველ ლიგაში ასპარეზობისას კონტინგენტი ნამდვილად არ გვყოლია, თუმცა, ვიცოდი, რომ უმაღლეს ლიგაში, სადაც ბევრად უფრო განსხვავებული მოთხოვნებია, შემადგენლობას გაძლიერება აუცილებლად სჭირდებოდა. სამწუხაროდ, სეზონის დაწყების წინ, ვინც მინდოდა ის ფეხბურთელები ვერ დავიმატეთ.

**- ადრეც გვითხარით, რომ საქართველოს ჩემპიონატის პირველ და უმაღლეს ლიგას შორის ძალიან დიდი სხვაობაა...**

- წინა სეზონში პირველ ლიგაში რომ გავიმარჯვეთ, მეორადგილოსანი „ლოკომოტივი" 14 ქულით ჩამოვიტოვეთ; თუმცა, იგივე შემადგენლობით უმაღლეს ლიგაში ძალიან გაგვიჭირდა...

**- სამწვრთნელო საქმიანობაში ექვსთვიან პაუზას „ბორჯომში" დაბრუნება მოჰყვა, თანაც, ექვსწლიანი განშორების შემდეგ!..**

- ეს ქალაქიც და ეს გუნდიც ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებული იყო; „ბორჯომში" სამი სეზონი ვიმუშავე და



ვლადიმერ ხაჩიძე

შორს წაგვიყვანს იმ ბიჭების ჩამოთვლა, სწორედ აქედან რომ გადავიდნენ წამყვან ქართულ კლუბებსა თუ უცხოეთში; მერე, როგორი საფეხბურთო ბუმი იყო? ყველა საშინაო მატჩი ადგილობრივებისთვის ზეიმის ტოლფასი იყო და მიხარია, რომ ამ ქალაქში საფეხბურთო ტრადიციების აღდგენაზე ფიქრი სერიოზულად დაიწყეს. საერთოდაც, მიმაჩნია, რომ საქართველოს ყველა რაიონში უნდა იყოს მსგავსი სიტუაცია.

**- თქვენი და „ბორჯომის" ურთიერთობა გასაგებია, მაგრამ, ბევრისთვის მაინც მოულოდნელი იქნება იმის აღქმა, რომ პრო-ლიცენზიის მქონე მწვრთნელი სამუშაოდ... მეორე ლიგაში წავიდა...**

- ამ გუნდს ყოველთვის ვგულშემატკივრობდი, აქ ბევრი ახლობელი მყავს და როცა დახმარება მთხოვეს, უარს ვერ ვიტყოდი. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ახლანდელი „ბორჯომი", ფაქტობრივად, კობა თედიაშვილის (ახალციხის „მესხეთის" ყოფილი მწვრთნელის - გ.ტ.) ჩამოყალიბებულია და რომელიც ისევ რჩება კლუბში, ოღონდ, ამჯერად უკვე დირექტორის ამპლუაში.

**- მეორე ლიგის კვალობაზე, „ბორჯომს" საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა ჰყავს; ბევრ ფეხბურთელს უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი უთამაშია...**

- დავით ბაქრაძე, ლევან შავგულიძე, ლევან თედიაშვილი, ამათ გარდა სხვაც არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი გვყავს; თუმცა, ნიჭიერი ახალგაზრდებიც არიან, რომელთაც ხელის შეწყობა სჭირდებათ. ისე კი, ჩვენთან რატომღაც უცნაური სტერეოტიპია დამკვიდრებული: როგორც კი ფეხბურთელი 30 წელს გადასცდება, უკვე აღარავის სჭირდება. არადა, სულ სხვა რეალობაა და ეს ამ სეზონმაც დაამტკიცა.

**- რას გულისხმობთ?**

- თუნდაც, ბოლნისის „სიონის" წარმატებულ ასპარეზობას, - ამ გუნდის ძირითად ბირთვს ხომ ერთი-მეორეზე გამოცდილი ფეხბურთელები შეადგენენ; თუმცა, ლადო ბურდულმა შეძლო და მშვენიერი გუნდი ჩამოაყალიბა. სხვათა შორის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბურდული ჩემთან, „სპარტაკში" თამაშობდა და მაშინვე ვატყობდი, რომ მისგან ნიჭიერი მწვრთნელი დადგებოდა. საერთოდ, ვეტერან ფეხბურთელებთან განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო და ბურდულმაც, ეტყობა, ეს მშვენივრად მოახერხა. იმედი მაქვს, რომ „ბორჯომშიც" ასე იქნება და მომავალ სეზონს უკვე რანგით მაღალ ლიგაში ვითამაშებთ.

**- პრო-ლიცენზიის მწვრთნელისგან მეორე ლიგის გუნდის გაძღოლა ბევრისთვის მაინც მოულოდნელი იქნებოდა...**

- უფრო „ზემოთ", ალბათ, არ სჭირდებოდათ პრო-ლიცენზიის მქონე მწვრთნელი... თუმცა, მიმაჩნია, რომ თუ მწვრთნელს საკუთარი პროფესია უყვარს, მუშაობა არსად უნდა იუკადრისოს. კი, ბატონო, პირველ ლიგასთან შედარებითაც კი დაბალი დონეა მეორეში, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში ორი-სამი ისეთი პერსპექტიული ახალგაზრდა აღმოვაჩინე, ჩემი ნება რომ იყოს, უმაღლესი ლიგის გუნდში ახლავე ჩავრიცხავდი! ანუ, პერსპექტიული ფეხბურთელები ყველგან არიან, მაგრამ მათი უმრავლესობის შესახებ არც არავინ იცის.

**- კონკრეტულად?**

- აი, მაგალითად, უმაღლესი ლიგის მატჩები მეტ-ნაკლებად მაინც შუქდება, სამაგიეროდ, პირველი თუ მეორე ლიგა მსგავს დაინტერესებას მოკლებულია. არადა, სწორედ ქვედა ლიგებიდან უნდა მოდიოდეს შევსება.

**- უმაღლესი ლიგა ახსენეთ და თქვენი აზრიც გვაინტერესებს მიმდინარე სეზონთან დაკავშირებით.**

- სეზონის წინ რომ შევხვედროდით ერთმანეთს, აი, მაშინვე „ჩამოგიწერდით", თუ რომელი გუნდი რომელ ადგილზე დაამთავრებდა ჩემპიონატს! ოღონდ, მოდი, ამ შემთხვევაში კონკრეტიკისაგან თავს შევიკავებ; სამაგიეროდ, იმას ვიტყვი, რომ გუნდების „ზედა" და „ქვედა" ექვსეულებად დაყოფა, უკაცრავად და, სრული უვიცობაა! ან, ის რა იყო, ორი წლის წინათ მეორე ეტაპს ნული ქულით რომ იწყებდნენ გუნდები? ახლაც, კომიკური სიტუაციაა: უმაღლესი ლიგის 12 გუნდიდან, თითქმის უმრავლესობას აღარანაირი მოტივაცია აღარ დარჩა ჩემპიონატში.

**- თქვენი აზრით, უმაღლეს ლიგაში გუნდების ოპტიმალური რაოდენობა რამდენი უნდა იყოს?**

- კარგად მესმის „დინამოსა" და „ზესტაფონის" მესვეურთა პოზიცია: ამ ორივე გუნდს ჩინებული პირობები აქვთ და მათთვის ნამდვილად უკეთესი იქნება, რომ უმაღლეს ლიგაში რაც შეიძლება ნაკლები იყოს სუსტი გუნდები; ანუ, ჩემპიონატიც ბევრად უფრო ხარისხიანი იქნება და ეს ფაქტორი ევროტურნირებზე წარმატებულ ასპარეზობასაც ხელს შეუწყობს. თუმცა, გუნდების რაოდენობის გაზრდით მასობრიობა გაიზრდება და სახელმწიფო დახმარების პროგრამაც სულზე მისწრება იქნება ყველა გუნდისთვის. ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, რომ დაფინანსება თუ ყურადღების მიქცევა უმაღლესი ლიგის გარდა, პირველ და მეორე ლიგასაც სჭირდება. ზემოთაც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, რომ ყველა პატარა ქალაქს თავისი გუნდი უნდა ჰყავდეს; ისე როგორც ბავშვთა საფეხბურთო სექციები უნდა იყოს ყველა რაიონში. აი, რაგბის მაგალითი ავიღოთ: რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელთა უდიდესი დამსახურებითა და სწორი მუშაობით დღეს თითქმის ყველა პატარა ქალაქში რაგბის ბუმია, ფეხბურთის საქმე კი, სამწუხაროდ, უკან და უკან მიდის...

**გია ტუხაშვილი**

მწვრთნელის ხვედრი

# რამაზ სოლოლაშვილი: ხელოვნურად შექმნილი თამაშის წესები...

ცოტა ხნის წინ რამაზ სოლოლაშვილმა საკუთარი ნებით დატოვა „დილას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი. იგი ახალგაზრდა სპეციალისტია რომელიც „ა“ კატეგორიის ლიცენზიას ფლობს და ამჟამად „პრო ლიცენზიის“ კურსებს გადის. მიუხედავად იმისა, რომ „დილა“ საქართველოს თასის ნახევარფინალში გავიდა, რამაზმა პირველი ეტაპის შემდეგ თავისი გუნდის ქვედა ექვსეულში დარჩენის გამო თანამდებობა მაინც დატოვა. „ლელოსთან“ საუბრისას სოლოლაშვილი „დილას“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე საკუთარ მოღვაწეობას აჯამებს, რაც განსაკუთრებით გორელი გულშემატკივრებისთვის უნდა იყოს საინტერესო.


რამაზ სოლოლაშვილი

## მთავარ მწვრთნელად...

თავდაპირველად ამ პოსტზე უარი ვთქვი, რადგან ევროსაგზურისთვის მებრძოლ კლუბში მთავარ მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება არ მქონია. ამასთან, ჩემი აზრით, გიორგი დევდარიანიც იმსახურებდა სამუშაოდ გაცილებით მეტი დროის მიცემას. მან მოკლე ხანში საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელებმა მითხრეს, რომ მწვრთნელად ადგილობრივი სპეციალისტის მოყვანა ერჩივნათ, რადგან მას მჭიდრო ურთიერთობა ექნებოდა „დილას“ დუბლებთან და ჭაბუკთა ლიგაში მოასპარეზე გუნდთან. თანაც, სამომავლოდ დამფინანსებლისგან ბიუჯეტის შეკვეცას ელოდნენ და, მათი აზრით, ამის გამო მოგვიანებით მაინც მოუწევდათ ადგილობრივ სპეციალისტზე აქცენტის გაკეთება. მართალია, ჩემი ხელმძღვანელობით თასის ნახევარფინალში გავედით, მაგრამ ვინაიდან ზედა ექვსეულში ვერ მოვხვდით (რასაც ჩვენს გულშემატკივარს დავპირდი), გადავდექი. ოღონდ მიმაჩნია, რომ წარმატების მისაღწევად გუნდში არსებული რესურსი მაქსიმალურად გამოვიყენე და ურიგოდ არ მიმუშავია.

**- ზედა ექვსეულში ვერმოხვედრის მიზეზები...**

- ზედა ექვსეულში ვერმოხვედრას, რასაკვირველია, გარკვეული მიზეზები ჰქონდა. ვიცი, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა ფინანსების მოსაძიებლად, მაგრამ ეს თანხები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ ის ფეხბურთელები მაინც შეგვენარჩუნებინა, რომლებიც განსაკუთრებით გვჭირდებოდა. სეზონის განახლებიდან მალევე გამოჩნდა, რომ ახალდაკომპლექტებულ გუნდში თავი იჩინა პრობლემებმა ზოგიერთ პოზიციაზე. ამას დაერთო ზოგიერთი ფეხბურთელის იმაზე უფრო სუსტად თამაში, რაც მათ შეუძლიათ; თანხა, რომლითაც დაგვაფინანსეს, საკმარისი იყო მხოლოდ სახელფასოდ. შემცირებული დაფინანსების მიუხედავად, გადავწყვიტეთ მაღალი ამოცანებისთვის მაინც გვებრძოლა.

...ძალიან ძვირად დაგვიჯდა სეზონის განახლების პირველივე მატჩში საქართველოს თასზე „ტორპედოსთან“ გამარჯვება. ქუთაისში ტრავმები მიიღეს წამყვანმა ფეხბურთელებმა და „გურიასთან“ მატჩის წინ ძალიან ცუდ ვითარებაში აღმოვჩნდით. „გურიასთან“ წაგებამ კი რეალურად წარმოშვა პრობლემა ზედა ექვსეულში მოხვედრასთან დაკავშირებით და დათესა ერთგვარი პანიკა. ბოლო ტურში კი, მიუხედავად ჩვენი გამარჯვებისა, უშუალო კონკურენტებს მაინც ვერ გადავასწარით და ზედა ექვსეულს მიღმა დავრჩით.

აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ, როცა ცალკეული კლუბის მაღალ მიზნებზეა საუბარი, ამის განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბისთვის საკუთარი ბაზის ქონას, იმისათვის, რათა ფეხბურთელებს სავარჯიშოდ ქალაქიდან ქალაქში არ უწევდეთ სიარული.

**- „ხელოვნურად შექმნილი თამაშის წესები“**

- რაც დღეს ქართულ ფეხბურთში მოქმედებს, ამას „ხელოვნურად შექმნილ თამაშის წესებს“ დავარქმევდი, რის აღსაკვეთადაც არ არსებობს არანაირი სანქციები და შედეგად ყველა ამ თამაშის წესების მსხვერპლი ვართ! მე თუ მკითხავთ, ყველა, ვინც ვტრიალებთ ქართულ ფეხბურთში, თუნდაც არ ვმონაწილეობდეთ ასეთ დარღვევებში, მაინც დამნაშავენი ვართ, რადგან ვალდებული ვართ გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ სიტუაციის გამოსასწორებლად. ამის გამო მაყურებლის გაღიზიანებისა კარგად მესმის. ვფიქრობ, რომ ყველაფერს შსს, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად უნდა იძიებდეს. მესმის, რომ მსაჯებიც უშვებენ შეცდომებს, მაგრამ ამ უნებლიე შეცდომების ალარავის სჯერა! მსაჯი კონკრეტული გუნდის სასარგებლოდ ზედიზედ რამდენჯერმე რომ შეცდება, ამაზე არ უნდა გამახვილდეს ყურადღება?! აქვე ერთი ნიუანსიც - კლუბების ლიცენზირებაში აუცილებლად უნდა შევიდეს მოთხოვნა, რომ მატჩები გადაიღონ მინიმუმ სამი კამერით, რადგან ერთი კამერით გადაღება საკამათო სიტუაციაში, მაგალითად თამაშგარეს დროს, ვერ ხდის ცხადს, სადაა სიმართლე. საეჭვო სიტუაციაში კი მუდამ მსაჯის გადაწყვეტილებას ანიჭებენ უპირატესობას.

მინდა აგრეთვე აღვნიშნო, რომ დღეს უმაღლესი ლიგის გათამაშებაში მოქმედებს ექვსეულებად დაყოფის მახინჯი სისტემა, რომელიც ზრდის მანიპულირების საშუალებას და აგრეთვე უინტერესოს ხდის თამაშებს ქვედა ექვსეულში.

აუცილებლად მიმაჩნია სანქციების შემოღება. კიდეც რომ გამოაშკარავონ დამნაშავე, იმის შემდეგ რა ხდება? — არსებობს შესაბამისი სასჯელი? მე ვფიქრობ, რომ სანქცია უნდა ითვალისწინებდეს მკაცრ გაფრთხილებას, ფულად ჯარიმას, ქულების დაკლებას, ლიგიდან დაქვეითებას, ფეხბურთიდან მოკვეთას და ბოლოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრასაც. ამასთან, მსაჯები უნდა იყვნენ მაქსიმალურად დაცულები და მინიმუმ უნდა გაუორმაგდეთ ხელფასი, რომ არ მოხდეს მათი დაყოლიება გარიგებაზე, თუმცა, იქვე აუცილებლად უნდა გაორმაგდეს მათი პასუხისმგებლობაც! საბედნიეროდ, ჩვენ გვყავს კვალიფიციური მსაჯები, რომლებსაც შეუძლიათ მაღალ დონეზე მსაჯობა. იმედი მაქვს, რომ ფედერაცია ყველაფერს ილონებს შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად!

ესაუბრა
ვასილ ბალახაძე

## დასავლეთი ზონა

XVII ტური

| | |
|---|---|
| კოლხეთი 2 (ფ)-კოლხეთი 2 (ხ) | 0:0 |
| საპოვნელა 2 - მერცხალი 2 | 3:1 |
| რაჭა-საირმე | 3:2 |
| შუქურა 2 - ეგრისი | 2:1 |
| სამეგრელო-ქუთაისი | 3:0 |
| მარგვეთი-2006 - დინამო 2 (ბთ) | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაზიკა | 15 | 13 | 1 | 1 | 43-6 | 40 |
| 2. მარგვეთი | 16 | 11 | 3 | 2 | 40-18 | 36 |
| 3. რაჭა | 15 | 10 | 1 | 4 | 28-24 | 31 |
| 4. ეგრისი | 15 | 9 | 0 | 6 | 31-21 | 27 |
| 5. დინამო 2 (ბთ) | 15 | 8 | 3 | 4 | 28-19 | 27 |
| 6. შუქურა 2 | 16 | 8 | 2 | 6 | 29-27 | 26 |
| 7. საპოვნელა 2 | 18 | 7 | 2 | 7 | 32-29 | 23 |
| 8. კოლხეთი 2 (ფ) | 16 | 7 | 2 | 7 | 25-27 | 23 |
| 9. კოლხეთი 2 (ხ) | 16 | 5 | 4 | 7 | 21-20 | 19 |
| 10. ქუთაისი | 16 | 5 | 3 | 8 | 32-34 | 18 |
| 11. საირმე | 16 | 5 | 1 | 10 | 23-34 | 16 |
| 12. სამეგრელო | 15 | 1 | 1 | 13 | 8-49 | 4 |
| 13. მერცხალი 2 | 15 | 0 | 1 | 14 | 10-44 | 1 |

## აღმოსავლეთი ზონა

XXI ტური

| | |
|---|---|
| ჰერეთი/საქ. უნ - დინამო (სხ) | გადაიდო |
| დურუჯი-იბერია | 4:1 |
| მარკ სტარი-ბორჯომი | 2:2 |
| რუსთავი-სასკო 2 | 7:1 |
| გოლიადორი-ფორვარდი | გადაიდო |
| აბული-ლიახვი | 3:1 |
| ივერია-არაგვი | 3:3 |
| ივერიონი-ალაზანი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარკ სტარი | 21 | 17 | 2 | 2 | 84-20 | 53 |
| 2. ბორჯომი | 20 | 16 | 3 | 1 | 67-19 | 51 |
| 3. ლიახვი | 21 | 13 | 6 | 2 | 53-27 | 45 |
| 4. ჰერეთი | 20 | 12 | 4 | 4 | 59-32 | 40 |
| 5. ივერია | 21 | 11 | 3 | 7 | 51-39 | 36 |
| 6. არაგვი | 21 | 9 | 7 | 5 | 54-35 | 34 |
| 7. აბული | 20 | 9 | 3 | 8 | 29-32 | 30 |
| 8. ივერიონი | 20 | 7 | 5 | 8 | 36-40 | 26 |
| 9. გოლიადორი | 19 | 8 | 1 | 10 | 43-43 | 25 |
| 10. ალაზანი | 21 | 7 | 4 | 10 | 34-46 | 25 |
| 11. დურუჯი | 21 | 7 | 2 | 12 | 32-43 | 23 |
| 12. რუსთავი | 20 | 6 | 3 | 11 | 42-70 | 21 |
| 13. დინამო (სხ) | 18 | 5 | 1 | 12 | 22-46 | 16 |
| 14. ფორვარდი | 20 | 4 | 3 | 13 | 26-55 | 15 |
| 15. სასკო 2 | 21 | 3 | 2 | 16 | 19-57 | 11 |
| 16. იბერია | 20 | 3 | 1 | 16 | 27-73 | 10 |

## დუბლების ჩემპიონატი

XXV ტური

| | |
|---|---|
| მერანი-ტორპედო | 1:4 |
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 4:0 |
| დინამო-გურია | 2:0 |
| დილა-ზესტაფონი | 1:0 |
| ზუგდიდი-მეტალურგი | 2:1 |
| ჩიხურა-სპარტაკი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 25 | 19 | 1 | 5 | 63-27 | 58 |
| 2. მეტალურგი | 25 | 18 | 3 | 5 | 62-30 | 56 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 25 | 13 | 6 | 6 | 49-37 | 45 |
| 4. ზუგდიდი | 25 | 14 | 3 | 8 | 48-45 | 45 |
| 5. ჩიხურა | 25 | 10 | 6 | 9 | 42-31 | 36 |
| 6. დილა | 25 | 10 | 4 | 11 | 41-45 | 34 |
| 7. მერანი | 25 | 9 | 6 | 11 | 27-42 | 32 |
| 8. ზესტაფონი | 25 | 9 | 4 | 12 | 42-38 | 31 |
| 9. ტორპედო | 25 | 7 | 5 | 13 | 42-43 | 26 |
| 10. სპარტაკი | 25 | 7 | 5 | 13 | 32-48 | 26 |
| 11. სიონი | 25 | 5 | 5 | 15 | 22-55 | 20 |
| 12. გურია | 25 | 4 | 4 | 17 | 28-57 | 16 |

ბავშვთა ფეხბურთი

# სერგო კვარაცხელია: სამეგრელოს მოდელი ყველას გამოადგება

სამეგრელო ზემო-სვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **სერგო კვარაცხელია** სამეგრელოში განხორციელებული საფეხბურთო პროექტზე გვიამბობს და სჯერა, რომ ის მთელ საქართველოს მაგალითად გამოადგება.


სერგო კვარაცხელია

*“ბევრმა არ იცის, რომ დღეისათვის სამეგრელო არის ერთადერთი რეგიონი საქართველოში, სადაც უფასო საფეხბურთო სკოლები ფინანსდება. ასე გრძელდება უკვე მესამე წელია. საქმე ისაა, რომ ამ საკითხზე ჩვენმა რეგიონულმა ფედერაციამ სახელმწიფო სტრუქტურებთან შეთანხმებას მიაღწია, რომ თავიანთ რაიონში ყველას თითო-თითო საფეხბურთო სკოლისთვის ეპატრონა. საბედნიეროდ, ჩვენი წინადადება ყველა რაიონისათვის მისაღები აღმოჩნდა და სკოლა მართლაც ყველა რაიონში დაფუძნდა. რომ იცოდეთ, მათ საკმაოდ სოლიდურადაც აფინანსებენ. ზოგან 120 ათასითაც კი, სხვაგან - 100 ათასით და ა.შ. გააჩნია, რომელ რაიონს რამდენის საშუალება გააჩნია. შედეგად ძალიან კარგი შედეგები მივიღეთ: თუ ადრე მთელ რეგიონში 500-600 ბავშვი ვარჯიშობდა, დღეისათვის მხოლოდ ჩვენ მიერ აწყობილ სისტემაში 1500 ბავშვს ვზრდით. ბევრი მათგანი გაჭირვებული ოჯახებიდან არის და საშუალებას ვაძლევთ, ნიჭი გამოავლინონ. მათთვის უფასოა არა მხოლოდ ვარჯიში, არამედ, ფორმები, ბურთები, ტრანსპორტირება, კვება და ა.შ. მოვაწყვეთ და ვუვლით მარტივი ტიპის მოედნებს. გარდა ამისა, კერძო კლუბებსაც ხომ ჰყავთ საფეხბურთო აკადემიები და იქაც საკმაოდ ბევრი ბავშვია. იმის თქმა მსურს, რომ ორივე ერთად ვცდილობთ, ქართულ ფეხბურთს მომავალი გავუზარდოთ. პირველი და ძალიან დამაიმედებელი შედეგები უკვე ჩანს, ბევრი ნიჭიერი მოთამაშე გამოჩნდა”* – ამბობს კვარაცხელია.

სამეგრელო-ზემოსვანეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ამ მოდელის მთელ საქართველოში დანერგვის მომხრეა: *“სამეგრელოს რეგიონში ეს საკითხი გადაწყდა. მაგრამ დავიჯერო, რომ სხვა რეგიონებს ამის საშუალება არ გააჩნიათ? შარშან, ჩვენი გამოცდილებით ხელვაჩაურის რაიონის ხელმძღვანელობა დაინტერესდა და იქაც ბევრი ნიჭიერი ბავშვი აღმოაჩინეს. გაცილებით დიდ შედეგებს მივიღებთ, თუ სახელმწიფო დახმარების პროგრამა მთელ ქვეყანაში ამოქმედდება. რამდენი ნიჭიერი მოთამაშე იკარგება რაიონებში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, აღმოსავლეთ საქართველოში, თუნდაც თბილისში იმის გამო, რომ უფასო სკოლები თითქმის არ არსებობს? თუ სამეგრელოს 8 რაიონში 1500 ბავშვი მოვიზიდეთ, დანარჩენ 50 რეგიონში 12-15 ათას ბავშვს მაინც შევკრიბავთ. აბა, გავიხსენოთ, დღეისათვის სულ რამდენი ბავშვი დადის ფეხბურთზე? 14 ათასამდე! ანუ ერთი ამდენი კიდევ შეიძლება მოვიზიდოთ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალი ტალანტების გაზრდის მეტი შანსი გვექნება. ქართულ ფეხბურთს კი ამ რესურსის ათვისება სჭირდება. ამიტომ, ყველა რაიონის ხელმძღვანელობა უნდა მიხვდეს, რომ ფეხბურთის განვითარება ყველას საკუთარი რეგიონიდან შეუძლია, მხოლოდ სხვისი შემხედვარე არ უნდა ვიყოთ. ჩვენ თავად დავიწყოთ და როდესაც საფეხბურთო სკოლების დაფინანსება წესად იქცევა, სახელმწიფო კი უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგის გუნდებს მიხედავს, წრე შეიკვრება და ქართულ ფეხბურთს ეშველება. შესაძლოა, მსოფლიო გრანდებს კიდევ დიდხანს ვერ ვაჯობოთ, მაგრამ ჩამორჩენას მაინც შევამცირებთ. ახლა კი ქართული ფეხბურთის პოტენციალი აბსოლუტურად აუთვისებელია”.*

მერაბ მამულაშვილი

● დემიკო ლოლაძე-70

# შემთხვევითობიდან აუცილებლობისკენ!

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის, მხატვართა კავშირისა და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრ დემიკო ლოლაძეს ქართველი საზოგადოებისთვის განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. დავით ალმაშენებლის, იაკობ გოგებაშვილის, მემედ აბაშიძის, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის სახელობის პრემიების ლაურეატს სპორტის ქომაგები სახელოვან ფეხბურთელებზე (და არა მარტო მათზე) დაწერილი წიგნებით იცნობენ. „შოთა იამანიძე", „სლავა მეტრეველი", „ვლადიმერ ბარქაია", „გივი ჩოხელი", „მიხეილ მესხი", „ნოდარ ახალკაცი"... და კიდევ 45-მდე წიგნი, რომლებიც ბატონ დემიკო ლოლაძის კალამს ეკუთვნის.

ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ნიკოლაძისა და იაკობ გოგებაშვილის მედლების კავალერი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და სპორტის დამსახურებული მუშაკი დემიკო ლოლაძე დღეს გაზეთ „ლელოს" სტუმარია.



დემიკო ლოლაძე

**- ბატონო დემიკო, თქვენ ფილოლოგიური, იურიდიული და მუსიკალური განათლება გაქვთ. მკითხველებისთვის საინტერესო იქნება, რამ გიბიძგათ ჟურნალისტური საქმიანობისკენ.**

- სტუდენტობისას სულმნათი ილია ვეკუას ძალისხმევით სტუდენტთა იმ ჯგუფში მოვხვდი, 1966 წელს გაცვლითი პროგრამით პრაღას რომ გაემგზავრა. ინგლისში ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი ახალი დამთავრებული იყო, მაგრამ მისი ექო ჩეხოსლოვაკიაშიც ძალუმად იგრძნობოდა. ჩვენს მასპინძლებს იმ დროს ჰყავდათ შესანიშნავი მეკარე ფრანტიშეკ პლანიჩკა, რომელიც სამშობლოს გარეთაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა. არანაკლებად იყო ცნობილი, ვიდრე რუსეთში ლევ იაშინი. გადავწყვიტე, ჩეხი მეგობრების დახმარებით პლანიჩკას ინტერვიუ ჩამეწერა. მართლაც, შეხვედრაზე უარი არ უთქვამს. საათზე მეტი ვისაუბრეთ. მერე სურათები გადავიღეთ. ქართული სუვენირები ვაჩუქე.

პირველმა წარმატებამ გამათამამა და მადა გამილვიძა. ისევ ჩეხი სტუდენტების დახმარებით ჯერ 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კაპიტან იოზეფ მასოპუსტს შევხვდი, შემდეგ - პრაღის „სპარტის" ცენტრალურ თავდამსხმელ ივან მრაზს. თბილისში დაბრუნებულმა ინტერვიუებით ჩემს საყვარელ გაზეთ „ლელოს" რედაქციას მივაკითხე. მაშინ რედაქტორი იყო ბატონი მიხეილ კაკაბაძე, რომელიც უნივერსიტეტში ლექციებს მიკითხავდა. „ლელოსადმი" სიყვარულით ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვიყავი განმსჭვალული. მახსოვს, 10 წლისა მამასთან ერთად ხშირად ვიდექი „კიოსკთან" რიგში, რომ გაზეთი გვრგებოდა. ასაკის მიუხედავად, ინტენსიურად ვეცნობოდი პრესის ფურცლებზე დაბეჭდილ მასალებს. „ლელოდან" ყველა საფეხბურთო მატჩის მიმოხილვებს ვჭრიდი და წლების მიხედვით საქაღალდეებში ვალაგებდი. ჩემმა ამგვარმა საქმიანობამ დიდი სამსახური გამიწია ბოლო წლებში წიგნების დაწერისას.

**- და თქვენს ინტერვიუებს როგორ შეხვდნენ „ლელოში"?**

- შემაქეს, გამათამამეს. რა დამავიწყებს იმ კეთილგანწყობას, რასაც ჩემ მიმართ იჩენდნენ მიხეილ კაკაბაძე, ზურაბ ჯაფარიძე, ჯიმშერ ენუქიძე, ნოდარ გუგუშვილი, ოთარ ნოზაძე, ოთარ გელაშვილი, არჩილ მხეიძე. მოგვიანებით ასეთივე გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ თენგიზ გაჩეჩილაძე, ვანდი ხანდამიშვილი და არჩილ გოგელია. ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო: ოთარ გელაშვილმა მორაგბეთა შეხვედრაზე გამგზავნა „ლოკომოტივის" სტადიონზე. მეორე დღეს საფეხბურთო ტერმინებით გაძეძგილი წერილი ვაახლე ბატონ ოთარს. ჩუმად დახედა, გაელიმა, მაგრამ ხმა არ გაუღია. წერილი რომ დაიბეჭდა, შევცბი - ისე იყო შეცვლილი. აბა, რაგბიში კუთხურს რა უნდოდა. მაშინ მივხვდი, რომ ოვალური ბურთი ჩემი საქმე არ იყო და ამ სახეობაზე არც არასდროს დამიწერია.

**- წლების განმავლობაში ბევრი სახელოვანი ფეხბურთელის თამაში გინახავთ...**

- დიახ, მქონდა ბედნიერება, უშუალოდ მოედანზე მეხილა პელე, გარინჩა, ჯალმა სანტოსი, რივერა, მაცოლა, მარადონა, კემპესი, ბეკენბაუერი, ბობი ჩარლტონი, ეუსებიო, გერდ მიულერი, სტოიჩკოვი, სტრელცოვი, იაშინი... ცხადია, ყველას ვერ ჩამოვთვლი. ერთ რამეზე მწყდება გული: 1960 წელს სპეციალურად ჩავედი მოსკოვში ესპანეთის ნაკრების თამაშის სანახავად. მაშინ პირენეელთა შემადგენლობაში ბრწყინავდნენ დი სტეფანო და ჰენტო. სამწუხაროდ, ფრანკოს მთავრობამ, ესპანელებს მოსკოვში ჩასვლა აუკრძალა.

**- ქართველ ფეხბურთელთაგან ბევრთან გიმეგობრიათ.**

- დიახ, იყვნენ ასეთები: სერგო კოტრიკაძე, ბორის სიჭინავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, დოდიკ ხუნდაძე, ავთო ხელაძე, რეზო მახარაძე, ედუარდ დალაქიანი, რომლებიც დღეს ჩვენ შორის აღარ არიან. ფეხბურთელებში დღესაც უამრავი მეგობარი მყავს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვლადიმერ ბარქაია და მურთაზ ხურცილავა.

**- პირველი წიგნის იდეა როდის დაიბადა?**

- 1981 წელს მქონდა ბედნიერება, დიუსელდორფში თბილისის „დინამოს" ისტორიულ გამარჯვებას დავსწრებოდი და იქაური ბატალიები ფირზე ალმებეჭდა. შინ დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ ამ დაუვიწყარ ფაქტზე კრებულის დაბეჭდვა შეიძლებოდა. გამომცემლობა „ხელოვნების" რედაქტორმა ოთარ ეგაძემ იდეა აიტაცა და ასე გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი „დიუსელდორფის „რაინშტადიონზე" 50.000 ტირაჟით, რომელიც რამდენიმე დღეში გაიყიდა. მერე მას კიდევ 47 წიგნი მოჰყვა.

**- ბატონო დემიკო, ფაქტობრივად, ექვს ათეულ წელიწადზე მეტია, ფეხბურთით ცოცხლობთ. სპორტის ამ სახეობის დღევანდელ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

- მიხარია, რომ ბოლო დროს რაგბი ჩვენთან პოპულარული გახდა. რუმინელებთან ბოლო შეხვედრისას ბილეთებიც აღარ იშოვებოდა. ეს კარგია, მაგრამ ფეხბურთი?

**- მიზეზი?**

- დღეს ბავშვთა ფეხბურთი არ დგას იმ დონეზე, როგორიც ეს გასული საუკუნის 50-60-იან წლებში იყო. სად უნდა აღიზარდოს ფეხბურთელი? მინიმოედნებზე? თბილისში, და არა მარტო აქ, სტადიონები დაანგრიეს და საცხოვრებელი ადგილები ააშენეს. ბურთის გასაგორებელი ადგილები არ დაუტოვეს ბავშვებს. აუცილებლად უნდა აგონ პასუხი დედაქალაქის იმ მესვეურებმა, რომლებმაც ვაკეში ყოფილი სტუდქალაქის ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსი გაანადგურეს და ის ადგილი სახლების ასაშენებლად გაყიდეს. „დიდმა ბიზნესმენმა" ვახტანგ რჩეულიშვილმა 35-ე სკოლის ისტორიული საფეხბურთო მოედანი და სასპორტო დარბაზი ბაზრობად აქცია, მერე ვერ მოუარა და დღეს იქ ერთ-ერთი ავტოსკოლის სასწავლო ობიექტია. ვაკეში, ოქროსუბანში, ნახალოვკასა და ავლაბარში მოედნების გაუქმებით ბავშვთა ფეხბურთის ლახვარი ჩასცეს. წინა მთავრობამ უნიკალური სტადიონები დაანგრია ბათუმსა და ზუგდიდში. ამას ემატება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიტაცებული ტერიტორიები. თუ ეს პრობლემები არ მოგვარდა, ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება.

**- ბოლო წლებში ისე ინტენსიურად მუშაობთ წიგნების გამოცემაზე, ალბათ, 48-ზე არ გაჩერდებით...**

- ერთია წიგნის დაწერა, მეორე - მისი გამოცემა. წლების განმავლობაში უამრავი ადამიანი გვერდით რომ არ დამდგომოდა, მარტოს გამიჭირდებოდა. ყველა მათგანის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მაგრამ შეუძლებელია არ ალვნიშნო ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტის - ბატონ ზვიად სიჭინავას გულისხმიერება - ჩემი ბოლო ოთხი წიგნის გამოცემა სწორედ მისი დამსახურებაა.

ვატყობ, საუბარი გამიგრძელდა, ამიტომ დასასრულს ერთს დავძენ: დიდი მადლობა „ლელოს" რედაქციას, რომელმაც იუბილე მომილოცა და გაზეთში სტუმრობის პატივიც დამდო. ნახევარი საუკუნეა, ერთად მოვდივართ მე და „ლელო", რომელიც, ასევე, იუბილარია. ორიოდე დღეში 80 წელი შეუსრულდება. ჩემს საყვარელ გაზეთსა და მის შემოქმედებით კოლექტივს ვულოცავ ამ ზეიმს და ვუსურვებ „ლელო" მომავალშიც ისეთივე პოპულარული იყოს, როგორიც დღესაა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● ევროპალიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ



„ვალენსია" „მესტალიაზე" „ბაზელის" დასახვედრად ემზადება

# მესტალია სასწაულის მოლოდინში

## მარტივად ნათქვამი ძნელი: მოუგე იუვეს ტურინში

| 10 აპრილი | |
|---|---|
| ბენფიკა (პორ)-ალკმაარი (ჰოლ) | 23:05 (1:0) |
| იუვენტუსი (იტა)-ლიონი (საფ) | 23:05 (1:0) |
| სევილია (ესპ)-პორტუ (პორ) | 23:05 (0:1) |
| ვალენსია (ესპ)-ბაზელი (შვე) | 23:05 (0:3) |

ბომბარდირები: 8 - ხონათანა სორიანო (ზალცბურგი); 6 - რომან ბეზიაკი (ლუდოგორეცი); 5 - ოლქან ადინი (ტრაბზონი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი).

**დღეს ევროპალიგის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება. თითქოს, ოთხიდან სამ წყვილში ნახევარფინალისტის ვინაობა ცნობილია, თუმცა ევროპული ბატალიები სიურპრიზებით არის ალსავსე და ვნახოთ, შეძლებენ თუ არა პირველი მატჩების შემდეგ აუტსაიდერებად შერაცხილი გუნდები, „ვალენსია", „ალკმაარი" და „ლიონი" სასწაულის მოხდენას...**

### მთავარი მატჩი სევილიაში

სპეციალისტები მთავარ ბრძოლას სევილიის „სანჩეს პისხუანზე" ელიან, სადაც **უნაი ემერის** „სევილია" **ლუიშ კასტროს** „პორტუს" მასპინძლობს. „დრაგაუზე" პორტუგალიურ გრანდს კაპიტანმა **ელიაკიმ მანგალამ** მოაგებინა, როცა **რიკარდო კვარეჟმას** ჩაწოდებულს ვარდნაში თავით შეწვდა. მაგრამ საკმარისი იქნება 1-ბურთიანი უპირატესობა გუნდთან, რომელიც შინ დიდებულად თამაშობს? - „სევილიამ" ბოლო 6 საშინაო შეხვედრიდან 5 მოიგო.

დიდებულ ფორმაშია პსჟ-ს ექსფორვარდი **კევინ გამეირო**, ფრანგმა ბოლო 13 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა, მათ შორის დუბლი ამ უქმეებზე „ესპანიოლის" კარში. ევროპალიგაზე 26 წლის ფორვარდის ანგარიშზე 4 გოლია (1 გოლი კიდევ საკვალიფიკაციო ეტაპზე), ტურნირს შემორჩენილ გუნდებში ამდენივე გოლი აქვს გატანილი მხოლოდ **პაკო ალკასერს** (ვალენსია), თუმცა ბომბარდირ **ხონათან სორიანომდე** კიდევ 4 გოლი რჩება.

ლუიშ კასტროს ესპანეთში ბრაზილიელი ნახევარმცველის, ფერნანდოს გარეშე მოუწევს ფონს გასვლა, რადგან „დრაგაუზე" მან თამაშის დასრულებამდე 3 წუთით ადრე, წითელი ბარათი მიიღო. სევილიაში პორტუგალიური გუნდი კარგ განწყობაზე მიდის, „აკადემიკას" 3:1 მოუგო, ეს კი კასტროს კრებულის მეოთხე გამარჯვება იყო ხუთ შეხვედრაში.

### იქ, სადაც იუვე არ აგებს

ლიონის „ოლიმპიკი" პირველი გუნდი უნდა გახდეს 2014 წელს, ვინც „იუვენტუს არენაზე" მოიგებს, სხვანაირად ფრანგული კლუბი ევროპალიგის ნახევარფინალში ვერ გავა - დიახ, წლეულს, ტურინულ არენაზე მხოლოდ ერთი გუნდი იმარჯვებს, „იუვენტუსი". ტურინელებს წინა შეხვედრაში გადამწყვეტი უპირატესობა **ლეონარდო ბონუჩიმ** მოუტანა, მცველმა 84-ე წუთზე გაისროლა და „ბებერ ქალბატონს" 1:0 მოაგებინა.

**ანტონიო კონტეს** გუნდმა შინ ბოლოს ერთი წლის წინ წააგო, მაშინ ტურინს მიუნხენის „ბაიერნი" სტუმრობდა... მას მერე იქ „რეალს", „რომას", „ნაპოლის" და სხვებს უთამაშია, მაგრამ შინ მოგებული არავინ წასულა.

**რემი გარდმა** იცის, რომ მის გუნდს სასწაული სჭირდება: „იუვეს" წინააღმდეგ პირველ შეხვედრაში ჩემმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს. ძალიან გაგვიჭირდება ტურინში, რა თქმა უნდა, სასწაული გვჭირდება, რომ მოვიგოთ და ნახევარფინალში გავიდეთ".

თანაც, ტურინში ფრანგებს არ ეყოლებათ სამი წამყვანი მოთამაშე, **იოან გურკუფი, კლემან გრენიე** და **გუეიდა ფოფანა**. დაცვაში გარდი მოისაკლისებს **მამადუ დაბოსა** და **მიგელ ლოპეშს**, მოტეხილი ფეხით.

მასპინძლებს კი ლიდერი **არტურო ვიდალი** უბრუნდებათ, რომელმაც „ლივორნოსთან" მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. მოკლედ, თუ არ ჩავთვლით **ანდრეა ბარძალის**, კონტეს ყველა მოწინავე ფეხბურთელი უკვე მწყობრში ჰყავს, მათ შორის **კარლოს ტევესიც**.

შეგახსენებთ, რომ ევროპალიგის ფინალი ტურინში უნდა გაიმართოს.

### არწივები ხელის გაწვდენაზე

ბოლო 4 წელიწადში მესამე ნახევარფინალი ახლოსაა „არწივებისთვის" - პორტუგალიის ჩემპიონატის ლიდერის მხარეს ჰოლანდიაში მოგებული მატჩი და ისტორიაა.

„ალკმაარი" ახლა ძალიან ცუდ ფორმაშია, გუნდმა ბოლო 7 მატჩში მხოლოდ ერთი მოიგო, თუმცა ევროპალიგაზე სტუმრად კარგად თამაშობს, 6 მატჩია, არ დამარცხებულა, თუმცა ჰოლანდიელებს „და ლუჟზე" მოგება სჭირდებათ.

როგორც იქნა, გაიტანა პარაგვაელმა **ოსკარ კარდოსომ**, რომელმაც „რიუ ავესთან" შეხვედრაში დუბლი პენალტებით შეასრულა. სამხრეთამერიკელს 5-თვიანი „მშრალი" სერია ჰქონდა.

„ალკმაარს" ალბათ მუხლმტკივანი **დირკ მარსელისი** დააკლდება, „ბენფიკას" კი დისკვალიფიკაციამოხდილი **ენცო პერესი** უბრუნდება.

### შეუსრულებელი მისია?

**ხუან ანტონიო პიცის** გუნდი, თუკი ნახევარფინალში გასვლას შეძლებს, ამ ტურნირში პირველი გუნდი გახდება, რომელიც 0:3 ჩამორჩენას ალმოფხვრის, მაგრამ „ვალენსიას" მეტოქე შვეიცარიული „ბაზელია", ძლიერია და საკუთარ ძალებში დარწმუნებული გუნდი.

პირველ მატჩში, რომელიც შვეიცარიაში უმაყურებლოდ გაიმართა, **მატიას დელგადომ** დუბლი შეასრულა, არგენტინელის გოლებს კი **ვალენტინ შტოკერმა** ერთიც დაუმატა.

როდესაც ბოლოს „ბაზელი" „მესტალიას" ეწვია, ამ გუნდის ახლანდელი მწვრთნელი **მურად იაკინი** კაპიტანი გახლდათ, „ლამურებმა" კი 6:2 მოიგეს, მაგრამ მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა და ახლა ორრაუნდიანი ბრძოლის შემობრუნება ესპანელთათვის შეუსრულებელ მისიას ჰგავს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დორტმუნდის ბორუსია

# კლოპი: ვერ გავიტანეთ და...

## სასწაული არ მოხდა, მაგრამ დორტმუნდი სასწაულია!

„რეალთან“ პირველი მატჩის წინ დორტმუნდის „ბორუსიას“ კაპიტანი **სებასტიან კელი** ამბობდა, მადრიდელები დიდ პატივს გვცემენ და ჩვენი ეშინიათ კიდეცო. მადრიდში 0:3-ზე წაგების შემდეგ კელი ყველამ მასხრად აიგდო. თუმცა საპასუხო მატჩის შემდეგ „ბორუსიამ“ ისევ პატივისცემა დაიმსახურა.

**იურგენ კლოპის** გუნდმა, მიუხედავად თითქმის უიმედო მდგომარეობისა, მაინც შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა, მაქსიმუმი გაიღო და სასწაულამდე ძალიან ცოტა დააკლდა. **ჰენრიხ მხითარიანი** კი მატჩის ტრაგიკული გმირია, რადგან სწორედ მას შეეძლო მესამე გოლის გატანა - თანაც არაერთხელ.

ესეც ისეთი საჩემპიონთალიგო საღამო იყო, გულშემატკივრები ადვილად რომ ვერ ივიწყებენ ხოლმე. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დაფიქსირებული 3:0-ის შემდეგ მიმომხილველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ სპექტაკლი დასრულებულად ჩათვალა, მაგრამ მას მერე, რაც **ანხელ დი მარიამ** თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა, ხოლო დორტმუნდელებმა კი ამის შემდეგ აქტიურ პრესინგს მიმართეს, ყველა მიხვდა, რომ „დორტმუნდი“ მთლად უშანსოდ არ იყო.

„ბორუსიას“ მეკარემ **რომან ვაიდენფელერმა** კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა - არა მარტო იმიტომ, რომ პენალტი აიღო, არამედ კიდევ არაერთი შესანიშნავი „სეივის“ გამო. კლოპს ნათქვამი ჰქონდა, ჩვენი მიზანია, ყველას ვაჩვენოთ, რომ უშანსოდ არ ვართო და შეიძლება ითქვას, რომ „ბორუსიამ“ ამ მიზანს მიაღწია კიდეც. მეტიც, Lმატჩის მიწურულს მადრიდელები მძიმე წნეხის ქვეშ იყვნენ, დორტმუნდელებს კი მხოლოდ ერთი გოლიღა დააკლდათ.

*„ფაქტობრივად დაუჯერებელია ის, რაც დღეს ბიჭებმა მოახერხეს. ბოლო წუთამდე სჯეროდათ, რომ ნახევარფინალში გასვლა შეეძლოთ და ერთი წამითაც კი არ მოდუნებულან. მიუხედავად არაერთი წამყვანი ფეხბურთელის არყოფნისა, „რეალი“ დავჯაბნეთ. ამ გუნდით ყველამ უნდა ვიამაყოთ,“* - თქვა კლოპმა მატჩის შემდეგ.

„რეალს“ **კრიშტიანო რონალდო** აკლდა და, ცხადია, ძალიან დააკლდა, მაგრამ დორტმუნდელთა ბრწყინვალე თამაშს ეს ფაქტი არ აკნინებს. ვაიდენფელერთან ერთად განუმეორებელი იყო **მარკო როისი,** რომელმაც, გარდა იმისა, რომ დუბლი შეასრულა, „რეალის“ მცველებს მუდმივად წნეხავდა და აიძულებდა, შეცდომები დაეშვათ.

როისის დუბლის შემდეგ „ბორუსიას“ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ჰქონდა და სასწაულის სრულყოფა დორტმუნდელთა სომეხ გამთამაშებელ ჰენრიხ მხითარიანს შეეძლო, მაგრამ სამი, როგორც იტყვიან, „ასპროცენტიანი“ მომენტი ვერ გამოიყენა.

*„აუგს ვერც ერთ მოთამაშეზე ვერ ვიტყვი. ვერც მხითარიანზე, რომელმაც ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში აღარ გაუმართლა. ვერ გავიტანეთ და ვერ გავედით. მხითარიანის საგოლე მომენტებს თავი რომ დავანებოთ, ჰენრიხი დღეს შესანიშნავი იყო,“* - კლოპმა თავისი შეგირდი, რა თქმა უნდა, დაიცვა.

იურგენმა ისიც გაიხსენა, რომ მისმა შეგირდებმა საგოლე მომენტები პირველ მატჩშიც გაანიავეს და დასძინა: *„მადრიდში ხუთი რეალური შანსი გვქონდა და ერთი მაინც რომ გაგვეტანა, საპასუხო შეხვედრაში 2:0 უკვე საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ ნახევარფინალში გავსულიყავით და „რეალი“ ჩემპიონთა ლიგიდან ზედიზედ მეორედ გაგვეგდო.“*



ჰენრიხ მხითარიანს 2:0-ზე ორი რეალურზე რეალური საგოლე მომენტი შეექმნა

**გოტფრიდ ლენცი**

● კვირა ციფრებში

# ვეტერანი და ახალგაზრდა გოლეადორები

**ლუკა ტონი, ბაფეტიმბი გომისი, ჟოზე მოურინიო და მიუნხენის „ბაიერნი“ - ჩვენს დღევანდელ მომიხილვაში სწორედ მათზე ვისაუბრებთ...**

**125** - ე გოლი გაიტანა სერია A-ში ლუკა ტონიმ და „ვერონას“ რეკორდიც დაამყარა. 36 წლის ფორვარდმა ვერონულ დერბიში „კიევოს“ კარი დალაშქრა და საკუთარ გუნდს 1:0 მოაგებინა. ეს იყო ტონის მე-16 გოლი ამ სეზონში, რისი წყალობითაც მან **ჯანი ბუის** მიერ, 1968/69 წლების სეზონში დამყარებული საკლუბო რეკორდი გააუმჯობესა. ახლა, იტალიის ჩემპიონატის ყველა დროის ბომბარდირთა დავაში, ტონი მხოლოდ ორი გოლით ჩამორჩება **ანდრეი შევჩენკოს**. ასევე აღსანიშნავია, რომ „ვერონას“ თანაქალაქელთან სტუმრად 19 წელი არ ემარჯვა.

იტალიის ჩემპიონატში პირველი ჰეთთრიქი შეასრულა **მატია დესტრომ,** რომლის „რომამ“ „კალიარის“ 3:1 მოუგო. ახალგაზრდა ფორვარდმა ბოლო 6 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა, თუმცა, მისთვის და „რომასთვის“ სამწუხაროდ, მორიგი გამარჯვება მოიპოვა „იუვენტუსმა“, რომელმაც ორშაბათს „ლივორნოს“ 2:0 მოუგო. „იუვემ“ შინ ზედიზედ მე-16 გამარჯვება მოიპოვა და 1947/48 წლების სეზონის „ტორინოს“ რეკორდი გაიმეორა.

**100** - გოლი აქვს გატანილი ლიგა 1-ში **ბაფეტიმბი გომისს**, მას შემდეგ რაც მან „ვალანსიენის“ კარი დალაშქრა და „ლიონს“ 2:1 მოაგებინა. გომისმა 62 გოლი სწორედ „ლიონის“ რიგებში გაიტანა, 38-ჯერ კი მეტოქეთა კარი „სენტ ეტიენის“ ფორმით აიღო. გომისამდე, ბოლო ფეხბურთელი, ვინც ლიგა 1-ში მსგავს ნიშნულს მიაღწია, **მამადუ ნიანგი** იყო, ვინც მე-100 ბურთი 2009/10 წლების სეზონში გაიტანა. მართალია, ფრანგი ფორვარდი საოცრად შედეგიანი არასდროს ყოფილა, სამაგიეროდ ის ძალიან სტაბილურია, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 10 ან მეტი გოლის გატანა გომისმა ბოლო 8 სეზონში მოახერხა.

**53** - მატჩი და 17 თვე წაგების გარეშე ბუნდესლიგაში - „ბაიერნის“ ეს საოცარი სერია შაბათს, „აუგსბურგთან“ დასრულდა, რომელმაც მრისხანე მეტოქეს 1:0 მოუგო. „რეკორდმაისტერმა“ ასევე შეწყვიტა 65-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც მინიმუმ ერთი გოლი მაინც გაჰქონდა. **ხავი მარტინესმა,** ვინც „ბაიერნს“ 2012 წლის ზაფხულში შეუერთდა, ბუნდესლიგაში პირველი მატჩი წააგო. შეხვედრის ერთადერთი გოლი კი **საშა მიოლდერსმა** გაიტანა, რომელმაც „აუგსბურგის“ 4-მატჩიანი მოუგებელი სერია დაასრულა. საინტერესოა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ წუხანდელ თამაშამდე, „ბაიერნი“ 3-მატჩიანი მოუგებელი სერიით მივიდა, რაც მიუნხენურ გუნდს 2011 წლის შემდეგ პირველად დაემართა.

**8** - გასვლა ჩემპიონთა ლიგის 1/2 ფინალში. პსჟ-ს გამოგდების შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** სერ **ალექს ფერგიუსონს** გადაასწრო და ერთპიროვნული რეკორდსმენი გახდა. სამშაბათს მოპოვებული გამარჯვების წყალობით, პორტუგალიელმა ამ ტურნირის 1/4 ფინალში 100-პროცენტიანი შედეგი შეინარჩუნა - მისმა გუნდებმა ეს ეტაპი ყველა, რვავე შემთხვევაში გადალახეს და საუკეთესო ოთხეულში მოხვდნენ.

პორტუგალიელს ასევე შეუძლია იამაყოს იმით, რომ „ჩელსის“ ორივე გოლი ცვლილებაზე გამოსულმა ფეხბურთელებმა - **ანდრე შიურლემ** და **დემბა ბამ** გაიტანეს. მიმდინარე სეზონის ჩემპიონთა ლიგაში პირველად მოხდა, რომ ერთი გუნდის რიგებში ცვლილებაზე შემოსულმა ორმა ფეხბურთელმა გაიტანა.

1/2 ფინალში ისტორიის განმავლობაში 30-ედ გავიდა მადრიდის „რეალი“, რაც ყველა დროის რეკორდია. „ბორუსიასთან“ „სამეფო კლუბმა“ 0:2 წააგო და 34-მატჩიანი სერია დაასრულა, რომლის დროსაც ევროთასებზე მინიმუმ ერთი გოლი გაჰქონდა. ეს სერია 2011 წლის 27 აპრილს, „ბარსელონასთან“ წაგებული (0:2) მატჩის შემდეგ დაიწყო.

**ტატო ბაციკაძე**



უბრებელი ლუკა ტონი

● ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური



ადრიანომ კი გაიტანა, მაგრამ „ატლეტიკო“ მაინც გავარდა

# სტრონგესტი უფრო ძლიერი გამოდგა

ლიბერტადორესის თასზე ჯგუფური ეტაპის ბოლო, მე-6 ტური დაიწყო. I და III ჯგუფებში სამი საგზური იყო გასათამაშებელი, რადგან „ველეს სარსფილდს“ პირველი ადგილი ბოლო ტურამდეც განაღდებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, არგენტინელებმა უკანასკნელ შეხვედრაშიც იმარჯვეს და აუტსაიდერი „უნივერსიტარიო“ **რობერტო ნანის** გოლით დაამარცხეს.

ამ ჯგუფის მთავარი მატჩი ბოლივიაში გაიმართა, სადაც „სტრონგესტმა“ „ატლეტიკო პარანაენსეს“ უმასპინძლა. ბრაზილიელებს, 1/8 ფინალში გასასვლელად ქულა სჭირდებოდათ, თუმცა ლა პასში თამაში რომ ძალიან რთულია, ეს კარგად მოგეხსენებათ. მასპინძლები **მანოელის** ავტოგოლით დაწინაურდნენ, მაგრამ პირველი ტაიმის ბოლო წუთზე ფეხბურთში დაბრუნებულმა **ადრიანომ** ანგარიში გაათანაბრა. „იმპერატორმა“ გოლი ორწლიანი შესვენების შემდეგ გაიტანა და საკუთარ გუნდს ჯგუფიდან გასვლის შანსი შეუნარჩუნა, მაგრამ მეორე ტაიმში სტუმრებს თამაში და სირბილი კიდევ უფრო გაუჭირდათ, რასაც ლოგიკური შედეგი მოჰყვა - **ნელვინ სოლისმა** გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა და ბოლივიური კლუბი მომდევნო ეტაპზე გაიყვანა.

გაცილებით დაძაბული ბრძოლა იყო მესამე ჯგუფში, სადაც 1/8 ფინალში გასვლის შანსი ოთხივე გუნდს ჰქონდა. საბოლოოდ, მომდევნო ეტაპზე „სერო პორტენიო“ და „ლანუსი“ გავიდნენ.

„ლანუსმა“ არგენტინელებით სავსე „ოჰიგინსის“ შეტევები ბოლომდე მოიგერია და მოპოვებული ქულის წყალობით ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. პარაგვაულ „სერო პორტენიოს“ კი ევროპაში ნათამაშებმა ფეხბურთელებმა მოაგებინეს. მასპინძლები ჯერ 2008 წლის ევროპის ჩემპიონმა და ლა ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა, **დანიელ გუისამ** დააწინაურა, გამარჯვების გოლი კი თავის დროზე უნიჭიერეს ფეხბურთელად მიჩნეულმა, მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილმა მოთამაშემ, **ხულიო დოს სანტოსმა** გაიტანა, რომელიც ხუთი გოლით ლიბერტადორესის თასის ბომბარდირთა დავის სათავეში მოექცა.

**I ჯგუფი**

**ველესი-უნივერსიტარიო** 1:0

**გოლი:** 1:0 რ. ნანი (52)

**სტრონგესტი-ატლ. პარანაენსე** 2:1

**გოლები:** 1:0 მანოელი (38-საკ. კარში), 1:1 ადრიანო (45), 2:1 სოლისი (55)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 6 | 5 | 0 | 1 | 9-3 | 15 |
| 2. სტრონგესტი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 3. ატლ. პარანაენსე | 6 | 3 | 0 | 3 | 7-7 | 9 |
| 4. უნივერსიტარიო | 6 | 0 | 1 | 5 | 3-10 | 1 |

**III ჯგუფი**

**სერო პორტენიო-დეპ. კალი** 3:2

**გოლები:** 0:1 მარუგო (12), 1:1 პაიარესი (37-საკ. კარში), 2:1 გუისა (45), 2:2 რივასი (62), 3:2 ხულიო დოს სანტოსი (80-პენ)

**გაძევება:** ა. პერესი (79. დეპორტივო კალი)

**ოჰიგინსი-ლანუსი** 0:0

**გაძევება:** ს. სილვა (86. ლანუსი), პ. ერნანდესი (88. ოჰიგინსი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერო პორტენიო | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 2. ლანუსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-5 | 8 |
| 3. ოჰიგინსი | 6 | 1 | 4 | 1 | 5-5 | 7 |
| 4. დეპ. კალი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |

**ბომბარდირები:** 5 - ხულიო დოს სანტოსი (სერო პორტენიო); 4 - ფალკონი (სამორა), ფელიპე გედოსი (დეფენსორი)

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარი სენ-ჟერმენი

# ყველაფერს ფულით ვერ იყიდი

## სხვა დანარჩენისთვის მოურინიო არსებობს

„პარი სენ-ჟერმენი" ზედიზედ ორი სეზონია, ჩემპიონთა ლიგას „მეტოქის მინდორზე გატანილი გოლის" წესის გამო ეთიშება და პარიზელთა ბანაკში რასაკვირველია, ტრაურია.

პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი **ლორან ბლანი**: *„ჩვენ ბოლო 5 წუთში წავაგეთ. ვფიქრობ, კარგად გამოვიყურებოდით და ვცდილობდით, მეტოქისთვის ჩვენი თამაში მოგვეხვია თავს. თუმცა მატჩი ძალიან დამღლელი გამოდგა, დიდ ენერგიას მოითხოვდა და ფიზმომზადებით „ჩელსი" გვჯობს. რა შეიცვალა პსჟ-სთვის ამ მარცხის მერე? არაფერი. ჩვენ ზრდა უნდა გავაგრძელოთ და კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. ჩემპიონთა ლიგას ასე უბრალოდ 2-3 წელიწადში ვერ მოიგებ. რაც შეეხება იბრაჰიმოვიჩს, საბოლოო შედეგს თუ გადავხედავთ, მისი არყოფნა ნამდვილად შეგვიძლია ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ჩავთვალოთ იმისა, რომ ნახევარფინალში გასვლა ვერ მოვახერხეთ".*

დიახ, ზლატანი არ იყო, და რასაკვირველია, ეს „პარი სენ-ჟერმენის" თამაშზე აისახა. სამაგიეროდ, იბრაკადაბრა მატჩის შემდეგ უკნიდან მიეპარა **ჟოზე მოურინიოს**, რომელიც იმ მომენტისთვის ჩელსის ტელეარხს ინტერვიუს აძლევდა, გადაეხვია და განსაკუთრებულმა ფეხბურთელმა განსაკუთრებული წარმატებები უსურვა განსაკუთრებულ სპეციალისტს.



პსჟ-ს სულ ცოტა დააკლდა სანუკვარ მიზნამდე

პარიზელების მისამართით საინტერესო რეპლიკა ისროლა „ჩელსის" ყოფილმა ფეხბურთელმა **პეტ ნევინმა**: *„ჩელსი" ყოველთვის პოულობს გამარჯვების ხერხს და გზას. „პარი სენ-ჟერმენმა" კი კიდევ ბევრი უნდა ისწავლოს ევროპაში. თქვენ შეიძლება დახარჯოთ ბევრი ფული, რაც გააკეთეთ კიდეც, მაგრამ მოურინიომ იცის, როგორ მოიგოს. როდესაც ცოტა ხნის წინ „ტოტენჰემი" ჩავიდა „ენფილდზე", მე მქონდა შეგრძნება, რომ „ლივერპული" მოიგებდა. ეს შეგრძნება თითქოს ჰაერში დაფრინავდა. რაღაც ასეთი ტრიალებდა ახლა „სტემფორდ ბრიჯზეც". აქ ტაქტიკაც არაფერ შუაშია, უნდა შეგეძლოს და იცოდე, თავდაჯერებისა და სიმშვიდის შენარჩუნება".*

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც პსჟ-მ ორბურთიანი უპირატესობა ვერ გამოიყენა და ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა გამოუცდელობაა და სწორედ ამაზე საუბრობს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ბლეზ მატუიდი**:

*„ასეთ დონეზე თამაშის გამოცდილება დაგვაკლდა. ძალიან ძლიერ მეტოქეს შევხვდით და გაგვიჭირდა. გვქონდა მომენტები, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ, რიგ ეპიზოდებში უკეთ უნდა გვეთამაშა, ძალიან გულდაწყვეტილები ვართ. არადა, ყველაზე რთული ნაწილი უკვე გაკეთებული გვქონდა, ლონდონში ორბურთიანი უპირატესობით ჩამოვედით. პსჟ ზედმეტად დაცვაში იდგა, ისეთ მეტოქესთან როგორიც „ჩელსია", რომელიც საკუთარ კედლებში განსაკუთრებით კარგად თამაშობს"* - თქვა ნახევარმცველმა, რომელსაც 9 აპრილს 27 წელი შეუსრულდა.

დამწუხრებული იყო **ედინსონ კავანი**, რომელმაც რამდენიმე მომენტი ვერ გამოიყენა. ურუგვაელმა ფეხბურთელმა გაიხსენა „ნაპოლიში" ყოფნისას „ჩელსისთან" მოგებული პირველი მატჩი: *„მაშინ მეგონა, ლონდონელებზე უკეთეს გუნდში ვთამაშობდი, ახლაც პირველი თამაშის მერე მეგონა, რომ „ჩელსიზე" ძლიერ გუნდში ვიყავი, მაგრამ ორჯერვე შევცდი".*

სხვათა შორის, კავანის შეუძლია ამ „ტანჯვას" წერტილი დაუსვას და თავად მოირგოს „ლურჯების" ლურჯი მაისურა, როგორც იცით, „ჩელსის" და პირადად მოურინიოს პსჟ-ს ფორვარდის ხელში ჩაგდება ძალიან უნდათ და ამისთვის ლონდონელები ყველაფერს გააკეთებენ.

**P.S. არადა, პსჟ-ს ხელმძღვანელობა ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში თითოეულ ფეხბურთელს 450 ათას ევროს ჰპირდებოდა, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის - თითოეულს მილიონს...**

**გიორგი პაპაბაძე**

---

ჩელსი

# უზეხი სულის გამოძახილი

„პარი სენ-ჟერმენს" „სტემფორდ ბრიჯზე" **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** დააკლდა. ვერ დავიჩემებთ, რომ მხოლოდ ამის ბრალი იყო, თუმცა 32 წლის შვედის გარეშე პარიზელები ნამდვილად უკბილოდ გამოიყურებოდნენ. რეალური საგოლე მომენტებიდან **ესეკილ ლავეცის** ჯარიმას, **ედინსონ კავანის** პირისპირ გასვლასა და ბოლო წამებზე **მარკინიოსის** ახლო მანძილიდან დარტყმას თუ გავიხსენებთ. მასპინძელთა შანსებზე კი ბევრს აღარ ვილაპარაკებთ, რადგან მატჩის მიმოხილვა ოპერატიულად უკვე შემოგთავაზეთ. თამაშის დასრულების შემდეგ **ჟოზე მოურინიოს** სრული საფუძველი ჰქონდა ეამაყა როგორც მთლიანად გუნდით, ისე საკუთარი გადაწყვეტილებებით. „ლურჯების" ორივე გოლი ხომ შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს. „განსაკუთრებული კაცი" ჟურნალისტებთან განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე იყო. აქვე გეტყვით, რომ პორტუგალიელი პირველი მწვრთნელი გახდა, ვინც მერვედ მოახერხა ლიგის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა. ამ ეტაპზე მას ოთხ გუნდთან ერთად მიუღწევია - „პორტუსთან" (2004), „ჩელსისთან" (2005, 2007, 2014) „ინტერთან" (2010) და „რეალთან" (2011, 2012, 2013).

**ჟოზე მოურინიო**: *„ბიჭებმა თავიდან ბოლომდე შეასრულეს სამატჩო გეგმა. „ჩელსი" ერთიანი ორგანიზმია და ერთიანი ძალისხმევით ვიგებთ, თუკი ვმარცხდებით, ესეც ყველას ბრალია. ერთადერთი, რაც არ იცვლება, ეს ჩვენი თავდადებაა. დღეს ურთულესი ამოცანა ამოვხსენით. პსჟ-ს ბოლო წუთებზე რომ გაეტანა და ბრძოლა დაგვესრულებინა, ვფიქრობ, ფეხბურთელების თავდადებით მაინც ყველანი ვიამაყებდით. დიდებული შედეგია, მაგრამ ამაში განსაკუთრებული მაინც არაფერია, რადგან მეც და „ჩელსისაც" ნახევარფინალებში თამაშის უზარმაზარი გამოცდილება გვაქვს.*

*მიხარია დემბა ბას წარმატება. ის მაღალი დონის პროფესიონალი, ნამდვილი გუნდური მოთამაშე და უბრალოდ კარგი ბიჭია. ის ფაქტი, რომ ტორესზე ადრე შევუშვი სათამაშოდ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ მას სულაც არ მივიჩნევ მესამე თავდამსხმელად. ბამ პარიზელებს ისეთი პრობლემები შეუქმნა, რომელსაც ფრანგული ლიგას 1-ის გუნდები ვერ ახერხებენ.*

*2:0-ის შემდეგ ფეხბურთელებისკენ იმიტომ კი არ გავიქეცი, რომ მათთან ერთად მეზეიმა, არამედ იმის ასახსნელად, რას ვითხოვდი მათგან ბოლო წუთებზე. ასეთ დროს ფეხბურთელთა ნაწილმა, შესაძლოა, საქმე დამთავრებულად ჩათვალოს. ჩვენი გასვლის საკითხი კი ბოლო წამებამდე კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. ეს იყო უკანასკნელი შანსი, რომ ბას, ტორესისა და შიურლესთვის დავალებები მიმეცა.*

*აზარის ტრავმის სირთულეზე ვერაფერს მოგახსენებთ. მან თამაშის დაწყებიდან ზუსტად 10 წუთში მოითხოვა შეცვლა. კუნთის თუნდაც ყველაზე მსუბუქმა დაზიანებამ ფეხბურთელი შეიძლება ორი კვირით დატოვოს უსაქმოდ.*

*1/4-ფინალში 8 ღირსეული გუნდი იყო გასული. თავად წარმოიდგინეთ, რამდენად რთული იქნება მომდევნო ეტაპი. ვინც უნდა შეგვხვდეს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მეტოქე ძალიან ძლიერი იქნება. ლიგაში ისედაც შესუსტებული შემადგენლობით გვიწევს თამაში, რადგან სალაჰსა და მატიჩს ვერ ვიყენებთ, დისკვალიფიკაციის გამო გამოგვაკლდება ივანოვიჩიც. მიუხედავად ამისა, შევეცდებით, ფეხბურთისგან მაქსიმალური სიამოვნება მივიღოთ, ზუსტად ისე, როგორც დღეს".*

**ჯონ ტერი**: *„პირველი გოლის შემდეგ გუნდმა საბოლოოდ დაიჯერა, რომ მოგება შეიძლებოდა. უზარმაზარი ზეწოლის მიუხედავად, მხოლოდ ბოლო წუთებზე შევძელით სასურველი ანგარიშის დაფიქსირება. მადლობა ბას კლუბის სახელით. ჩვენს შესაძლებლობებში ეჭვი ბევრს ეპარებოდა, თუმცა დავამტკიცეთ, რომ „ჩელსის" გატეხა არც ისე იოლია".*

**დემბა ბა**: *„ყველაფერი იმდენად სწრაფად მოხდა, რომ მხოლოდ რამდენიმე წამში აღვიქვი, მას მერე, როცა ძირს დაცემულმა ბურთი ბადეში დავინახე. ფანტასტიკური მომენტი იყო თითოეული ჩვენგანისთვის. ყველანი ემოციების ტყვეობაში აღმოვჩნდით, სტადიონი უბრალოდ გაგიჟდა. მე გავაკეთე ის, რასაც ჩემგან ითხოვდნენ. მომეცა შანსი და გამოვიყენე".*

P.S. წინასწარი მონაცემებით, **ედენ აზარი** მუხლქვეშა მყესის დაზიანების გამო გუნდს უახლოესი ოთხი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

**ლევან ბიბილაშვილი**



ანგარიში ანდრე შიურლეს ამ დარტყმის შემდეგ გაიხსნა

---

რეალი

# რეალმა ბეწვის ხიდზე გაიარა

მადრიდის „რეალმა" დორტმუნდში ძალიან მძიმე შთაბეჭდილება დატოვა და რომ არა **ჰენრიხ მხითარიანის** უიღბლობა, 1/2 ფინალში „ბორუსია" გავიდოდა და არა „სამეფო კლუბი".

ესპანელებს ყველაფრის გადაწყვეტა შეხვედრის დებიუტშივე შეეძლოთ, მაგრამ **ანხელ დი მარიას** პენალტის შესრულებისას ფეხი დაუცდა და დარტყმა **რომან ვაიდენფელერმა** მოიგერია. ამ ყველაფერმა „ბორუსიას" ძალები შემატა, **კარლო ანჩელოტის** შეგირდები კი ზედმეტად თავდაჯერებულად გამოიყურებოდნენ, რასაც ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა და პირველი ტაიმი დორტმუნდელებმა 2:0 მოიგეს. ორივე შემთხვევაში მასპინძლებმა მადრიდელი ფეხბურთელების შეცდომით ისარგებლეს - ჯერ **პეპემ** ჩააბარა ბურთი **მარკო როისს**, შემდეგ კი **ასიერ ილიარამენდიმ**.

*„შესაძლოა, კარგიც არის, რომ დღეს ასეთი რამ დაგვემართა. მსგავსი თამაშები გუნდის გამოსაფხიზლებლად აუცილებელიც არის. კარგია, რომ ეს ყველაფერი სწორედ დღეს გადავიტანეთ და არა მომავალ შეხვედრებში"*, - განაცხადა თამაშის შემდეგ **იკერ კასილიასმა**, ვინც თავისი გუნდი რამდენიმე ეპიზოდში იხსნა.

გუნდის თამაშით უკმაყოფილო იყო **ლუკა მოდრიჩი**, რომლის აზრითაც „რეალი" საკუთარ შეცდომებზე ვერ სწავლობს:

*„არ ვიცი რა დაგვემართა. როგორც ჩანს, იმის გამო რომ პირველი მატჩი 3:0 მოვიგეთ, გვეგონა რომ მომდევნო ეტაპზე განსაკუთრებული პრობლემის გარეშე გავიდოდით. ზუსტად ვერ გეტყვით. ფაქტია, რომ საკუთარ შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ. რა თქმა უნდა, ნახევარფინალში გასვლა გვიხარია, მაგრამ ჩვენი თამაშის გამო ბედნიერები ნამდვილად არ ვართ. განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში გამოვიყურებოდით. მომავალში მსგავსი რამ არ უნდა დაგვემართოს. საბედნიეროდ, მეორე ნახევარში უკეთ ვითამაშეთ და მომდევნო ეტაპზე გავედით".*

გუნდის თამაშით უკმაყოფილი იყო კარლო ანჩელოტიც, თუმცა იტალიელმა სპეციალისტმა ყურადღება უფრო იმაზე გაამახვილა, რომ გუნდმა მეორე ტაიმში გამოიღვიძა და გაცილებით უკეთ ითამაშა:

*„დღეს ვიწვალეთ, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა. თამაში ძალიან რთული გამოდგა, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, რომელშიც ბევრი შეცდომა დავუშვით და მეტოქეს ბურთი არაერთხელ ჩავაბარეთ. შესვენების შემდეგ გაცილებით უკეთ ავთამაშდით. გუნდს პირველი ტაიმის შემდეგ გამხნევება სჭირდებოდა. გარკვეულ გადაადგილებებს მივმართეთ, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. ჩემი აზრით, შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი დი მარიას გაფუჭებული პენალტი იყო, რის შემდეგაც „ბორუსია" კარგად ათამაშდა".*



კაზემირო 1/2 ფინალში გასვლას ზეიმობს

იტალიელმა სპეციალისტმა **კრიშტიანო რონალდოს** შესახებაც ისაუბრა:

*„რონალდო თავს კარგად გრძნობდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ მისი ჯანმრთელობის რისკის ქვეშ დაყენება არ ღირდა. ის ბოლომდე მზად იქნება ნახევარფინალებისთვის, სადაც ორი ურთულესი მატჩი გველის, რადგან ტურნირის ამ ეტაპზე სუსტი გუნდი ვერ მოხვდება".*

კომენტარი გააკეთა **სერხიო რამოსმაც**, რომელმაც „დორტმუნდი" შეაქო და ნახევარფინალში „ჩელსისთან" შესაძლო შეხვედრაზეც ისაუბრა:

*„ბორუსიას" დიდ პატივს ვცემ. მათ შესანიშნავი გუნდი ჰყავთ, რომელსაც საოცარი გულშემატკივრების მხარდაჭერით სასწაულების მოხდენა შეუძლია. ამ გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შარშან ფინალში შემთხვევით არ გასულა. მიუხედავად პირველ შეხვედრაში დაფიქსირებული შედეგისა, მაინც სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. მეორე ნახევარში ბურთი გავაკონტროლეთ და ვფიქრობ, ნახევარფინალის საგზური დამსახურებულად მოვიპოვეთ. რაც შეეხება „ჩელსისთან" შესაძლო შეხვედრას: ვფიქრობ, ჩვენთვის ეს არც კარგი იქნება და არც ცუდი, რადგან იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ძლიერ გუნდებს უნდა აჯობო. „ჩელსიმ" ამ ეტაპზე გასვლა კარგი თამაშის წყალობით დაიმსახურა".*

აქვე, შეგახსენებთ, რომ „რეალი" 1/2 ფინალში ზედიზედ მეოთხედ გავიდა. წინა სამი მცდელობა გუნდისთვის წარუმატებელი იყო - 2011 წელს მადრიდელებმა „ბარსელონასთან" წააგეს, 2012-ში „ბაიერნთან", შარშან კი „ბორუსიასთან" დამარცხდნენ.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# ოფიციალურად: რამოსი დორტმუნდში მიდის!

## ბორუსია კოლუმბიელ თავდამსხმელს 4-წლიან კონტრაქტს გაუფორმებს



ადრიან რამოსი მომავალი სეზონიდან დორტმუნდელი იქნება

ის, რაზეც გერმანული პრესა დიდი ხნის წინ წერდა, ახლა უკვე ოფიციალურად დადასტურდა: ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნიდან ერთი დღის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიამ" საჯაროდ გამოაცხადა, რომ ბერლინის „ჰერტას" გოლეადორი **ადრიან რამოსი** მომავალი სეზონიდან **იურგენ კლოპის** შეგირდი გახდება. 28 წლის კოლუმბიელი თავდამსხმელი „ბორუსიაში" 4-წლიან კონტრაქტს მიიღებს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „დორტმუნდი" „ჰერტას" 9 მილიონ ევროს გადაურიცხავს. ამრიგად, უკვე დადასტურებულია, რომ „ბაიერნში" მიმავალ **რობერტ ლევანდოვსკის** „დორტმუნდში" სწორედ რამოსი შეცვლის.

*„ადრიან რამოსი შესანიშნავი ფეხბურთელი და ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ვფიქრობ, რომ ის ზუსტად ესადაგება „დორტმუნდის" თამაშის სტილს,"* - აცხადებს „ბორუსიას" სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**. ცნობილია, რომ დორტმუნდელებს რამოსის გადაბირება დიდი ხანია, უნდოდათ.

რამოსი „ჰერტაში" 2009 წლის ზაფხულიდან თამაშობს და მას მერე ბუნდესლიგის 89 შეხვედრაში 32 გოლის გატანა მოახერხა. მარტო ამ სეზონში კი რამოსის ანგარიშზე უკვე 16 გოლია. მასზე მეტი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში მხოლოდ ბაიერნელ **მარიო მანჯუკიჩს** და ხსენებულ ლევანდოვსკის აქვთ გატანილი (17-17).

ადრიან რამოსი საგოლე გადაცემების გაკეთებითაც გამოირჩევა: ამ სეზონში მის ანგარიშზე უკვე 7 პასია. „ჰერტას" სულ 37 გოლი აქვს გატანილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბერლინელთა გოლების 62 პროცენტში რამოსს უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული.

არის თუ არა რამოსი ლევანდოვსკის ღირსეული შემცვლელი, ამას დრო გვიჩვენებს. ფაქტია, რომ პოლონელმა „ბორუსიაში" პატარა ერა შექმნა. ლევანდოვსკი „დორტმუნდში" 4 წლის წინ გადავიდა და „შავ-ყვითლებში" სუპერვარსკვლავად ჩამოყალიბდა. 25 წლის რობერტს ბუნდესლიგის 126 მატჩში 71 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში კი 28 შეხვედრაში 17-ჯერ იხეირა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

### სლომკა მეორე ბუნდესლიგაშიც იმუშავებს

„ჰამბურგის" მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** განაცხადა, რომ თუ ჩრდილოგერმანული კლუბი მეორე ბუნდესლიგაში გავარდება, გუნდს არ მიატოვებს და არაპრესტიჟულ ლიგაშიც იმუშავებს. *„იმედია, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, „ჰამბურგში" დავრჩები,"* - უთხრა 46 წლის სლომკამ ჟურნალ „შპორტ ბილდს". ბუნდესლიგის მომდევნო ტურში „ჰამბურგს" „ჰანოვერთან" უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს.

### ჰოფმანი 5 მატჩით დასაჯეს

ჰანოვერელი **ანდრე ჰოფმანისთვის** ეს სეზონი უკვე დამთავრდა. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ 21 წლის მცველს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ჰოფმანი კვირას, „ბრაუნშვაიგთან" დერბიში, რომელიც „ჰანოვერმა" 0:3 წააგო, მოედნიდან გააძევეს.

### ვოლფსბურგს სანტოსის თავდამსხმელი უნდა

დიდი შანსია, რომ მომავალი სეზონიდან „ვოლფსბურგი" ბრაზილიელმა საყრდენმა ნახევარმცველმა **ლუის გუსტავომ** და ხორვატმა თავდამსხმელმა **ივიცა ოლიჩმა** დატოვონ. შესაბამისად, „მგლებმა" მათი შემცვლელების ძებნა უკვე დაიწყეს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „რეალის" თავდამსხმელ **ალვარო მორატასთან** ერთად, ვოლფსბურგელებს „სანტოსის" ფორვარდი **ლეანდრო დამიაოც** აინტერესებთ. ამ უკანასკნელს ბრაზილიის ნაკრებში 17 მატჩი აქვს ჩატარებული (3 გოლი).

### დრმიჩი ლევერკუზენში მიდის?

ლევერკუზენის „ბაიერმა" ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაშითა და ტრანსფერებით დაახლოებით 40 მილიონი ევრო გამოიმუშავა. „ფარმაცევტები" კრიზისში არიან, მწვრთნელი გაუშვეს და დიდი შანსია, რომ მომდევნო სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგის საგზური ველარ მოიპოვონ. შესაბამისად, კლუბის ხელმძღვანელები მიხვდნენ, რომ ფული უნდა დახარჯონ! „შპორტ ბილდის" ინფორმაციით, „ლევერკუზენს" ნიურნბერგის გოლეადორის, **იოზიპ დრმიჩის** შეძენა უნდა. გარდა ამისა, „ბაიერს" ფრანკფურტის „აინტრახტის" ახალგაზრდა მარჯვენა მცველი **სებასტიან იუნგიც** აინტერესებს.

**გოტფრიდ ლენცი**

### იუვე იყიდის და არ გაყიდის

ტურინის „იუვენტუსის" გენერალურმა დირექტორმა **ბეპე მაროტამ** განაცხადა, რომ „ბებერი ქალბატონი" ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებს, მაგრამ ზომიერად. „ბაზარს და არსებულ ბალანსს პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ „იუვენტუსი" ფეხბურთელებს იყიდის და არ გაყიდის. უშუალოდ ამ მომენტში ჩვენ ტიტულის მოგებაზე ვართ კონცენტრირებულნი და საბედნიეროდ გვყავს ისეთი მწვრთნელი, რომელმაც იცის, როგორ მოიქცეს მსგავს სიტუაციებში" - განაცხადა მაროტამ.

### კროოსი რჩება!

**ტონი კროოსის** აგენტი **ფოლკერ შტრუტი** მისი კლიენტის გარშემო არსებული მითქმა-მოთქმით დაიღალა და განაცხადა, რომ კროოსი „ბაიერნში" სულ მინიმუმ მხარეებს შორის მოქმედი კონტრაქტის ბოლომდე ანუ 2015 წლის ზაფხულამდე დარჩება. *„ბოლო დროს ტონის გარშემო ძალიან ბევრი საუბარია და უამრავი ჭორი გავრცელდა. ჩვენ ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებთ, გარდა იმისა, რომ კროოსი 2015 წლის ზაფხულამდე მაინც „ბაიერნში" დარჩება"* - თქვა შტრუტმა.

შეგახსენებთ, რომ კროოსი „ბაიერნში" მისი ამჟამინდელი მდგომარეობით არც ისე ბედნიერია და 24 წლის ნახევარმცველით განსაკუთრებით დაინტერესებული „მანჩესტერ იუნაიტედია".

### ტონის ბრაზილიაში სურს

ვეტერან იტალიელ ფორვარდ **ლუკა ტონის**, რომელიც 26 მაისს 37 წლის გახდება, იმედი აქვს, რომ **ჩეზარე პრანდელი** მას მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანს. ყოველ შემთხვევაში, თავად „ვერონას" ფორვარდი მიიჩნევს, რომ ამას იმსახურებს. მას მართლაც კარგი სეზონი აქვს, ტონის ანგარიშზე 16 გოლია და იგი ბომბარდირთა დავაში მხოლოდ „იუვენტუსის" ფორვარდ **კარლოს ტევესსა** და „ტორინოს" თავდამსხმელ **ჩირო იმობილეს** ჩამორჩება, რომელთა ანგარიშზეც 18-18 გოლია.

*„იმედი მაქვს, რომ მწვრთნელი მუნდიალზე დამიძახებს. ამ სეზონში 16 გოლი მაქვს გატანილი და არც ერთი პენალტით! ვფიქრობ, რომ კარგად გამოვიყურები, მაგრამ დაველოდოთ გადაწყვეტილებას"* - თქვა ტონიმ.

### ინტერს სონგიც მოუნდა

მილანის „ინტერი" საყრდენი ნახევარმცველის ძიებას აპირებს და ამჯერად **ალექსანდრ სონგით** დაინტერესდა. 26 წლის ფეხბურთელის თამაშით „ბარსელონაში" არც ისე კმაყოფილები არიან და თავად „არსენალის" ექსმოთამაშეც არ გამორიცხავს „კამპ ნოუდან" წასვლას. შეგახსენებთ იმასაც, რომ „ნერაძური" „ჩელსის" **ჯონ ობი მიკელის** დამატებაზეც ფიქრობს.

**გიორგი პაპაბაძე**



● ინტერვიუ. ჯანლუიჯი ბუფონი




ჯანლუიჯი ბუფონი სიმონე სკუფეტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს

# სკუადრა აძურას სიურპრიზები ეხერხება

## სკუფეტი მუნდიალზე წასვლას იმსახურებს

**იტალიური** ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი აპენინელ სპორტულ ჟურნალისტებს ესაუბრა და აქტუალურ თემებზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. ჯიჯიმ სერია A-ში არსებულ ვითარებაზე, მოახლოებულ მუნდიალზე და კალჩოს ახალ თაობაზე ილაპარაკა...

### სერია A

ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ დღეს, იტალიის საუკეთესო გუნდი „იუვენტუსია". ამიტომ, ჩვენი ლიდერობა და სვლა მორიგი სკუდეტოსკენ სრულიად ლოგიკურია. კლუბის მესვეურები წლების განმავლობაში სწორ სატრანსფერო პოლიტიკას აწარმოებდნენ და ამან მოგვცა კიდეც შესაბამისი შედეგი. არ მინდა სხვა გუნდებს შევეხო, მაგრამ როდესაც „მილანი" **ანდრეა პირლოს** უშვებდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** და **ტიაგო სილვას** ასხვისებდა, ჩვენ ფეხბურთელთა დამატებით ვიყავით დაკავებულნი. შესაბამისად, „იუვეს" დომინირება მოსალოდნელი იყო და კანონზომიერია.

მიმდინარე სეზონში, „რომამ" გაგვაოცა და ეს გუნდი ჯერ კიდევ ითვლება ჩვენს კონკურენტად. სანამ სკუდეტოს ოფიციალურად არ გავინაღდებთ, იქამდე თითოეულ შეხვედრაში ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ. მცირე ჩავარდნა და კონკურენტი წამოგვეწევა, ეს უნდა გვახსოვდეს.

### დესტროს დისკვალიფიკაცია

**მატია დესტროს** 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც არა მარტო რომაელებმა, ჩვენც განვიცადეთ. დიახ, ასეა და დამიჯერეთ, არ ვთვალთმაქცობ. მატია ბრწყინვალე ფორვარდია, ჩემი სურვილი კი ის გახლავთ, რომ სერია A მაქსიმალურად მიმზიდველი და საინტერესო იყოს. ვისაც მეტოქის ტრავმა, ან დისკვალიფიკაცია ახარებს, ის უბრალოდ არაა პროფესიონალი და მოედანზეც არაფერი ესაქმება.

იქონიებს თუ არა გავლენას დისკვალიფიკაცია დესტროს ბრაზილიაში გამგზავრებაზე? - ვერაფერს გეტყვით და უმჯობესია ამ თემაზე **ჩეზარე პრანდელის** ჰკითხოთ. იტალიის ნაკრებში დიდი კონკურენციაა და არაა გამორიცხული, მთელი თვის გაცდენამ ფეხბურთელს დათვური სამსახური გაუწიოს, მაგრამ იმედია ეს ასე არ მოხდება. ერთში დარწმუნებული ვარ, დესტრო იტალიის ნაკრებს სჭირდება.

### მუნდიალი

მიუხედავად იმისა, რომ საკლუბო სეზონი ჩასამთავრებელია, ჩვენი ფიქრები უკვე დასტრიალებს მუნდიალს. წინ საუკეთესო ჩემპიონატი გველის, რომლის მსგავსი აქამდე არ გვინახავს. ბრაზილიაში საოცარი ატმოსფეროა და წარმომიდგენია, რა იქნება მუნდიალის მსვლელობისას. ჩვენთვის დამატებითი მოტივაციაა, რომ ფავორიტად არავინ მიგვიჩნევს ასეთ დროს კი „სკუადრა აძურას" სიურპრიზების შემოთავაზება ეხერხება.

იტალიის ნაკრების კოზირი? - ჩვენ არ ვართ დამოკიდებულნი ერთ ფეხბურთელზე, მთავარ კოზირად კი გუნდურ მექანიზმს მივიჩნევ. შესაძლოა, **ლიონელ მესის** დონის ვარსკვლავები არ გვყავს, მაგრამ თითოეულ რგოლში დიდი კონკურენციაა. დაახლოებით 35 ფეხბურთელია, რომლებსაც მუნდიალზე გამგზავრების თანაბარი შანსი აქვთ. ჩვენი კოზირი ჩეზარე პრანდელია, რომელმაც იცის, როგორ მოამზადოს გუნდი დიდი საფეხბურთო ფორუმისთვის.

### ახალი თაობა

ამ მხრივ, სრულიად მშვიდად ვარ, რადგან იტალიურ ფეხბურთს კარგი მომავალი ეზრდება. ახალგაზრდა ტალანტები მომრავლდნენ და ეს ძალიან მახარებს. მხოლოდ ის რად ღირს, რომ რამდენიმე ბრწყინვალე გოლკიპერი გამოჩნდა, რომლებსაც უკვე შეუძლიათ იტალიის ნაკრების კარის დაცვა. იმსახურებს თუ არა **სიმონე სკუფეტი** მუნდიალზე გამგზავრებას? - შესანიშნავად ასპარეზობს და შესაბამისად, იმსახურებს. თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ 21 წლის **მატია პერინი** „ჯენოადან" და 22 წლის **ფრანჩესკო ბარდი** „ლივორნოსთან". ორივე საოცრად ნიჭიერია და შანსს ნამდვილად იმსახურებენ. ყველაფერი წინ აქვს **სალვატორე სირიგუს** - 27 წელი მეკარისთვის პატარა ასაკია. მოკლედ, „სკუადრა აძურას" გულშემატკივრებს მშვიდად შეუძლიათ ყოფნა.

**ლაშა წიკლაური**

● ნაპოლი

# საპატაზე დიდი მოთხოვნაა

„გაძეტა დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ნაპოლის" კოლუმბიელ თავდამსხმელ **დიუვან საპატაზე** დიდი მოთხოვნაა და მისი გადაბირება სერია A-ს მინიმუმ სამ კლუბს სურს. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, 23 წლის შემტევის იჯარით აყვანის სურვილი უკვე გამოთქვეს „პარმამ", „უდინეზემ" და „სასუოლომ". აღნიშნულ თემაზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

„არასდროს მინანია, რომ ნეაპოლში გადმოვედი და იმედია, აქ კიდევ დიდხანს მომიწევს ყოფნა. რაფაელ ბენიტესი მენდობა და ამას ვგრძნობ მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თამაში არ მიწევს. დიახ, ჩემი სურვილი „სან პაოლოზე" დარჩენაა, მაგრამ ამ საკითხზე საბოლოო პასუხი ჯერ კიდევ არ მაქვს. უახლოეს დღეებში, მწვრთნელს დაველაპარაკები და შემდეგ გადავწყვეტ თუ სად უნდა გავაგრძელო კარიერა. „პარმას" და „უდინეზეს" მესვეურები მართლაც შემეხმიანენ, თუმცა მოლაპარაკება ჯერ არ დაგვიწყია".



დიუვან საპატა

● რომა

# პიანიჩი წასვლას არ გამორიცხავს



მირალემ პიანიჩს (მარჯვნივ) მსურველები არ აკლია

იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად იწერება **მირალემ პიანიჩის** „რომადან" შესაძლო აზარგების შესახებ. „კორიერე დელო სპორტის" მტკიცებით, 24 წლის ბოსნიელი ნახევარმცველის გადაბირებით ევროპული ფეხბურთის გრანდები არიან დაინტერესებულნი, კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედი", პსჟ და „ბარსელონა". პიანიჩმა არ უარყო, რომ შესაძლოა სხვა გუნდში გააგრძელოს კარიერა:

„უკვე მივეჩვია, იმას, რომ ჩემს შესახებ უამრავი სატრანსფერო ინფორმაცია ვრცელდება. ამჯერად, არ უარვყოფ, რომ ამ ცნობებში არის სიმართლის მარცვალი და არაა გამორიცხული, მომდევნო სეზონი სხვა გუნდში გავატარო. ერთი მხრივ, ძალიან მინდა „ჯალოროსისთან" ერთად ჩემპიონთა ლიგაზე თამაში, მაგრამ არც იმას დავმალავ, რომ ძალიან მაცდური წინადადებით მომმართეს. ჯერჯერობით, სეზონის დარჩენილ ნაწილსა და მუნდიალზე ვარ კონცენტრირებული, ტრანსფერზე ფიქრისთვის კი დრო კიდევ მექნება".

**ლაშა წიკლაური**

● მსოფლიოს შესარჩევი

# ბულგარეთთან 1:19

საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრები, როგორც გაუწყეთ, ლუქსემბურგში მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონის პირველობაში მონაწილეობს. თბილისელი და ბაკურიანელი ჰოკეისტებით დაკომპლექტებულმა ჩვენმა გუნდმა (კახა ამბროლავა, გურამ არჩვაძე; ილია დავიდოვი, მიხეილ დავითაშვილი, ამირან გეფერიძე, გიორგი გიგაური, გიორგი გობეჯიშვილი, ვახტანგ გოგიჩაშვილი, ზაზა ლონლაძე, გიორგი ჯანგობეგიშვილი, გიორგი ჯეირანაშვილი, გოჩა ჯეირანაშვილი, ზურაბ ნადირაშვილი, დავით ოგანესიანი, გია ოგანესიანი, კონსტანტინე სანიკიძე, მიხეილ ვედიაპინი, მთავარი მწვრთნელი — უკრაინელი ევგენი ალიპოვი) გუშინ მესამე შეხვედრაც დათმო - ამჯერად ბულგარეთის ნაკრებთან დამარცხდა 1:19 (0:10, 1:4, 0:5). ის ერთადერთი შაიბა მეორე პერიოდში გობეჯიშვილმა გაიტანა.

გუშინდელი დანარჩენი ორი მატჩი ასე დამთავრდა: ჩრდილოეთ კორეა-ჰონკონგი 12:2 (3:2, 4:0, 5:0), ლუქსემბურგი-საამიროები 8:1 (4:0, 4:0, 0:1).

| | თ | მ | ო/მ | ო/წ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კორეა | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 41:6 | 9 |
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 38:11 | 9 |
| ჰონკონგი | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 16:13 | 5 |
| ლუქსემბურგი | 3 | 1 | 0 | 0 | 2 | 16:16 | 1 |
| საქართველო | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 2:53 | 0 |

შეჯიბრების მონაწილენი დღეს დაისვენებენ. ხვალ ითამაშებენ: საამიროები-კორეა, ჰონკონგი-ბულგარეთი, საქართველო-ლუქსემბურგი.

12 აპრილი. ბულგარეთი-კორეა, საამიროები-საქართველო, ლუქსემბურგი-ჰონკონგი.

**ვაჟა დანელია**



საქართველოს ნაკრების წევრები: გია ოგანესიანი (მარცხნივ) და გიორგი ჯეირანაშვილი



მედალოსნები



ოსტატი და შეგირდები: ლადო ხინჩეგაშვილი, ნუგზარ სხირელი და კოტე ხაბალაშვილი

# მედლები ისევ გორის დარბაზიდან

**ამ დღეებში ფინეთის ქალაქ ვანტააში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ორი მედალი იკმარა – ოქრო ლადო ხინჩეგაშვილის (57 კგ) ნადავლი გახდა, ბრინჯაო კი კოტე ხაბალაშვილის (65 კგ). ნიშანდობლივია, რომ ორივე ფალავანი გორის ჭიდაობის სკოლის აღზრდილია და მათი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი გახლავთ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს ამ ქალაქის საჭიდაო სკოლის მნიშვნელოვან როლს. ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ ორივე მედალოსან სპორტსმენს და მათ მწვრთნელს ნუგზარ სხირელს.**

**კოტე ხაბალაშვილი:**

- უცხოეთში ასპარეზობისას უფროსებს შორის წლევანდლამდე შედეგები არ მქონდა. ამას ძალიან განვიცდიდი. წლეულს, ზამთარში ირანის მეტად პრესტიჟულ ტურნირზე ტახტის თასზე ფინალისტი გავხდი, ახლა კი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მოპოვებაც შევძელი. ეს უკვე ნავსის გატეხვას ნიშნავს, რაც სასიხარულოა. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა, თუ ფინეთში ჩემს წონაში პირველობას არავის დავუთმობდი, მაგრამ ამ ეტაპზე ეს შედეგიც უდავოდ მიღწევაა ჩემს კარიერაში და კმაყოფილი ვარ.

**- ჩემპიონატზე თქვენ მიერ გამართული შეხვედრებიდან რომელიმეს თუ გამოარჩევ?**

- მოგეხსენებათ, ხუთიდან ოთხი დაპირისპირება მოვიგე. მოგებულებიდან გამოვარჩევ გერმანელ მეტოქეს დაუმს, რომელსაც ნახევარფინალში შევხვდი. მართალია, მას დიდი ანგარიშით 13:2 ვაჯობე, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ კარგი ფალავანია. უკმაყოფილო დავრჩი ყურბანალიევთან ასპარეზობით. ვფიქრობ, რომ ჩემი მარცხი შეხვედრაზე არასათანადო განწყობით და ძალთა არასრული კონცენტრირებით გასვლამ განაპირობა. შევეცდები სამომავლოდ სხვა შეჯიბრებებზე უფრო წარმატებული ვიყო.

**ლადო ხინჩეგაშვილი:**

**- თავდაპირველად წონის კლების შესახებ გვითხარით. საქართველოს ჩემპიონი 60 კგ-ში გახდით, თუმცა კონტინენტის ჩემპიონატზე სხვა წონაში იასპარეზეთ...**

- წონითი კატეგორიის ცვლილებების და იმის განსაზღვრის მერე, რომ ოლიმპიადაზე 61 კგ წონითი კატეგორია არ იქნებოდა, იძულებული გავხდი ისევ დამეკლო და ამ შეჯიბრებაში 57 კგ-ში მიმეღო მონაწილეობა. ოლიმპიადა ხომ ის ასპარეზობაა, რომელზე გამოსვლაც ყველა სპორტსმენის ოცნებაა. ამიტომ, სამზადისს ურიგო არ იქნებოდა, თუ აქედანვე დავიწყებდი. დოპინგის გამო გიორგი ედიშერაშვილის დისკვალიფიკაცია რომ არა, 57 კგ-ში გადმოსვლას არა წლეულს, არამედ გაისად ოლიმპიადის სალიცენზიო ტურნირების დაწყების მერე ვაპირებდი. თუმცა, რადგან ეს ცუდი შემთხვევა მოხდა, მეც აღარ დავაყოვნე. ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგით ბუნებრივია კმაყოფილი ვარ, თუმცა უკეთეს ფორმაშიც ვყოფილვარ და ალბათ დამეთანხმებით, უკეთესად ჭიდაობაც შემიძლია.

**- რუსთა აფხაზი რუსტამ ამპარის და თქვენი შეხვედრა ყველაზე დაძაბული გამოდგა...**

- ამპარი ძლიერი ფალავანია. ადრე გვიჭიდავია კიდეც, მაგრამ მას შემდეგ გაცილებით მომატებული აქვს. თანაც იარიგინის ტურნირზე გამარჯვება და რუსეთის გუნდში პირველ ნომრად დადგომა უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ორთაბრძოლა საკმაოდ დაძაბული იყო. რასაკვირველია, რომ გამარჯვებისთვის ბოლომდე ვიბრძოლე და წარმატება დიდწილად მონდომებამაც განაპირობა. ადვილი არ ყოფილა ფინალში მონაკოს სახელით მოასპარეზე გამოცდილი გენადი ტულბეას დამარცხებაც. იგი ვეტერანი მოჭიდავეა, ორჯერ ევროპის ჩემპიონი და ერთხელაც მსოფლიოს პრიზიორი იყო. მე კი ამ გამარჯვებით ჩემს კარიერაში ევროპის ჩემპიონატებზე უკვე სამივე სინჯის მედალი მოვაგროვე. შარშან ბრინჯაო მქონდა, 2011 წელს - ვერცხლი.

**- ქულების აღრიცხვის ახალი სისტემა და პერიოდების ხანგრძლივობის ახალი განსაზღვრა თუ მოგწონთ?**

- ადრინდელსა და ახლანდელს შორის ძალიან დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ, თუმცა ჩემთვის ძველი შეფასებები უფრო მისაღები იყო, ვიდრე ახლანდელია. გაზრდილია ქულათა დარიცხვის შკალა, უწინდელი ქულიანი ორქულიანი გახდა, ადრინდელ სამქულიანს ოთხ ქულად აფასებენ. ამ გზით შეხვედრების საბოლოო ანგარიშების დაფიქსირებისას სხვაობა ეფექტურად ჩანს, მაგრამ ნაჩვენები დიდი ანაგარიში ხშირად რეალურად არ ასახავს მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა ნამდვილ თანაფარდობას.

**- გორის სკოლის წვლილი ისევ გამორჩეულია საქართველოს ნაკრების წარმატებაში...**

- ეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული ამბავია და ბოლო შეჯიბრებამაც გამოაჩინა ჩვენს დარბაზში მიმდინარე სამუშაო პროცესის ნაყოფიერება. არაერთი წელიწადია ქართულ თავისუფალ ჭიდაობაში მიღწეულ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეგვაქვს. საერთოდ, ამ სახეობაში ყველაზე ძლიერი უდავოდ კავკასიელები ვართ.

**ნუგზარ სხირელი:**

- მიხარია, რომ გორელი მოჭიდავეები ისევ წარმატებით გამოდიან საერთაშორისო არენაზე. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი ორი ფალავანის ლადო ხინჩეგაშვილისა და კოტე ხაბალაშვილის შედეგი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ხარისხობრივადაც ლადოსგან უფრო ველოდით მაღალი სინჯის მედალს და მივიღეთ კიდეც, ხოლო კოტემ, რომელიც ჯერ შედარებით გამოუცდელია და საერთაშორისო შეჯიბრებებზე აქამდე ნაკლებად წარმატებული იყო, ამ ეტაპზე მესამე ადგილითაც კმაყოფილი დაგვტოვა.

თუმცა მიმაჩნია, რომ მას შეეძლო ყურბანალიევის ძლევაც - უბრალოდ, ზედმეტად დაძაბული გამოვიდა საჭიდაოდ და ვერ გაიხსნა. იგი ძალიან შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა დარბაზიდან ძალით გაგვიშვია შინ - „გეყოფა ვარჯიშიო“. ხაბალაშვილი შარშან ევროპის ჩემპიონატზე კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. გამოიტანა სათანადო დასკვნები თავისი მაშინდელი ასპარეზობიდან და აგერ მედლამდეც მივიდა.

ხინჩეგაშვილის 57 კგ-ში გადასვლასაც მინდა შევეხო. ამ წონამდე მისი დაკლება ლადოს გადაწყვეტილებაა, თუმცა ამ საკითხში როგორც მე, ისე რეზო მინდორაშვილი ზუსტად იგივე პოზიციაზე ვიყავით. ლადო იმდენად დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული სპორტსმენია, რომ ზოგჯერ შენიშვნის მიცემაც კი მერიდება ვარჯიშის, ან თუნდაც წონის კლების პროცესის მიმდინარეობისას, იმდენად ზუსტად იცის, როგორ უნდა მოიქცეს.

საგულისხმოა საერთაშორისო არენაზე მსაჯობის თანდათან უკეთესობისკენ მზარდი ტენდენცია. ფინეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მათ მთლად უშეცდომოდაც უმსაჯიათ, მაგრამ შედარება აღარ შეიძლება იმასთან, რაც მარტინეტის პრეზიდენტობისას იყო.

**ვასილ ბალახაძე**

ჭიდაობა. პრესკონფერენცია

# ფედერაცია ხარვეზებზე ალაპარაკდა

გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა გუნდებმა. მას ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძე** უძღვებოდა, ხოლო ესწრებოდნენ „თავისუფალი“ და ბერძნულ-რომაული ნაკრებების მეორე მწვრთნელები და ტურნირის მედალოსნები - ევროპის ჩემპიონი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (57) და მესამე პრიზიორები, **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (65), **გიორგი ცირეკიძე** (80) და ფედერაციის სხვა ხელმძღვანელები.

შესავალ სიტყვაში კურტანიძემ კმაყოფილება გამოთქვა ამ შედეგის გამო. პრეზიდენტმა პარალელი გაავლო შარშანდელ მიღწევასთან, რომელიც თბილისში მოვიპოვეთ, და ამის გათვალისწინებით ახლანდელ სამ მედალს იმედისმომცემი შედეგი უწოდა, როგორც სამშობლოდან შორს მოპოვებულს. მან ამ გამოსვლას დიდი რეზერვიც უწოდა.

თუმცა ამ შესავალი სიტყვის შემდეგ, როცა საქმე დაკონკრეტებაზე მიდგა, კურტანიძემ არც ფინეთში დანახული ნაკლოვანებები დამალა. თან დაგვპირდა, რომ გაცილებით მკაცრი საუბარი მწვრთნელ-სპორტსმენებთან დახურულ შეხვედრაზე ექნება. *„კარგია, ფინეთში ოქრო რომ მოვიპოვეთ, მაგრამ ეს რაოდენობა არაა ის მაჩვენებელი, რაც ნაკრებს შეუძლია. საბედნიეროდ, არის რეზერვი და ევროპის პირველობაზე დანახული ხარვეზები აუცილებლად გამოსწორდება. უპირველესად, უნდა გაუმჯობესდეს საერთო ფიზიკური მომზადება. ამ მხრივ ორივე ნაკრებს დაეტყო წინსვლა, თუმცა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გერმანელი სპეციალისტების ჩამოსვლა, რომლებთან აქამდეც გვქონდა ურთიერთობა, აუცილებელია“* - განაცხადა კურტანიძემ.

პრეზიდენტმა განსაკუთრებული სინანულით ისაუბრა „თავისუფალთა“ ნაკრების ორ ლიდერზე - **დავით მარსაგიშვილსა** (86) და **დავით მოძმანაშვილზე** (125) და აღნიშნა, მეცოდება, ასეთი შესაძლებლობების ფალავნები უმედლოდ რომ დარჩნენო. ასევე სინანული გამოთქვა ბერძენ-რომაელი **მანუჩარ ცხადაიას** (71) უმედლოდ დარჩენის გამო, ოღონდ ეს მას არა საკუთარი, არამედ მსაჯების შეცდომის გამო დაემართა. კურტანიძემ არ დამალა, რომ რაოდენობრივად შარშანდელზე უკეთეს შედეგს ელოდა, და აღნიშნა, ფიზიკური მომზადების გაუმჯობესების შემდეგ ეს შესაძლებელი იქნება. მოჭიდავეების უმეტესობა პირველი სამიოთხი წუთის შემდეგ ვერ ჭიდაობდა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდესო, მკაცრად მოითხოვა მან და ამ თემას შემდეგშიც მრავალჯერ დაუბრუნდა.

„თავისუფალთა“ ნაკრების ორ ზემოხსენებულ ლიდერზე - მარსაგიშვილსა და მოძმანაშვილზე საუბრისას პრეზიდენტმა ისიც თქვა, მათ საკუთარი ძალებისა უნდა ირწმუნონო ანუ ფსიქოლოგიურ ფაქტორს გაუსვა ხაზი. მოძმანაშვილი ფიზიკურად ძალიან ძლიერია და ყველა აღნიშნავდა, ასეთი ძალის პატრონი იშვიათიაო, განაცხადა კურტანიძემ, მაგრამ იქვე დასძინა, ამ კომპონენტში კიდევ უნდა მოუმატოსო. მარსაგიშვილთან დაკავშირებით ითქვა, რომ აკლდა საშეჯიბრო პრაქტიკა, რადგან, მიზეზთა გამო, საერთაშორისო ტურნირებში ვერ გამოვიდა. პრეზიდენტი კატეგორიული იყო, როცა დასძინა, მარსაგიშვილი მსოფლიოზე ან მედალს გააკეთებს, ან კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებაო.

ფიზმომზადებასთან ერთად, მწვრთნელმა რწმენისა და ფსიქოლოგიის აუცილებლობაზეც ისაუბრა. ჟურნალისტებმა ყურადღება სპორტსმენთა პროფესიონალიზმზეც გავამახვილეთ, რადგან საკმაოდ ხშირად გვინახავს ჩვენი ლიდერები, დიდი ანგარიშით წაგების, გამანადგურებელ ილეთზე დავარდნის შემდეგ სიცილით რომ დგებიან ფეხზე. კურტანიძე ძირითადად დაგვეთანხმა და დაადასტურა, რომ ეს პრობლემა მართლაც არსებობს. *„ყოველი სპორტსმენი უნდა მოვამზადოთ არა ფუფუნებით და ფერებით, არამედ დისციპლინით, სიმკაცრით და იმ საჭირო იდეოლოგიით, რაც ახასიათებს იაპონიის, კორეის, თურქეთის, ირანის გუნდებს. დასამალი არაა, რომ ამაზე სამუშაო მართლაცაა და ოლიმპიადამდე ამაზე სერიოზულად ვიმუშავებთ. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ როცა ლეიბზე დგას, ის იმ დროს კონკრეტულად რომელიმე პიროვნებას, რომელიმე სპორტსმენს კი არა, არამედ - საქართველოს, მთელ ქვეყანას წარმოადგენს“* - თქვა პრეზიდენტმა, თუმცა ბოლოს ცოტა უცნაური ფრაზაც თქვა - ზოგჯერ სიცილი, რომელიც დამარცხებას მოსდევს, ტირილზე უარესია, რადგან ნერვიულობის ფონზე სიმწარეს ზოგი სიცილით გამოხატავს, ზოგი - ტირილითო.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ, რალა მარტო ქართველები გამოვხატავთ წაგების სიმწარეს ასე უცნაურად?

კურტანიძემ შეაქო მედალოსნები და მათზეც ისაუბრა. აღნიშნა, რომ ჩემპიონობის მიუხედავად, ხინჩეგაშვილმაც კი ბევრი უნდა გამოასწოროს, განსაკუთრებით ფიზმომზადების კუთხითო. ხაბალაშვილსა და ცირეკიძეზე აღნიშნა, რომ მათ ამ ვითარებაში მაქსიმუმი გააკეთეს, ცირეკიძის რეზერვზე კი მანაც, ექსტრაკლასის მსაჯმა **ედიშერ მაჩაიძემ** და მწვრთნელებმაც ბევრი ისაუბრეს. მათი თქმით, ამ ბიჭმა დგომში ხელის ერთი მოძრაობა უნდა დაამუშაოს, რაც გამარჯვებასაც ბევრად გაუიოლებს და ენერგიასაც დაუზოგავს (ამაზე გუშინწინ ჩვენთან ინტერვიუში თავად ცირეკიძემაც ისაუბრა).

ამით პრესკონფერენცია დამთავრდა, თუმცა, როგორც კურტანიძემ განაცხადა, მთავარი საუბარი მომდევნო კვირას გაიმართება, როცა ფედერაციაში ევროპის ჩემპიონატზე ნამყოფი გუნდი სრულად შეიკრიბება - მწვრთნელებიც და სპორტსმენებიც, სადაც შინაურ სამზარეულოში გაცილებით უფრო ღიად ისაუბრებენ ფინეთში გამოვლენილ ნაკლოვანებებზე. ჩვენი მხრივ მივესალმებით ფედერაციის პოზიციას, რომელიც ამჯერად ნამდვილად არ ჰგავს სირაქლემისას, და შექმნილ ვითარებას რეალურად აფასებს. კერძოდ, ღიად საუბრობს ნაკლოვანებებზე, უპირევლესად კი - ფიზიკურ მომზადებაზე, რაც ჩვენთვის მუდამ „აქილევსის ქუსლია“.

**ირაკლი თაპაძე**



ლუკა კურტანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ნაკრები

# მონპელიემდე ყვარელი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები უნგრეთიდან დაბრუნდა, სადაც ქალაქ ტატაში ერთობლივი საწვრთნელი კემპი გაიარა. გუნდი გუშინ ყვარელში გაემგზავრა ევროპის პირველობისთვის


ირაკლი უზნაძე

მოსამზადებელ დასკვნით შეკრებაზე, სადაც 19 აპრილამდე დარჩებიან, საალდგომოდ სახლებში დაბრუნდებიან, ამ ბრწყინვალე დღესასწაულს ოჯახებში შეხვდებიან და 22-ში ფრანგულ მონპელიეში გაემგზავრებიან. ევროპის პირველობას 24-27 აპრილს სწორედ ეს ფრანგული ქალაქი უმასპინძლებს. აქედან პირველი სამი დღე პირად პირველობას დაეთმობა, 27-ში კი გუნდური შეჯიბრება ჩატარდება. 24 აპრილს ვაჟთაგან 60-66, ქალთაგან კი 48-52-57-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. მეორე დღეს მედლებისთვის 73-81-კილოგრამიანი ვაჟები და 63-70-იანი ქალები იბრძოლებენ, 26-ში კი საჭიდაოდ დარჩენილი წონების წარმომადგენლები გავლენ.

ჩვენი ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** მონპელიეში წასაყვან შემადგენლობას ჯერ არ ასახელებს - ამას დასკვნითი შეკრების მიმდინარეობისას გააკეთებს, თუმცა იმას კი აცხადებს, რომ 100 კილოგრამის გარდა, ყველა წონის მონაწილე გამოვლენილია, იმ წონაში კი არჩევანი ორ პრეტენდენტს შორისაა გასაკეთებელი. მწვრთნელმა ისიც განაცხადა, რომ ევროპის პირველობაზე სრული - 9-კაციანი გუნდით გამოვალთ.

სამწუხაროდ, გუნდში ისევ რჩება ძველი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ დღემდე მოუშუშებელი ტრავმები. კიდევ კარგი, უნგრული შეკრება ისე ჩაატარეს, ახალი დაზიანება არავის მიუღია.

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. ნაკრები

# მესტვირიშვილი გამოირიცხა

სამწუხაროდ, ინდოეთიდან საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების კონსულტანტად **ვლადიმერ მესტვირიშვილის** მოწვევა ამ ეტაპზე გამოირიცხა. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ მას 2500-ლარიანი ხელფასი შესთავაზა, მაგრამ ბოლო მომენტში მწვრთნელმა მაინც იუარა. თურმე როგორც კი სამშობლოში მისი დაბრუნების სურვილის შესახებ გაიგეს, ინდოეთის ჭიდაობის ფედერაციამ მყისვე ახალი, ფინანსურად ბევრად ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა. გავრცელებული ცნობით, ის აქამდე 5 000-დოლარიან ხელფასს იღებდა, ახლა კი 8 ათასი შეჰპირდნენ. ამასთან, გაუზრდიან საპრემიო თანხებსაც და მისი მინიმალური ანაზღაურება წელიწადში 50-55 ათას დოლარამდე გაიზრდება. ეს - მინიმუმ, თორემ წარმატებებს გააჩნია და არც მეტია გამორიცხული. მესტვირიშვილს იქნებ ჩვენგან ამდენიც არ მოეთხოვა, მაგრამ გასაკვირიც არაა, ასეთი მსუყე შეთავაზება თუ ვერ იუარა - ოჯახი, სტუდენტი შვილები, მათი სწავლის გადასახადი თუ მომავალზე ზრუნვა ნებისმიერს აიძულებს, უფრო პრაგმატულად შეხედოს საკითხს, ვიდრე - იდეალისტურად.

გასაგებია, რომ მესტვირიშვილს ასეთ ანაზღაურებას საქართველო ვერ შესთავაზებდა. არადა, ამ ვარიანტის ჩაშლაც ფრიად დასანანია, რადგან მსგავსი დონის სპეციალისტი ჰაერივით გვჭირდება. თუმცა არა მარტო ჩვენ - მსგავს სპეციალისტზე არც ერთი ნაკრები არ იტყოდა უარს. ამის დასტურად თუნდაც ინდოეთის ნაკრების ბოლოდროინდელი მიღწევები გამოდგება, რაშიც ქართველს დიდი წვლილი მიუძღვის - მათ უკვე მსოფლიოს ჩემპიონები და ოლიმპიადის ფინალისტებიც კი ჰყავთ.

მესტვირიშვილისგან განსხვავებით, გერმანელ ფიზმომზადების მწვრთნელებთან თანამშრომლობა კვლავაც დღის წესრიგშია და როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლუკა კურტანიძემ** გვითხრა, ივნისში გასამართი ჩემპიონთა ტურნირიდან ისინი პრაქტიკულად ჩაებმებიან ნაკრების მომზადებაში ანუ მსოფლიოს პირველობისთვის საწვრთნელ ციკლში დაეხმარებიან გუნდს.

**ირაკლი თავაძე**

მედიცინა

# ანტიდოპინგური სემინარი

საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის და ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს ორგანიზებით, დოპინგის თუ, ზოგადად, მაღალი მიღწევების სპორტში მედიცინის როლთან დაკავშირებით, უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით არაერთი კონფერენცია-სემინარი გამართულა.

7-8 აპრილს, ბორჯომსა და თბილისში, სეოკ-ის ეგიდით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამით გათვალისწინებული მორიგი კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით „სპორტში დოპინგის პრობლემები, პრევენციის ზომები", სადაც ასევე მოხდა WADA-ას 2015 წლის კოდექსის მიმოხილვა.

დ. ტატიშვილის სახელობის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრში ჩატარებულ სემინარს ესწრებოდნენ სხვადასხვა ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები, ექიმები, სპორტსმენები და მწვრთნელები, რომელიც საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარემ **პავლე კასრაძემ** გახსნა. საკმაოდ საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ ბელორუსის ანტიდოპინგური ლაბორატორიის დირექტორი ს. ბელიაევი და და სომხეთის ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე ა. ოგანესიანი.

კონფერენციის ყველა მონაწილეს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

**სეოკ-ის პრესსამსახური**

ჩოგბურთი


სოფიო ქვაცაბაია

# ქვაცაბაია ისევ ყოჩაღობს

ორი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება გუშინ ანტალიის 10.000-იან საერთაშორისო ტურნირის ერთეულთა თანრიგში. კვლავ იყოჩალა **სოფიო ქვაცაბაიამ**, რომელმაც მასპინძელი კემრე ანილი ორ სეტში ჩამოიშორა გზიდან - 6:3, 6:0 და მეორე წრეში ნატალია ორლოვას (რუსეთი) მძლეველ (1:6, 6:3, 6:1) სუსანე გელიკს (შვედეთი) დაუპირისპირდება. ეს უკანასკნელი მე-7 ნომრადაა განთესილი. ტურნირზე მე-5 ნომერი იყო **ეკატერინე გორგოძე**, მაგრამ მან ვერც ამჯერად დაძლია პირველი ბარიერი - ჰოლანდიელ იანი შეეპენსთან დამარცხდა - 5:7, 1:6. წყვილთა პაექრობაში გორგოძე და ქვაცაბაია მეოთხედფინალში პეიჩი ლიისა (ტაივანი) და ტინა ტეჰრანის (აშშ) შეხვდებიან.

ბოგოტაში (კოლუმბია) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი) ერთეულთა თანრიგში **სოფიო შაფათავამ**, როგორც გაუწყეთ, პირველი ბარიერი გადალახა. წყვილებში კი მარია მელნიკოვასთან (რუსეთი) შეამხანაგებული სტარტზევე მე-2 ნომერ ესპანელებთან - ლოურდეს დომინგეს-ლინოსა და არანჩა პარა სანდოიასთან დამარცხდა - 6:4, 5:7, 4:10.

ინგლისში ქალთა 10.000-იანი ტურნირის მეორე წრეში იტალიელ ანა-ჯულია რემონდინასთან დათმო ორთაბრძოლა **მარიამ ბოლქვაძემ** - 6:3, 1:6, 2:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ყაზახეთის ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-იანი ტურნირის სტარტზე წარმატებით ითამაშა **გიორგი ცივაძემ** - სამ სეტში მან კირილ დმიტრიევი (რუსეთი) დაჯაბნა - 6:4, 3:6, 6:2 და მეორე წრეში ასპარეზობის რეიტინგფავორიტ მიხაილ ბირიუკოვთან (რუსეთი) გაარკვევს ურთიერთობას. მე-2 წრეში **ალექსანდრე მეტრეველი** მე-3 ნომრად განთესილ ივან ნედელკოს (რუსეთი) გაუწევს მეტოქეობას.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ძაგნიძის მარცხიანი სტარტი

გუშინ ხანტი-მანსიისკში (რუსეთი) დაიწყო ფიდეს მოჭადრაკე ქალთა გრან პრის მე-4 ეტაპი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 12 უძლიერესი დიდოსტატი მონაწილეობს, მათ შორის - **ნანა ძაგნიძე**. ქართველი მოჭადრაკე (2550) შავი ფიგურებით რუს ოლგა გირიას (2450) დაუპირისპირდა. რეიტინგსა და ოსტატობაში ჩვენებურის სოლიდური უპირატესობის მიუხედავად, პარტია გირიას გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც გათამაშების ცხრილში პირველი მოგება ჩაიწერა.

სტარტზე კიდევ ხუთი შეხვედრა გაიმართა, მათგან მხოლოდ ერთი პაექრობა დასრულდა ყაიმით - დაზავდნენ ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2489) და ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2527), რომლებსაც სხვადასხვა წლებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები იყვნენ. დანარჩენი ორთაბრძოლები შედეგიანი აღმოჩნდა, თანაც ქულები თეთრებმა ჩაიწერეს: ჟაო სიუე (ჩინეთი, 2552)-კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2543) 1:0, ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2560)-ტუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონღოლეთი, 2340) 1:0, ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2618)-ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2496) 1:0.

დღეს მე-2 ტურში ითამაშებენ: კოსტენიუკი-კოსინცევა, ბატჩიმეგი-ჰოუ იფანი, ძაგნიძე-მუზიჩუკი, ლაგნო-გირია, მუმინოვა-ჟაო სიუე, სტეფანოვა-უშენინა.

შეგახსენებთ, რომ ფიდეს ქალთა გრან პრის ექვსი ეტაპიდან თითოეულ მოჭადრაკეს 4-ში შეუძლია მონაწილეობა, სამი საუკეთესო შედეგი კი საერთო ჩათვლაში შევა. თითოეული რაუნდის გამარჯვებული 160 ქულს დაიმსახურებს, მეორე-მესამეადგილოსნები, შესაბამისდა, 130 და 120 ქულას. გრან პრის პირველადგილოსანი მსოფლიოს ჩემპიონს დაუპირისპირდება გვირგვინისთვის, როგორც ეს შარშან მოხდა: 2011-2012 წლების გრან პრის გამარჯვებული ჰოუ იფანი მსოფლიო ჩემპიონ ანა უშენინას შეხვდა და ტიტული დაიბრუნა.

**ვაჟა დანელია**



ნანა ძაგნიძე (მარცხნივ) და ოლგა გირია

ხელბურთი

# პეგასს ვეღარ დაეწევიან

სასპორტო კომპლექს „არენაში" დღეს დამთავრდება 2001-2001 წლებში დაბადებული ხელბურთელი ბიჭების საქართველოს პირველობა. ბოლო ტურის მიუხედავად, ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის ვინაობა ცნობილია. საერთო ტურის პირველი-ორი დღის შეხვედრები ასე დასრულდა: „პეგასი" - „ფოთი" 26:16, „ქუთაისი" - „თელავი" 21:11, „სამტრედია" - „ქარიშხალა" 16:15; „ქარიშხალა" - „ქუთაისი" 25:27, „ფოთი" - „გორი" 18:25, „თელავი" - „სამტრედია" 15:21. გუშინ „პეგასმა" (ირაკლი დიხამინჯია, გიორგი ლაპიაშვილი, აკაკი პატაშური, დავით ბახუტაშვილი, ნიკა კევლიშვილი, ნიკოლოზ კალანდაძე, გიორგი ცხოვრებაძე, გიორგი მაისურაძე, გიორგი ქათამაძე, გიორგი კუხალაშვილი, ლუკა ცხვიტარია, გიორგი კაჭკაჭაშვილი, ილია ნარსია, გიორგი კევლიშვილი. მწვრთნელები - გიორგი სახვაძე, ტიტე კალანდაძე) 30:18 დაამარცხა „ქუთაისი" და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა. მართალია, ჩემპიონს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩება „გორი", მაგრამ ის ქულებით რომც დაეწიოს „პეგასს", პირველობას მაინც ვერ შეეცილება, რადგან მასთან პირადი თამაში წაგებული აქვს. თავის მხრივ, „გორმა" „სამტრედიასთან" გუშინდელი წარმატებით (19:17) მეორე ადგილი გაინაღდა. სამტრედიელები 8 ქულით ბოლო ტურის წინ მესამეზე არიან, მაგრამ თუ დღეს „პეგასთან" დამარცხდებიან, „ფოთი" კი „ქარიშხალას" სძლევს, უშუალო კონკურენტთან პირადი მოგების წყალობით ბრინჯაოს მედალს ზღვისპირელები მოიპოვებენ.


საქართველოს ჩემპიონი „პეგასი"

სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ: „პეგასი"- 12 ქულა (6 თამაშიდან), „გორი"- 10 (6), „სამტრედია"- 8 (6), „ფოთი"- 6 (6), „ქუთაისი"- 6 (6), „ქარიშხალა"- 4 (6), „თელავი"- 2 (7), „ზუგდიდი"- 2 (7).

10 აპრილი. „ქუთაისი" - „გორი", „ფოთი" - „ქარიშხალა", „პეგასი" - „სამტრედია"

**ვაჟა დანელია**

ევროპის ჩემპიონატი

# კიდევ ერთი ქართველი ირლანდიაში



ვახტანგ აბდალაძე - „სამყურების“ პირველხაზელი



საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები პოზნანში ემზადება

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ხვალ პოლონეთის ქალაქ პოზნანში ევროპის ელიტურ ჩემპიონატში პირველ მატჩს გამართავს. მეოთხედფინალში „უმცროსი ბორჯღალოსნების“ მეტოქე ირლანდიის 18-წლამდელთა ნაკრები იქნება, რომლის შემადგენლობაშიც, შერკინების პირველ ხაზში ქართული წარმოშობის ბურჯი **ვახტანგ აბდალაძე** ითამაშებს.

აბდალაძე ირლანდიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, „ლენსტერის“ ღირსებას იცავს. შეგახსენებთ, რომ ის პირველი ქართველი არ არის, რომელიც „ნორჩი სამყურების“ კვართს მოირგებს. შარშან ირლანდიელთა პირველ ხაზში **საბა მეუნარგია** ირჯებოდა.

ირლანდიის 18-წლამდელთა გუნდში „ლენსტერიდან“ 10 მორაგბეა. 6 წარმომადგენელი ჰყავს „მანსტერს“, ერთით ნაკლები „ექსილესს“, ორი მორაგბე მიავლინა „ალსტერმა“, ხოლო ერთი „ქონოთმა“.

ამასობაში, „უმცროსი ბორჯღალოსნები“ მომავალი ბატალიებისთვის მზადებას პოზნანში განაგრძობენ.

*„სავარჯიშოდ კარგი პირობები გვაქვს. შესანიშნავ მოედანზე ვვარჯიშობთ. დღეში ორ წვრთნას ვატარებთ, მინდორზე და ძალოსნობის დარბაზში. თამაშის წინ ოპალენიცას სტადიონზე ჩავატარებთ კაპიტნის ვარჯიშს.*

*საბედნიეროდ, გუნდში არავინაა ტრავმირებული. ბიჭები ოპტიმალურ ფორმაში არიან, დალაგდნენ და მგზავრობით გამოწვეულმა დაღლილობამაც გაუარათ. შეკრებისა და საწვრთნელი მატჩების ეიფორიამ ჩაიარა. აქაურ ვარჯიშებს ხარვეზების გამოსასწორებლად ვიყენებთ. რაც მთავარია, ის სუსტი მხარეები, რაც „კლერმონთან“ გამოჩნდა, გამოსწორებულია.*

*პირველივე შეხვედრა ირლანდიის 18-წლამდელთა ნაკრებთან გვაქვს. სამწუხაროდ, მათი თამაშის ნახვის და შესწავლის საშუალება არ მოგვეცა, მაგრამ ირლანდიელები ამ ასაკში სტაბილურად ძლიერები არიან და ჩვენც, შესაბამისად, ვემზადებით მათთან სათამაშოდ.*

*მინდა განვაცხადო, რომ გუნდი გაუმჯობესებულია და კარგი მდგომარეობაა, როგორც შერკინებაში, ასევე უკანა ხაზში. ყოველ შემთხვევაში, ირლანდიასთან თამაშში ჩვენი მხრიდან არ იქნება მხოლოდ შერკინების დომინირება, ბრძოლაში უკანა ხაზის მოთამაშეებიც საფუძვლიანად ჩაერთვებიან.*

*ჩვენ ელიტურ დივიზიონში ვთამაშობთ, სადაც სუსტი არავინაა, ყველა ძლიერია. ირლანდიის შემდეგ, საფრანგეთთან ან იტალიასთან მოგვიწევს თამაში. ორივე სერიოზული გუნდია. იტალიასთან ჩვენმა 18-წლამდელებმა წინა ტურნირებზე ითამაშეს და ყველა შეხვედრა მოგებით დაასრულეს. საფრანგეთთან ჯერ არ გვითამაშია. წლეულს ჩვენი მიზანია შარშანდელი შედეგი გავაუმჯობესოთ და ამიტომ ყველა მატჩს ინდივიდუალურად მივუდგებით. მოედანზე აუცილებლად მოსაგებად გავალთ, მაგრამ ჯერ ირლანდიასთან უნდა ვიასპარეზოთ და, შესაბამისად, ამ მატჩისთვის ვართ კონცენტრირებული.“*

- თქვა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა **დავით ჩავლეიშვილმა.**

**საქართველოს ნაკრები**

ნიკა ნეფარიძე, ლუკა გოგინავა, ლაშა მამუჩარაშვილი (ორივე-ლოკომოტივი), ვანო მარგალიტაძე, ბესიკ გოგოლაძე, კახა ელბაქიძე (თიბისი), ლაშა ტაბიძე, ვასილ ლობჟანიძე, თორნიკე ხურცილავა, დავით ლობჟანიძე (არმაზი), შაქრო ლომსიანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, გიორგი ჯავახია, ოთარ გიორგაძე, მიხეილ გორგასლიძე, თორნიკე მანაგაძე (აია), გიორგი ხუროშვილი (არმაზი), თორნიკე ზოიძე, თორნიკე ახობაძე, სანდრო ილურიძე (აკადემია), ბექა გორგაძე, გიორგი კოშაძე (ხარები), ლაშა საჯაია, ირაკლი სვანიძე (ჯიქები), გიორგი მელაძე (ყოჩები), ბექა ნონიაშვილი (ხულიგანა).

**ირლანდიის ნაკრები**

ვახტანგ აბდალაძე, კონორ ფარელი, ენდრიუ ფინი, კონორ ჰენდი, კონორ ობრაიანი, ნეილ რილი, რონან ვოლესი, პიტერ ჰოვარდი, კირან ფრაველი, ტაჯ მაკელროი (ყველა-ლენსტერი), ჯოშ ბარნსი, ბენს ბეტსი, ბრაიან ფენინგი, შონ ოლირი, ფილ პოილოტი, ჯო ვაითი (მანსტერი), ადამ მაკბარნი, კამერონი ფულტონი (ორივე-ალსტერი), მეთიუ კოსგროუვი (ქონოთი), ბრეტ კონანი, კირან ჯოისი, ჰუგ სლოანი, ჯეკ ბირნი, ჯოშ დეილი (ყველა-ექსილსი).

**ევროპის ჩემპიონატი**

**მეოთხედფინალი**

საქართველო-ირლანდია, ინგლისი-პორტუგალია, შოტლანდია-უელსი, საფრანგეთი-იტალია.

საქართველოს ჩემპიონატის მიმოხილვა

# ხუთი უკვე პლეი ოფშია

**საქართველოს ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურიღა დარჩა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ პლეი ოფში თამაშის უფლება ხუთმა გუნდმა მოიპოვა. ესენია: „არმია“, თბილისის „ლელო“, თბილისის „ლოკომოტივი“, ბოლნისის „ყოჩები“ და ქუთაისის „აია“. გასარკვევი ერთი გუნდის ვინაობა დარჩა.**



ბურთით ბექა ნიკლაური

ამასთან ერთად, დასადგენია, ვინ დაიკავებს პირველ ორ ადგილს. დებულების თანახმად, ორი საუკეთესო გუნდი პირდაპირ ნახევარფინალში გაალწევს. მომდევნო ოთხეული კი ნახევარფინალის შესარჩევში ითამაშებს. ისევ მწვავე ბრძოლაა აუტსაიდერთა შორის. ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას? ეს, სავარაუდოდ, ამ უქმეებზე გასამართ ბოლოსწინა ტურში გაირკვევა.

განვლილ უქმეებზე კი ლიდერებმა დროებითი ჩავარდნა დასძლიეს და მეტოქეებს შანსი არ დაუტოვეს. ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართა, სადაც ერთმანეთს ორი ფავორიტი, „აია“ და „არმია“ დაუპირისპირდა. თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა. სტუმრებმა მინიმალური სხვაობით 9:8 გაიმარჯვეს.

მასპინძლებს ამ შეხვედრაში საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში მივლინებული რამდენიმე მორაგბე აკლდა. მიუხედავად ამისა, „აიამ“ მეტოქეს არაფერი დაუთმო. რომ არა ქუთათურთა დამრტყმელის უზუსტობა, არმიელებს გამარჯვების მიღწევა კიდევ უფრო გაუჭირდებოდათ.

„აიას“ მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მომდევნო ტურში სტუმრად ეთამაშება ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ თბილისის „ლელოს“, რომელმაც მიჯრით ორი მარცხის შემდეგ დამაჯერებლად სძლია პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ თბილისის „არმაზს“ - 40:11. ამ შეხვედრაში გამორჩეული ჩემპიონების გარემარბი **ზურაბ ზაალიშვილი** გახლდათ, რომელმაც სამი ლელო მიითვალა. მას წლეულს იშვიათად ეძლეოდა ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება. ჰეთ თრიკის შესრულებით კი ზაალიშვილმა დაამტკიცა, რომ მეტ ნდობას იმსახურებს.

შესანიშნავი სანახაობა გამოდგა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივისა“ და რუსთავის „ხარების“ დაპირისპირება. რკინიგზელებმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს და ნათლად აჩვენეს, რომ მობილიზება, თამაშის სტილის შეცვლა და ნებისმიერი რთული მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა შეუძლიათ. ეს კი მათ პლეი ოფში ყველასთვის სახიფათოდ ხდის.

მნიშვნელოვანი გამარჯვება მიითვალა სტუმრად ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბათუმთან“ ბოლნისის „ყოჩებმა“ - 41:17. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, რომ თამაში უხვლელოიანი გამოდგა. მაყურებელს მთელი მატჩის განმავლობაში მოსაწყენად არ ეცალა. კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ ზღვისპირელებს დაცვაში უჭირთ. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ უმაღლეს ლიგაში ქულების ყველაზე ცუდი ბალანსი აქვთ (-279).

**XVII ტური**

ყოჩები-არმია, აკადემია-არმაზი, ბათუმი-ლოკომოტივი, ლელო-აია.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 16 | 11 | 1 | 4 | +176 | 55 |
| 2.ლელო | 16 | 11 | 0 | 5 | +236 | 55 |
| 3.ლოკომოტივი | 16 | 12 | 0 | 4 | +87 | 53 |
| 4.ყოჩები | 16 | 11 | 1 | 4 | +81 | 51 |
| 5.აია | 16 | 10 | 0 | 6 | +117 | 48 |
| 6.ჯიქები | 17 | 8 | 2 | 7 | +45 | 43 |
| 7.არმაზი | 16 | 8 | 0 | 8 | -82 | 35 |
| 8.ხარები | 17 | 4 | 0 | 13 | -190 | 19 |
| 9.ბათუმი | 16 | 13 | 0 | 3 | -279 | 15 |
| 10.აკადემია | 16 | 1 | 0 | 15 | -191 | 12 |

ჭაბუკთა B ლიგა

# რაგბი რეგიონშიც ვითარდება

საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგაში მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა. რვა ჯგუფში მიმდინარე ბრძოლებში ბევრი ახალი ლიდერი გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ ყველა ჯგუფში დაუმარცხებელი მხოლოდ თითო გუნდი დარჩა. ესენია: „არმია“, თბილისის „ჯვაროსნები“, თბილისის „ხულიგანა“, თბილისის „ლელო“, ხაშურის „ლეგიონი“ და ქუთაისის პირველი, მეორე და მეოთხე გუნდები.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს თბილისის „ჯვაროსნებისა“ და ხაშურის „ლეგიონის“ პროგრესი, რომლებიც თავიანთ ჯგუფებში ლიდერობენ და შემდეგ ეტაპზე გასვლის შესანიშნავი შანსი აქვთ. ერთი მარცხი იგემა და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა ახალციხის „ტაო“, რაც, ვფიქრობთ, ხაზგასმით აღსანიშნავი ფაქტია.

ისევ მოწინავე პოზიციაზეა ქუთაისური რაგბი. საქართველოს ამ ერთ-ერთ სარაგბო ცენტრს B ლიგაში ოთხი გუნდი ჰყავს და აქედან სამი დაუმარცხებლად ასპარეზობს.

**A ჯგუფი**

არმაზი-არმია 7:17, ლოკომოტივი-ყაზბეგი 70:3

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯიქები - 11 ქულა, 2. არმია - 9, 3. არმაზი - 9, 4. ლოკომოტივი - 5, 5. ზვავი - 2.

**B ჯგუფი**

მუტრუკები-მერანი 10:20, ჯვაროსნები-ხარები 15:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჯვაროსნები - 14 ქულა, 2. ხარები - 10, 3. მერანი - 10, 4. მუტრუკები - 5, 5. ყოჩები - 0.

**C ჯგუფი**

წიქარა-აკადემია 27:0, ვეფხვები-იუნკრები 20:25

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხულიგანა - 13 ქულა, 2. წიქარა - 10, 3. იუნკრები - 8, 4. აკადემია - 4, 5. ვეფხვები - 0.

**D ჯგუფი**

ტორნადო-ლოკომოტივი 5:33, ჩოხოსნები-თსუ 17:35.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლელო - 15 ქულა, 2. თსუ - 9, 3. ლოკომოტივი - 9, 4. ჩოხოსნები - 5, 5. ტონადო - 0.

**E ჯგუფი**

პონტო-აია 5 27:12, აია 2-იმერეთი 55:9

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია 2 - 15 ქულა, 2. პონტო - 8, 3. აია 5 - 4, 4. იმერეთი - 1.

**F ჯგუფი**

დინოზავრი-ლანჩხუთი 0:7, აია3 - ლეგიონი 17:22

**სატურნიო მდგომარეობა**

1. ლეგიონი - 13 ქულა, 2. აია 3 - 10, 3. გურია - 5, 4. დინოზავრი - 1.

**G ჯგუფი**

რაინდები-აია 1 26:33, ადიგენი-ლომები 19:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია 1 - 14 ქულა, 2. ადიგენი - 9, 3. რაინდები - 7, 4. ლომები - 0.

**H ჯგუფი**

ჯრუჭი-აია 4 13:34, ტაო-ჯიხა 6:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია 4 - 12 ქულა, 2. ტაო - 11, 3. ჯიხა - 5, 4. არწივები - 4, 5. ჯრუჭი - 4.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგბაავაძემ**

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ნეტსი–ჰიტი: 4–0

„ბრუკლინ ნეტსი" ნებისმიერ შემთხვევაში შეგვიძლია მოვნათლოთ წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ გმირად. „ნეტსი" ერთადერთი გუნდია ამ სეზონში, რომელსაც მოქმედ ჩემპიონთან - „მაიამი ჰიტთან" არც ერთ შეხვედრა არ წაუგია, არადა, რეგულარულის რანგში ამ გუნდებმა ოთხჯერ ითამაშეს. მას შემდეგ, რაც „მაიამიში" **ლებრონ ჯეიმსი** მივიდა, არც ერთ გუნდს არ დაუმარცხებია სამხრეთელები რეგულარულის ოთხივე მატჩში.



პლამლის მოგებას ულოცავენ

ჩემპიონის „მშრალი" ანგარიშით დამარცხება - სერიოზული ფსიქოლოგიური ბიძგი იქნება პლეი ოფში. გარდა ამისა, ეს წარმატება **ჯეისონ კიდის** გუნდს რეალურ შანსს უტოვებს იმისთვის, რომ „ტორონტო" ან „ჩიკაგო" გამოაგდოს აღმოსავლეთის საუკეთესო ოთხეულიდან და პლეი ოფის პირველ რაუნდში საკუთარი მოედნის უპირატესობა მიიღოს. და კიდევ, „ნეტსმა" საკუთარ თავს დაუმტკიცა, რომ **კევინ გარნეტის** მოედანზე არყოფნა გუნდისთვის კრიტიკული არ არის. ყოველ შემთხვევაში მაშინ, როცა თავის საუკეთესო კალათბურთს აჩვენებს დებიუტანტი ფორვარდი **მეისონ პლამლი**.

„მაიამისთან" მატჩში სწორედ ის გახდა ერთ-ერთი მთავარი გმირი. სირენამდე 41 წამით ადრე, პლამლიმ „ბრუკლინის" ბოლო ქულები მოიპოვა მატჩში, როცა **კრის ბოშის** წინააღმდეგობის მიუხედავად, ძალიან რთული ბურთი ჩააგდო. ამის შემდეგ, „ნეტსი" სამი ქულით გავიდა წინ. ბოშმა ამას ლებრონ ჯეიმსის პასის შემდეგ მძლავრი ჩატენვით უპასუხა, ხოლო „ბრუკლინმა" მომდევნო იერიში ზუსტი ტყორცნით ვერ დაასრულა. ასე რომ, ბოლო შეტევა „ჰიტის" იყო და მისი დასრულება ჯეიმსმა ითავა, მაგრამ პლამლის დაფარებამ გამარჯვება „ბრუკლინს" მოუტანა.

საფინალო სირენის შემდეგ, ლებრონი აქტიურად ეკამათებოდა მსაჯებს და სხვათა შორის, გამეორებამ აჩვენა, რომ პლამლისა და ჯეიმსს შორის კონტაქტი მართლაც იყო. მაგრამ არბიტრებმა ჩათვალეს, რომ ბრუკლინელს თამაშის წესები არ დაურღვევია.

**მაიამი–ბრუკლინი 87:88**

**14:26, 29:18, 22:18, 22:26**

მ: ჯეიმსი (29+10 მოხსნა), ბოში (12), კოული (10).
ბ: ჯონსონი (19), ტორნტონი (16+4 ჩაჭრა), პირსი (14), ტელეტოვიჩი (11).



კევინ დურანტი

# ყველაფერს აქვს დასასრული

გუშინდელი დღე სამი საინტერესო სტატისტიკური მიღწევით აღინიშნა. ყველაზე აქტუალური იყო „ოკლაჰომას" ფორვარდის **კევინ დურანტის** სნაიპერული სერიის დასასრული. ამ კალათბურთელმა პირველად ბოლო 42 მატჩის განმავლობაში ვერ შეძლო 25-ქულიან ზღვრამდე მიღწევა. ასე რომ, დურანტის სერია ხანგრძლივობით მესამეა NBA-ის ისტორიაში. მასზე უფრო დიდხანს ბომბარდირულ სტაბილურობას აჩვენებდნენ **ოსკარ რობერტსონი** (1963-64 წლების სეზონი, 46 მატჩი) და **უილტ ჩემბერლენი** (1961-62, 80). თუმცა, „დურანტულას" ნება რომ ყოფილიყო, ის გუშინაც უპრობლემოდ მოიპოვებდა 25 ქულას, მაგრამ „საკრამენტოსთან" მატჩში მისი დახმარება საჭირო აღარ ყოფილა. ამიტომაც, კევინმა მთელი მეოთხე მეოთხედი 23ქულით სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

■ ■ ■

ორი ცვლილება მოხდა NBA-ის ისტორიულ ცხრილებში. „დალასის" გერმანელი ფორვარდი **დირკ ნოვიცკი** ლიგის ყველა დროის 10 საუკეთესო ბომბარდირს შორის შევიდა. „იუტასთან" მოგებულ მატჩში ვეტერანმა 21 ქულა დააგროვა და ახლა, მის ანგარიშზე კარიერაში 26 714 ქულა მოდის - ეს ოთხით მეტია ოსკარ რობერტსონის შედეგზე, რომელიც, ახლა, მე-11 ადგილამდე ჩამოვიდა. ნოვიცკის შემდეგი სამიზნეა - **ჰაკიმ ოლაჟუონი**.

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გამთამაშებელმა **სტივ ნეშმა** კი გუშინ ლიგის ისტორიაში სამ საუკეთესო გამთამაშებელს შორის დაიკავა ადგილი. „ჰიუსტონთან" წაგებულ მატჩში მოხვეჭილი ხუთი შედეგიანი პასის წყალობით, ნეშმა გადაცემების საერთო რიცხვი 10 335-მდე აიყვანა. კანადელმა ერთი პასით გაუსწრო ან უკვე ყოფილ მესამეადგილოსან **მარკ ჯექსონს** - „გოლდენ სტეიტის" ამჟამინდელ მწვრთნელს. ნეშზე ერთი საფეხურით ზემოთ - მეორე ადგილზეა კიდევ ერთი მოქმედი მწვრთნელი - „ბრუკლინის" დამრიგებელი ჯეისონ კიდი, რომლის ანგარიშზეა 12 091 პასი. ხოლო ყველა დროის სიაში ლიდერობს **ჯონ სტოქტონი**, რომლის გასწვრივ წერია კოსმოსური რიცხვი - 15 806. ამ რეკორდის გაუმჯობესებას გამთამაშებელთა არაერთი თაობა ეცდება.

**ატლანტა–დეტროიტი 95:102**

**27:35, 25:23, 26:23, 17:21**

ა: მილსეპი (24+12 მოხსნა+4 პასი), ტიგი (15+9 პასი), ანტიჩი (13), კორვერი (12), მეკი (10).
დ: სტაკი (29), მონრო (21+13 მოხსნა), დრამონდი (19+17 მოხსნა), სივა (10).

**იუტა–დალასი 83:95**

**25:39, 21:22, 19:20, 18:14**

ი: ფეივორსი (19), კანტერი (15+19 მოხსნა), ჯეფერსონი (15), ჰეივორდი (11), ბერკსი (10), ევანსი (6+11 მოხსნა).
დ: ნოვიცკი (21), ელისი (16), კარტერი (13), დალემბერი (10), კალდერონი (10), მერიონი (10).

**საკრამენტო–ოკლაჰომა 92:107**

**27:30, 22:31, 28:24, 15:22**

ს: აუთლო (24), კაზინსი (24+14 მოხსნა), მაკლემორი (11), ტომპსონი (11).
ო: ბატლერი (23), დურანტი (23), იბაკა (19), ჯექსონი (13), ლემბი (10).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-მაიამი | 77 | 53 | 24 | 68.8 |
| 2. y-ინდიანა | 78 | 53 | 25 | 67.9 |
| 3. x-ტორონტო | 77 | 45 | 32 | 58.4 |
| 4. x-ჩიკაგო | 77 | 45 | 32 | 58.4 |
| 5. x-ბრუკლინი | 77 | 43 | 34 | 55.8 |
| 6. x-ვაშინგტონი | 77 | 40 | 37 | 51.9 |
| 7. x-შარლოტი | 77 | 39 | 38 | 50.6 |
| 8. ატლანტა | 77 | 34 | 43 | 44.2 |
| 9. ნიუ იორკი | 78 | 33 | 45 | 42.3 |
| 10. კლივლენდი | 78 | 31 | 47 | 39.7 |
| 11. დეტროიტი | 78 | 29 | 49 | 37.2 |
| 12. ბოსტონი | 77 | 23 | 54 | 29.9 |
| 13. ორლანდო | 77 | 22 | 55 | 28.6 |
| 14. ფილადელფია | 77 | 17 | 60 | 22.1 |
| 15. მილუოკი | 77 | 14 | 63 | 18.2 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-სან ანტონიო | 78 | 60 | 18 | 76.9 |
| 2. x-ოკლაჰომა | 77 | 56 | 21 | 72.7 |
| 3. x-კლიპერსი | 78 | 55 | 23 | 70.5 |
| 4. ჰიუსტონი | 77 | 52 | 25 | 67.5 |
| 5. პორტლენდი | 78 | 50 | 28 | 64.1 |
| 6. გ. სტეიტი | 77 | 48 | 29 | 62.3 |
| 7. დალასი | 79 | 48 | 31 | 60.8 |
| 8. ფინიქსი | 77 | 46 | 31 | 59.7 |
| 9. მემფისი | 77 | 45 | 32 | 58.4 |
| 10. მინესოტა | 77 | 39 | 38 | 50.6 |
| 11. დენვერი | 77 | 33 | 44 | 42.9 |
| 12. ნიუ ორლეანი | 77 | 32 | 45 | 41.6 |
| 13. საკრამენტო | 78 | 27 | 51 | 34.6 |
| 14. ლეიკერსი | 78 | 25 | 53 | 32.1 |
| 15. იუტა | 78 | 24 | 54 | 30.8 |

*x - გავიდა პლეი ოფში*

# პარკერის გარეშე რთულია

**მინესოტა–სან ანტონიო 110:91**

**27:19, 27:15, 31:29, 25:28**

მ: რუბიო (23), ლავი (19+12 მოხსნა), ლეონარდი (14+4 ჩაჭრა), დიენგი (12+15 მოხსნა), მბა ა მუტე (11), ტურიაფი (10).
ს-ა: დიაო (13), ჯოზეფი (13), ლეონარდი (11), ბონერი (11), დანკანი (10+4 დაფარება).

**ლეიკერსი–ჰიუსტონი 130:145**

**26:35, 35:31, 29:49, 40:30**

ლ: იანგი (32), მიქსი (30), კელი (18), ფარმარი (15+8 პასი), ჰილი (12), ჯონსონი (11).
ჰ: ჯონსი (33), ჰარდენი (33+12 პასი), პარსონსი (19+8 პასი), კანაანი (15), მოტეიუნასი (13+15 მოხსნა), აშიქი (10+15 მოხსნა).

გუშინდელ დღემდე, „სან ანტონიოს" ბოლო 21 მატჩში მხოლოდ ერთი შეხვედრა ჰქონდა წაგებული. თანაც, გამარჯვებათა უმრავლესობა „სპურსმა" არაოპტიმალური შემადგენლობით მოიპოვა. „დიდი ტრიოდან" ხან **ტიმ დანკანი** არ იყო მოედანზე, ხან **ტონი პარკერი** და ხანაც **მანუ ჯინობილი**. გუშინ, „მინესოტას" წინააღმდეგ პარკერი არ თამაშობდა ზურგის ტრავმის გამო. თუმცა დანაკარგი „მგლებსაც" ჰქონდათ. **რიკ ადელმანი** ძირითადი როტაციის ოთხი მოთამაშის გარეშე იყო: **ნიკოლა პეკოვიჩი, კევინ მარტინი, ჩეიზ ბადინგერი** და **შაბაზ მუჰამედი**.

მიუხედავად ამისა, პირველი წუთებიდან ლიდერობა „მგლებმა" მოიპოვეს. უფრო მეტიც, NBA-ის ვიცე-ჩემპიონი ერთხელაც არ დაწინაურებულა მატჩში და მეტოქეს 110 ქულის დაგროვების საშუალება მისცა. მესამე მეოთხედის შუაში სტუმრები 26 ქულით იგებდნენ. იმ მომენტში **გრეგ პოპოვიჩი** მიხვდა, რომ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და რეზერვისტებს დაუთმო ასპარეზი.

■ ■ ■

სათამაშო დღის ბოლო მატჩში ფანტასტიკური შედეგიანობა აჩვენეს „ჰიუსტონმა" და „ლეიკერსმა". რეგულარული ჩემპიონატის ერთ მატჩში 275 ქულა 2009 წლის მარტის შემდეგ არ ჩავარდნილა, თანაც გუნდებს ამისთვის ოვერტაიმიც არ დასჭირდათ. ჯამში ამ შეხვედრაში 25 ზუსტი სამქულიანი და 71 შედეგიანი გადაცემა შესრულა. გარდა ამისა, „როკეტსმა" სამწამიანი ზონიდან 80 (!) ქულა დააგროვა. ყველაზე აქტიურები იყვნენ **ჯონსი და ჰარდენი** - თითოეულმა 33 ქულა მიითვალა და 33-დან 23 ტყორცნა გამოიყენა.



სტივ ნეში

ცურვა

# 25 წლის პენსიონერი

გუშინ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ავსტრალიელმა სტეფანი რაისმა ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. მან ამისთვის ინტერნეტპორტალი Youtube გამოიყენა.



სტეფანი რაისი

25 წლის სპორტსმენის თქმით, ცურვიდან წასვლა ნაღვლიანი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია. რაისის თქმით, მან ახლა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ სპორტის მიღმა გამოიჩინოს თავი.

*„გადავწყვიტე აღარ გავაგრძელო სპორტული კარიერა. როცა ასეთ არჩევნამდე მიდიხარ, ხვდები რამდენად ნაღვლიანი განწყობა გაქვს. გრძნობ, რომ საკუთარი თავის ნაწილს კარგავ. ახლა, დარწმუნებით შემიძლია იმის თქმა, რომ ჩემი ახალი მიზანი იქნება აუზის მიღმა თავის გამოჩენა"*, - განაცხადა რაისმა ვიდეომიმართვაში.

ბოლო დროს, ავსტრალიელს მხარის ტრავმა აწუხებდა. კერძოდ, ამ დაზიანების გამო ვერ შეძლო მან 2012 წელს, ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა.

ოლიმპიურ თამაშებზე სამი ოქრო რაისმა 2008 წელს, პეკინში მოიგო. ავსტრალიელი პირველი იყო 200 და 400-მეტრიან დისტანციებზე კომპლექსურ ცურვაში, აგრეთვე ჩემპიონი გახდა 4x200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

# იონასი საჭესთან სვამს

„ტორონტო რეპტორზის" ლიტველ ცენტრს **იონას ვალანჩიუნასს** ბრალი წაუყენეს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო. ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა კანადურმა კლუბმა, რომელშიც ალანჩიუნასი გამოდის.

*„ამ დილით შეგვატყობინეს ინციდენტის შესახებ იონას ვალანჩიუნასის მონაწილეობით. მან იმედები გაგვიცრუა. ჩვენ ძალიან სერიოზულად ვეკიდებით ასეთ საკითხებს და იონასმა ამის შესახებ ძალიან კარგად იცოდა. ჯერჯერობით ინფორმაციას ვაგროვებთ და საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელ კომენტარს გავაკეთებთ"*, - იტყობინებიან კლუბის პრესრელიზში.



იონას ვალანჩიუნასი

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

მძლეოსნობა


ოსკარ პისტორიუსი

# დეტალები ოსკარისგან

სამშაბათს განახლდა სამხრეთაფრიკელი **ოსკარ პისტორიუსის** სასამართლო პროცესი. პირველ დღეს სხდომა მალე დასრულდა: შეყვარებულ **რივა სტენკამპის** მკვლელობაში დადანაშაულებული პისტორიუსი ისტერიკაში ჩავარდა და ის სასამართლო სხდომიდან გაუშვეს. ოსკარი კვლავინდებურად ამტკიცებს, რომ შეცდომით გაუხსნა ცეცხლი მოწინააღმდეგეს.

პისტორიუსის სასამართლო პროცესი სპორტსმენის ისტერიკის გამო მეორე დღისთვის გადაიტანეს, რათა პარალიმპიელს საკუთარი თავი ხელში აეყვანა. პისტორიუსმა ეს მოახერხა და გუშინ, მეგობარი გოგონას მკვლელობის დეტალები მოყვა.

*„შევამოწმე - სუნთქავდა თუ არა. ვიგრძენი, რომ ის სისხლისგან იცლებოდა და მისი სისხლი ტანსაცმელს მისვრიდა. სანამ ექიმები მოვიდოდნენ, რივა ხელში მეჭირა. უკვე ვიცოდი, რომ ექიმები ვერ შეძლებდნენ მის გადარჩენას. მე შეცდომა დავუშვი, რევას სიცოცხლე მოვუსწრაფე. უბრალო ადამიანი ვარ, მეც მაქვს საკუთარი ცოდვები. აქ ვარ იმისთვის, რომ სიმართლე მოგახსენოთ“*, - მოჰყავს პისტორიუსის სიტყვები BBC-ს.


შერონ სიმპსონი

# იამაიკელების დასჯა დაიწყო

ცნობილი იამაიკელი სპრინტერი **შერონ სიმპსონი** 18-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს დოპინგის გამოყენების გამო. 4x100 მეტრზე ესტაფეტაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა დადებითი დოპინგტესტი 2013 წლის 21 ივნისს ჩააბარა - მის ორგანიზმში აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატი ოქსილოფრინი. მაშინ, იამაიკელი ჩამოაშორეს საერთაშორისო ტურნირებს და შერონმა მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში ვერ შეძლო მონაწილეობის მიღება.

შეგახსენებთ, რომ მაშინ დოპინგზე კიდევ ერთი ცნობილი იამაკელი მძლეოსანი ჩავარდა: 100 მეტრზე მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **ასაფა პაუელი**. მის საქმეზე ვერდიქტს 10 აპრილს გამოაცხადებენ.

## ამბები

**ფორმულა 1**

### ჩემპიონატი ტურბოძრავებმა გადაარჩინეს

გერმანულმა პრესამ გაარკვია, რომ ამ სეზონში, შესაძლოა, არ გვეხილა ტრასაზე „მერსედესის“ ბოლიდები. საჯინიბო გასული სეზონის ბოლოს ფორმულა 1-დან გასვლის ვარიანტს განიხილავდა. ამ ინფორმაციას ადასტურებს გერმანული ავტომწარმოებლის მმართველი საბჭოს ერთ-ერთი წევრი - **ტომას ვებერი**.

შეგახსენებთ, რომ V8-ის ძრავის შენარჩუნების შემთხვევაში, ჩემპიონატის დატოვებას აპირებდა „რენო“, გარდა ამისა, იაპონური კონცერნი „ჰონდა“, რომელსაც „დიდი ცირკში 2015 წლისთვის აქვს განზრახული დაბრუნება, ამ გეგმას გააუქმებდა.

**კალათბურთი**

### გაისად დ'ენტონი არ იქნება

ESPN-ის ინტერნეტგვერდის ინფორმაციით, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ხელმძღვანელობა აპირებს თანამდებობიდან გადააყენოს მთავარი მწვრთნელი **მაიკ დ'ენტონი**. ამ სპეციალისტის მოქმედი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც მან კიდევ 4 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს, მომავალი წლის ზაფხულამდეა ძალაში.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ „ლეიკერსის“ შეფობა მომავალი სეზონისთვის მაიკ დ'ენტონის დატოვების ვარიანტს განიხილავდა.

### ნოას მსოფლიო არ უნდა

„ჩიკაგო ბულზისა“ და საფრანგეთის ნაკრების ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ არ გეგმავს წელს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას.

*„ჩემი პარტნიორების მიმართ უპატივცემულობა იქნებოდა მხოლოდ „ჩიკაგოზე“ ფიქრი. როცა ნაკრებში გამოსვლაზე მეკითხებიან, იმ მომენტში რთულია იმის განსაზღვრა - რა იქნება ერთი ან ორი წლის შემდეგ. ჩემი აზრით, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გიჟური დატვირთვებია. მთელი წელი შეუსვენებლად თამაშობ - ეს ჩემთვის მეტისმეტია. ასე რომ, წელს ნამდვილად არ ვითამაშებ ნაკრებში“*, - ამბობს ESPN-თან ინტერვიუში ნოა.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კანადური კრიზისი

„ტამპა ბეისთან“ სტუმრად წაგების (0:3) შემდეგ, „ტორონტომ“ პლეი ოფში მოხვედრის ყველანაირი შანსი დაკარგა. ასე რომ, წელს, სტენლის თასზე მხოლოდ ერთმა კანადურმა კლუბმა - „მონრეალ კანადიენსმა“ შეძლო გასვლა. რეგულარულ ჩემპიონატში კანადურ გუნდებს ასეთი სუსტი გამოსვლა 1973 წლის შემდეგ არ ჰქონიათ.

*„ეს საშინელი გრძნობაა. უბრალოდ შოკში ვარ და არ შემიძლია აღვწერო ის, რამდენად იმედგაცრუებული ვარ. ვფიქრობდით, რომ შევძლებდით კარგ გუნდებთან კონკურენციას და არ გვაქვს პასუხი - რატომ მოხდა ასე. ჯერ კიდევ ერთი თვის წინ მიგვაჩნდა, რომ მხოლოდ ექვსი მატჩის მოგება გვჭირდებოდა ბოლო 14-დან იმისთვის, რათა პლეი ოფში მოვხვედრილიყავით. მაგრამ არ გამოგვივიდა“*, - განაცხადა „ტორონტოს“ მთავარმა მწვრთნელმა **რენდი კარლაილმა**.

*„ბოლო 26 დღის განმავლობაში, „ტორონტომ“ მხოლოდ ოთხი ქულის მოპოვება შეძლო და სატურნირო ცხრილში წინ გაუშვა 8 გუნდი! გასაკვირი არ არის, რომ ასეთი გუნდი ვერ გავიდა სტენლის თასის გათამაშებაში“*, - აღნიშნა The Globe and Mail-ის მიმომხილველმა **ჯეიმს მირტლმა**.

■ ■ ■

ამასობაში, აგრძელებს პლეი ოფში მოსახვედრად ბრძოლას „ვაშინგტონ კეპიტალზი“, რომელსაც მერვე ადგილამდე ოთხი ქულა აშორებს, ჩემპიონატის ბოლომდე კი სამი თამაში აქვს ჩასატარებელი. მოუმატა თამაშს ბოლო დროს გაკრიტიკებულმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა**, რომელიც ერთადერთია ამ სეზონში, ვინც რეგულარულში 50 შაიბა გაიტანა. ამ ზღვარს რუსმა ვარსკვლავმა გუშინდელ მატჩში მიაღწია, რომელშიც დედაქალაქელებმა სტუმრად 4:1 დაამარცხეს „სენტ ლუისი“.

ოვეჩკინმა ამ შეხვედრაში დუბლი შეასრულა, რითაც კარიერაში მეხუთედ დაუგროვდა ერთ სეზონში მინიმუმ 50 შაიბა. „ვაშინგტონის“ კაპიტანი მე-11 ჰოკეისტია NHL-ის ისტორიაში, ვინც ასეთი რამ მოახერხა.

რუსს გარანტირებული აქვს მიმდინარე სეზონში საუკეთესო სნაიპერის ტიტული, რადგან უახლოეს მდევარს - „ანაჰაიმის“ ფორვარდ **კორი პერის** 42 გოლი აქვს;

**ბაფალო–დეტროიტი 2:4**

0:0, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 გირგენსონსი-7 (ჰოჯსონი-23, მ. უებერი-6), 1:1 ბ. სმიტი-5 (ფრანცენი-25, ალფრედსონი-30), 1:2 ჰელმი-12 (ქუინსი-9), 1:3 ლეგუანდი-14 (დ. მილერი-8), 2:3 გირგენსონსი-8 (ჰოჯსონი-24, პისიკი-6), 2:4 დაციუკი-17.

**აილენდერსი–ოტავა 1:4**

0:0, 0:1, 1:3

**გოლები:** 0:1 სპეცა-21 (ე. კარლსონი-52, ჰემსკი-28), 1:1 ნილსენი-25 (ჩუჩმანი-2, ბეილი-27), 1:2 სპეცა-22 (ჰემსკი-29, მეტოტი-16), 1:3 ჰემსკი-13 (მ. მიხალეკი-22, მეტოტი-17), 1:4 კასიანი-1 (სპეცა-43, კონდრა-10).


ვაშინგტონმა შანსი დაიტოვა

**რეინჯერსი–კაროლინა 4:1**

1:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დუაიერი-8 (ბელემორი-6), 1:1 ბ. რიჩარდსი-19 (სან ლუი-36, სტეპანი-39), 2:1 პულიო-14 (ცუკარელო-39, სტრალმანი-11), 3:1 ბ. რიჩარდსი-20 (ჟირარდი-19, სან ლუი-37), 4:1 სტეპანი-17 (სან ლუი-38, სტრალმანი-12).

**კოლამბუსი–ფინიქსი 4:3 (ო)**

1:2, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ჯენერი-15 (ჰორტონი-14, იოჰანსენი-27), 1:1 ერატი-3 (ვრბატა-30, ჩიპჩურა-14), 1:2 დოუნი-21 (სტოუნი-13, იენდლი-45), 2:2 ლეტესტუ-10 (ანისიმოვი-16), 3:2 კომო-5 (მაკენზი-9, ანისიმოვი-17), 3:3 ეკმან-ლარსონი-15 (რიბეირო-31, ბოდკერი-31), 4:3 იოჰანსენი-32 (ვისნიევსკი-42)

**ტამპა ბეი–ტორონტო 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პალატი-21 (ჰედმანი-39, გუდასი-19), 2:0 პალატი-22 (სტემკოსი-14, ჰედმანი-40), 3:0 ჰედმანი-13.

**ფლორიდა–ფილადელფია 2:5**

0:0, 0:4, 2:1

**გოლები:** 0:1 ლეკავალიე-20 (ა. ჰოლი-4), 0:2 ჟირუ-26 (გროსმანი-13, ლ. შენი-8), 0:3 ჟირუ-27 (მტრაიტი-30, ჰარტნელი-30), 0:4 კუტურიე-11 (ქობურნი-12, რიდი-18), 1:4 გუდბრანსონი-3 (აპშოლი-22, ტროჩეკი-3), 2:4 იუბერდო-9 (ვინჩესტერი-9, შორი-2), 2:5 მაკგინი-4 (ლეკავალიე-17, ა. ჰოლი-5).

**სტ. ლუისი–ვაშინგტონი 1:4**

0:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-50 (ჯ. კარლსონი-25, ჯ. უორდი-22), 1:1 ლაპიერი-9 (ოტი-14, რივსი-6), 1:2 გრაბოვსკი-13 (ფერი-16, ჰოლტბი-2), 1:3 ბექსტრიომი-16 (ოვეჩკინი-26, ორლოვი-7), 1:4 ბექსტრიომი-17 (ოვეჩკინი-27, ჯ. კარლსონი-26).

**მინესოტა–ბოსტონი 4:3 (ბ)**

2:2, 0:1, 1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პომინვილი-28 (მ. კოივუ-41, პარიზე-27), 1:1 რ. სმიტი-20, 1:2 პ. ბერჟერონი-29 (მარჩანდი-26, ხარა-21), 2:2 პომინვილი-29 (მოულსონი-27, ჰაულა-7), 2:3 ლ. ერიქსონი-9 (გ. კემპბელი-13, ხარა-22), 3:3 რ. სუტერი-8 (პომინვილი-28, მ. კოივუ-42).

**ბულიტები გაიტანეს:** მ. კოივუ (მინესოტა).

**დალასი–ნეშვილი 3:2 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0, 2:1

**გოლები:** 1:0 გოლიგოვსკი-6 (ფიდლერი-15, სკევიური-4), 1:1 გ. ბურკი-8 (კ. სმიტი-25, შ. უებერი-32), 2:1 ჯეიმი ბენი-34 (ნიჩუშკინი-20, დილონი-11), 2:2 გ. ბურკი-9 (გოსტადი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** იოსი (ნეშვილი), ფიდლერი (დალასი), სეგუინი (დალასი).

**ედმონტონი–კოლორადო 1:4**

1:2, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 პ. შჩასტნი-23 (ლანდესკოგი-39, ჯ. მიტჩელი-22), 1:1 პერონი-28 (სემ განიე-27, ლარსენი-8), 1:2 ე. ჯონსონი-9 (ჰეიდა-11, მაკინონი-37), 1:3 ბერი-12 (ე. ჯონსონი-29, რ. ო'რაილი-34), 1:4 მაკგინი-19 (მაკინონი-38, რ. ო'რაილი-35).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ბოსტონი | 79 | 53 | 18 | 8 | 114 |
| 2. x-მონრეალი | 79 | 45 | 27 | 7 | 97 |
| 3. x-ტამპა ბეი | 79 | 43 | 27 | 9 | 95 |
| 4. დეტროიტი | 79 | 38 | 27 | 14 | 90 |
| 5. ტორონტო | 80 | 38 | 34 | 8 | 84 |
| 6. ოტავა | 79 | 34 | 31 | 14 | 82 |
| 7. ფლორიდა | 80 | 28 | 44 | 8 | 64 |
| 8. ბაფალო | 79 | 21 | 49 | 9 | 51 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-პიტსბურგი | 79 | 50 | 24 | 5 | 105 |
| 2. x-რეინჯერსი | 80 | 44 | 31 | 5 | 93 |
| 3. x-ფილადელფია | 79 | 41 | 29 | 9 | 91 |
| 4. კოლამბუსი | 79 | 41 | 31 | 7 | 89 |
| 5. ვაშინგტონი | 79 | 36 | 30 | 13 | 85 |
| 6. ნიუ ჯერსი | 79 | 34 | 29 | 16 | 84 |
| 7. კაროლინა | 79 | 34 | 34 | 11 | 79 |
| 8. აილენდერსი | 79 | 31 | 37 | 11 | 73 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-სტ. ლუისი | 79 | 52 | 20 | 7 | 111 |
| 2. x-კოლორადო | 79 | 51 | 21 | 7 | 109 |
| 3. x-ჩიკაგო | 79 | 45 | 19 | 15 | 105 |
| 4. x-მინესოტა | 80 | 42 | 26 | 12 | 96 |
| 5. დალასი | 79 | 39 | 29 | 11 | 89 |
| 6. ნეშვილი | 79 | 35 | 32 | 12 | 82 |
| 7. ვინიპეგი | 80 | 35 | 35 | 10 | 80 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-ანაჰაიმი | 79 | 51 | 20 | 8 | 110 |
| 2. x-სან ხოსე | 79 | 49 | 21 | 9 | 107 |
| 3. x-ლოს ანჯელესი | 79 | 45 | 28 | 6 | 96 |
| 4. ფინიქსი | 79 | 36 | 28 | 15 | 87 |
| 5. ვანკუვერი | 79 | 35 | 33 | 11 | 81 |
| 6. კალგარი | 79 | 34 | 38 | 7 | 75 |
| 7. ედმონტონი | 80 | 28 | 43 | 9 | 65 |

**z - კონფერენციის ჩემპიონი; y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეი ოფში**

*შენიშვნა:* პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 102 (36+66) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 86 (31+55) |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 82 (36+46) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 81 (27+54) |
| კორი პერი (ანა) | 80 (42+38) |
| ფილ კესელი (ტორ) | 80 (37+44) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 77 (50+27) |
| ტეილორ ჰოლი (ედმ) | 77 (27+50) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 77 (17+60) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 50 |
| კორი პერი (ანა) | 42 |
| ჯო პაველსკი (ს-ხოს) | 39 |
| მაქს პასიორეტი (მონ) | 39 |
| ფილ კესელი (ტორ) | 37 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 36 |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 36 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 35 |
| ჯეიმი ბენი (დალ) | 34 |

**პასები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 66 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 63 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 60 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 55 |
| დანკან კიტი (ჩიკ) | 54 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 54 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 52 |
| ტეილორ ჰოლი (ედმ) | 50 |
| დავიდ კრეიჩი (ბოს) | 49 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 49 |


მაიკ გილისი

### ვანკუვერში ცვლილებები იწყება

„ანაჰაიმთან“ ორი დღის წინ წაგებული მატჩის შემდეგ, „ვანკუვერმა“ პლეი ოფში მოხვედრის მათემატიკური შანსიც დაკარგა, რასაც მაშინვე მოჰყვა გენერალური მენეჯერის განთავისუფლება.

როგორც ცნობილი გახდა, კლუბმა დაითხოვა **მაიკ გილისი**, რომელიც „კენაქსში“ 2008 წლიდან მუშაობდა. ჯერჯერობით, თანამდებობა შეინარჩუნა მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ ტორტოლერამ**.

გილისის მეთაურობით „ვანკუვერმა“ 2011 და 2012 წლებში მოიგო რეგულარული ჩემპიონატი, 2011-ში კი სტენლის თასის ფინალამდე გააღწია, მაგრამ წააგო ფინალური სერია.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გოლფი

# სად გრეტცკი და სად გოლფი







ლეგენდარული კანადელი ჰოკეისტის **უეინ გრეტცკის** ქალიშვილმა ალაშფოთა გოლფის სამყარო, როცა ჟურნალ Golf Digest-ის გარეკანისთვის გადაიღო ფოტოები. ამ ისტორიამ სერიოზული განვითარება მიიღო.

გოლფისტთა დიდი ჯგუფი Golf Digest-ის ახალი ნომრის გამოსვლის შემდეგ აქტიურად გამოხატავდა უკმაყოფილებას. მათი აზრით, გარეკანზე **პაულინა გრეტცკის** გამოჩენა შეურაცხყოფს ნამდვილი გოლფისტების, განსაკუთრებით კი ქალი მოთამაშეების გრძნობებს.

*„ქალი გოლფისტებისთვის ეს შეურაცხმყოფელია. მესმის, რომ Golf Digest-ს ტირაჟის რეალიზაცია სჭირდება, მაგრამ, ამასთან, მინდა დავინახო მცირედი პატივისცემა ქალი გოლფისტების მიმართ“*, - განაცხადა პროფესიონალმა მოთამაშეს **სტეისი ლუისმა**.

პრესაში ატეხილი ამ დებატებისთვის მოსმენის შემდეგ, ფოტოგრაფმა **სუ სუგმა** მეგობრებთან ერთად საკუთარი ფოტოსესია მოაწყო - სწორედ გრეტცკის სურათების მოტივებზე. Golf Digest-მა სათანადოდ შეაფასა ფოტოგრაფის იუმორი, რის შესახებაც საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა.

● კრივი

# პაკიაო ფავორიტია, მაგრამ...




პაკიაოსა და ბრედლის ბრძოლის აფიშა

რვაწონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** დაასრულა მზადება 12 აპრილს, ლას ვეგასში გასამართი ბრძოლისთვის, რომელშიც ის ნახევრადსაშუალო წონაში WBO-ის ჩემპიონს, ამერიკელ **ტიმოტი ბრედლის** უნდა შეხვდეს.

შეგახსენებთ, რომ ეს მოკრივეები ერთხელ უკვე შეხვდნენ ერთმანეთს: 2012 წლის ივნისში ბრედლიმ მსაჯების არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო პაკიაოს, თუმცა იმ ბრძოლის საბოლოო შედეგს ბევრმა სპეციალისტმა და გულშემატკივარმა უსამართლო უწოდა.

არ არის გამორიცხული, ეს ბოლო ბრძოლა იყოს ფილიპინელის კარიერაში. ამის შესახებ პაკიაოს მწვრთნელმა **ფრედი როუჩმა** ილაპარაკა.

*„თუ სასწაული მოხდება და ბრედლი ნოკაუტით გაიმარჯვებს, განვიხილავთ პაკიაოს კარიერის დასრულების ვარიანტს. მენისთან ახლო ურთიერთობა მაქვს. ის ყოველთვის მთხოვდა მეთქვა მისთვის რინგიდან წასვლის მომენტის შესახებ. მეც დავეთანხმე. ჩვენ გვაქვს ამგვარი შეთანხმება“*, - განაცხადა ფრედი როუჩმა.

თუმცა ბუკმეიკერებს სჯერათ, რომ პაკიაო შეძლებს რევანშის აღებას. მომავალ ბრძოლაზე ბრიტანული საბუკმეიკერო კანტორის „უილიამ ჰილის“ კოეფიციენტები შემდეგია: პაკიაოს მოგება - 1.5 (ვადაზე ადრე - 4.0, მსაჯების გადაწყვეტილებით - 2.2), ბრედლის მოგება - 2.6 (ვადაზე ადრე - 7.5, მსაჯების გადაწყვეტილებით - 3.5).

● ჩოგბურთი

# როჯერი მონაკოში იქნება

ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა **როჯერ ფედერერმა** გამოიყენა მონტე კარლოს მასტერსის ორგანიზატორების მიერ მინიჭებული უაილდ-ქარდი და მონაწილეობას მიიღებს ამ ტურნირში, რომელიც 12-20 აპრილს გაიმართება. ასე რომ, მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი მონაკოს მასტერსში 2011 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს.

სულ როჯერსს ამ ტურნირში 10-ჯერ აქვს მონაწილეობა მიღებული და სამჯერ მივიდა ფინალამდე, მაგრამ სამივეჯერ ესპანელ **რაფაელ ნადალთან** წააგო.

■ ■ ■

ამასობაში, ერთ-ერთმა ესპანურმა გამოცემამ 12 ქვეყანაში ჩაატარა გამოკითხვა იმის გასარკვევად - ვინ არის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ესპანელი სპორტსმენი. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ: აშშ, ავსტრალია, ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ესპანეთი, მექსიკა, ბრაზილია, ჩილე, არგენტინა და რუსეთი.



როჯერ ფედერერი

ხმების 75 პროცენტი მოიპოვა რაფაელ ნადალმა, რომელმაც უკან ჩამოიტოვა NBA-ის კალათბურთელი **პაუ გასოლი**, ფორმულა 1-ის პილოტი **ფერნანდო ალონსო** და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი **იკერ კასილიასი**. უშუალოდ ესპანეთში, ნადალის სასარგებლოდ არჩევანი რესპოდენტთა 98-მა პროცენტმა გააკეთა.

● ექსტრემალური სპორტი



ერნესტო გაინსა

# ციდან ქოლგით

ვენესუელელმა ექსტრემალმა სპორტსმენმა **ერნესტო გაინსამ** მსოფლიო ახალი რეკორდი დაამყარა - ქოლგაზე ოდნავ დიდი ზომის პარაშუტით შეასრულა ნახტომი.

გაინსას ხანგრძლივი ნახტომი, რომელსაც აზღვევდა სპორტის ამ ექსტრემალური სახეობის ისტორიაში ყველაზე პატარა პარაშუტი, გინესის რეკორდების წიგნში შევა. ვენესუელელი 4270 მეტრიდან გადმოხტა, პარაშუტით ფართობი კი 3.25 კვადრატული მეტრი იყო. გაინსა მშვიდობიანად დაეშვა დუბაიში პალმის კუნძულების არქიპელაგის ყველაზე პატარა კუნძულზე - Palm Jumeirah-ზე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩები** | |
| ატლეტიკო-ბარსელონა | 1:0 (1:1) |
| ბაიერნი-მანჩესტერ იუნ | 3:1 (1:1) |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ს-დ)** | |
| აინტრახტი II-მაინცი II | 1:2 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| გრააფსხაპი-ვილემი | 1:2 |
| **დანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ოლბორგი-ჰორსენსი | 2:1 (3:1) |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლოკარნო-ვოლენი | 2:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **პლეი ოფი** | |
| ჩანია-ირაკლის (პ) | 0:1 |
| ირაკლისი-ფოსტირასი | 1:0 |
| ნიკი ვოლუ-აიგინიაკისი | 2:3 |
| **კვიპროსის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| დოქსა-აპოელ | 0:4 (1:4) |
| ერმისი-აპოლონი | 4:1 დ.დ. 2:0 (1:2) |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/4 ფინალი. II მატჩი** | |
| იჟლავა-პლზენი | 3:2 (0:1) |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| სკა ენერგია-უფა | 2:2 |
| ენისეი-ანგუშტი | 4:1 |
| გაზოვიკი-ხიმიკი | 2:0 |
| სიბირი-ნეფტიხიმიკი | 2:1 |
| არსენალი-ბალტიკა | 1:1 |
| ნალჩიკი-შინიკი | 1:0 |
| ტორპედო-ლუჩ ენერგია | 2:0 |
| **პოლონეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| იაგელონია-ზავიშა | 0:2 |
| **სერბეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| სპარტაკი-ვოივოდინა | 0:1 (0:1) |
| იაგოდინა-ოფკ | 2:0 (2:1) |
| **ბულგარეთი** | |
| ლიტექსი-ლოკომოტივი (პ) | 3:0 |
| სლავია-ლუბიმეცი | 4:0 |
| ბეროე-პირინი | 2:1 |
| ლუდოგორეცი-ლევსკი | 2:0 |
| **ლატვია** | |
| დაუგავა-იურმალა | 2:0 |
| იეგლავა-სპარტაკსი | 0:0 |
| მეტალურგსი-სკონტო | 1:0 |
| **ლიტვის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩი** | |
| ბანგა-გრანიტასი | 2:0 |
| **ჩერნოგორიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. I მატჩები** | |
| მლადოსტი-მოგრენი | 2:0 |
| პეტროვაცი-ლოვჩენი | 0:0 |
| **ბრაზილიის თასი** | |
| გუარანი-სანტა რიტა | 1:2 |
| **გვატემალა** | |
| მუნისიპალი-დეპ. მარკენსე | 3:0 |
| დეპ. ერედია-კომუნიკასიონ. | გვ.დასრ. |
| ისტაპა-დეპ. მალაკატეკო | გვ.დასრ. |
| **ჩინეთი** | |
| ჟიანგსუ-შანდონგი | 1:0 |
| **კორეა** | |
| ჯეჯუ-ჟეონბუკი | 2:0 |
| სანგჯუ-სეული | 2:1 |
| ინჩეონი-ბუსანი | 0:0 |
| პოჰანგი-გიეონგნამი | 3:0 |
| სუვონი-ჩუნამი | 1:0 |
| ულსანი-სეონგნამი | 0:1 |
| **ს. აფრიკა** | |
| ფრი სტეიტი-სუპერ სპორტი | 1:2 |
| აიაქსი-ლამონტვილი | 2:2 |
| ბიდვესტი-პლატინუმი | 1:0 |
| კაიზერ ჩიფსი-მპუმალანგა | 0:1 |
| მამელოდი-ბლუმფონტეინი | 1:0 |
| პოლოკვანე-მარიტცბურგი | 1:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| უნიქსი-ცრვენა ზვეზდა | 84:67 |
| ნ. ნოვგოროდი-ვალენსია | 53:79 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 0:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| კოშიცე-ნიტრა | 4:3 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-სეიპა | 2:1 (ო) |
| ტაპარა-ლუკო | 1:2 (ო) |
| **შვედეთი** | |
| ვექსიო-ფერიესტადი | 2:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| კარენო ბუსტა-კამკე | 6:1, 6:2 |
| გარსია ლოპესი-კუკუშკინი | 7:6, 7:6 |
| ლ. მაიერი-ვესელი | 4:6, 3:6 |
| დელ ბონისი-პელივო | 6:2, 6:7, 6:4 |
| ჰაასე-ნედოვესოვი | 6:7, 4:6 |
| დე სხეპერი-მონტანიესი | 2:6, 3:6 |
| ანდერსონი-ჰანესკუ | 4:6, 4:6 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| მონაკო-დევარმანი | 7:6, 6:2 |
| ხირალდო-ებდენი | 6:1, 6:2 |
| კუერი-ჰიუიტი | 6:3, 6:4 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| სხეპერსი-პანოვა | 6:3, 6:2 |
| ლისარასო-დომინგეს ლინო | 2:6, 3:6 |
| კინგი-ირიგოიენი | 6:4, 3:6, 6:0 |
| იანკოვიჩი-იოჰანსონი | 7:5, 7:5 |
| ხრომაჩევა-დუკე მარინო | 2:6, 4:6 |
| **WTA. კატოვიცე** | |
| პირონკოვა-პეერი | 2:6, 1:6 |
| რიბარიკოვა-ფოერშტეინი | 6:2, 7:5 |
| ბეკი-ზაკოპალოვა | 6:4, 3:6, 1:6 |
| ლუჩიჩი-იაკშიჩი | 6:3, 6:4 |
| კადანტუ-სუარეს ნავარო | 6:2, 4:6, 4:6 |
| ჯორჯი-ვინჩი | 6:3, 6:7, 6:0 |

● TV პროგრამა

**10 აპრილი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. აუგსბურგი-ბაიერნი.
**12:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ფერეირა-სპორტინგი.
**14:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პორტო-სევილია. პირველი მატჩი.
**16:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ლიონი-იუვენტუსი. პირველი მატჩი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. დორტმუნდი-რეალი. საპასუხო მატჩი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.
**22:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:05** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. სევილია-პორტო. საპასუხო მატჩი (LIVE).
**01:00** ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იუვენტუსი-ლიონი. საპასუხო მატჩი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-აიაქსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ფენერბახჩე-მილანი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-კოლონი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ირლანდია-იტალია.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIV ტური. ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი (LIVE).
**00:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. XIV ტური. მაკაბი-ცსკა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
**13:40** სპორტ-NEWS.
**14:10** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
**18:50** სპორტ-NEWS.
**19:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონტე კარლო. მონაკო.
**23:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. იუვენტუსი-ლიონი. საპასუხო მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4-ფინალი. საპასუხო მატჩები



მანჯუკიჩმა ანგარიში გაათანაბრა

# სენსაცია მაინც არ შედგა

## წითელმა ეშმაკებმა როგენი ვერ შეაჩერეს

**ბაიერნი–მანჩესტერი 3:1 (1:1)**

**გოლები:** 0:1 ევრა (57), 1:1 მანჯუკიჩი (59), 2:1 მიულერი (68), 3:1 რობენი (76).

**ბაიერნი (4-3-3):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - მიულერი (84. პისარო), გიოტცე (65. რაფინია), კროოსი - რობენი, მანჯუკიჩი, რიბერი

**მანჩესტერი (4-2-3-1):** დე ხეა - ჯოუნსი, სმოლინი, ვიდიჩი, ევრა - ფლეტჩერი (74. ერნანდესი), კერიკი - ვალენსია, კაგავა, უელბეკი (81. იანუზაი) - რუნი

**გაფრთხილება:** რაფინია - ვიდიჩი, ევრა.

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 19-4 (4-3); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

მაყურებელი: 68 000

**სენსაცია არ შედგა - მიუხედავად იმისა, რომ ორი მატჩის ჯამში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიუნხენის „ბაიერნს“ დიდი წინააღმდეგობა გაუწია, მომდევნო ეტაპზე მაინც ფავორიტი გავიდა...**

მატჩი მასპინძელთა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით წარიმართა, სტუმრები კი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ ხეირის ნახვას. პირველი ნახევარი გუნდებმა ფრთხილად წარმართეს, რასაც ჰქონდა თავისი ახსნა - გერმანელებს გასახსნელად არ ჰქონდათ საქმე, რადგან პირველივე მატჩში მოიპოვეს უპირატესობა, ინგლისელებს რესურსი არ ეყოთ მრისხანე მეტოქისთვის შემტევი ფეხბურთი დაეპირისპირებინათ. ამად იყო, რომ ანტრაქტამდე მომენტები პრაქტიკულად არ შექმნილა, თუმცა 45 წუთი დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში გაილია.

მთავარი მოვლენები მეორე ნახევარში წარიმართა - 57-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც ინგლისელებმა მარჯვენა ფრთიდან შეუტიეს, **ვალენსიას** ჩაწოდებას კი **პატრის ევრას** უძლიერესი და უზუსტესი დარტყმა მოჰყვა - 0:1. ეს ანგარიში უკვე ინგლისელებს აძლევდათ ხელს, თუმცა მათი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა - ერთ წუთში უკვე **ფრანკ რიბერიმ** ჩააწოდა, **მარიო მანჯუკიჩმა** კი თავური დარტყმით გაქვითა ანგარიში - 1:1. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელთათვის 1:1 უკეთესი შედეგი იყო, ვიდრე 0:0, ხორვატის გოლმა მასპინძლებს გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა, რომელიც შემდეგ ორ გოლში აისახა. 68-ე წუთზე, ბურთი **არიენ რობენმა** მიიღო, ზუსტი პასით **თომას მიულერი** მოძებნა, რომელმაც დასწრებაზე ითამაშა და ერთი შეხებით შეაგორა ბურთი მანჩესტერელთა კარის ჩარჩოში - 2:1. წერტილი რობენმა დასვა, ფრთაზე მიიღო ბურთი, ჩვეულად შეირბინა ცენტრისკენ, გზად ორი მეურვე ჩამოიცილა და ბურთი მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში გაიტანა - 3:1. მიუხედავად მცირე რეკოშეტისა, **დავიდ დე ხეას** შეეძლო ბურთის აღება და თანაგუნდელთათვის მცირე შანსის დატოვება. დარჩენილ დროში, საინტერესო არაფერი მომხდარა - ბურთს ისევ „ბაიერნი“ აკონტროლებდა და მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა.

თქმა არ სჭირდება, რომ დღეს, მიუნხენის „ბაიერნი“ უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე „მამჩესტერ იუნაიტედი“, რაც „ალიანს არენაზე“ კიდევ ერთხელ გამოჩნდა. თუმცა, ქება ინგლისელებსაც ეკუთვნით, რომლებმაც ორი მატჩის ჯამში ბავარიულ გიგანტს დიდი ბრძოლა გაუმართეს; თანაც, წამყვანი ფორვარდის, **რობინ ვან პერსის** გარეშე, რომელმაც ვერც განმეორებით შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. „იუნაიტედს“ ჰყავდა **უეინ რუნი** და თანაც არ ჰყავდა - დიახ, სტუმართა ლიდერი ტრავმით თამაშობდა და არათუ შეეწია თანაგუნდელებს, რამდენიმე მეტად სახიფათო იერიში ჩაშალა უხეირო და ზედმეტი მოძრაობებით. რუნიმ რამდენჯერმე დარტყმა დააყოვნა და სადაც დაარტყა, იქაც არაფერი გამოუვიდა. მაგრამ ეს არაფრით აკნინებს მიუნხენელთა წარმატებას, რომლებიც ასევე დანაკლისით შეხვდნენ „იუნაიტედთან“ ჯახს - მარტო **ბასტიან შვაინშტაიგერის** ხსენება რად ღირს.

**ლაშა ნიკლაური**

# ატლე-ტიკი-ტაკა-ტიკო

**ატლეტიკო–ბარსელონა 1:0 (1:1)**

**გოლი:** 1:0 კოკე (5)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუისი - ტიაგო, გაბი - კოკე, რაულ გარსია, ადრიანი (62. დიეგო) - ვილია (79. კ. როდრიგესი)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, ბარტრა, მასკერანო, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა (72. პედრო) - ფაბრეგასი (61. სანჩესი), ნეიმარი, მესი

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

**გაფრთხილება:** კოკე - ბუსკეტსი, მასკერანო, დანი ალვეში

**კუთხური:** 6-7 **ჯარიმა:** 15-9 **თამაშგარე:** 4-0 **კარში დარტყმა:** 14-11 (9-5) **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 53 592

მატჩს ორივე გუნდი არცთუ სახუმარო დანაკლისით შეხვდა. **ვიქტორ ვალდესისა** და **კარლეს პუიოლის** ტრავმები ძველი ამბავია და შეგახსენებთ იმასაც, რომ „ბარსელონას“ აკლდა **ჟერარდ პიკეც**. თუ კატალონიელებს უკანახაზელებთან დაკავშირებით ჰქონდათ პრობლემები, „ატლეტიკოს“ პირიქით - მადრიდელთა მთავარმა ფორვარდმა და გოლეადორმა **დიეგო კოშტამ**, როგორც მოსალოდნელი იყო, მომჯობინება ვერ მოასწრო და „ათლეტებს“ არ ჰყავდათ **არდა თურანიც**. მიუხედავად ამ ყველაფრისა, პირველ მატჩში ულამაზესი გოლის გამტანი **დიეგო დიეგო სიმეონემ** მაინც სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

შეხვედრა „ატკეტიკოს“ შეტევებით დაიწყო. პირველ ტაიმში „ბარსას“ კარის ძელმა იმაზე მეტჯერ მოიგერია ბურთი, ვიდრე ლამის ორივე გუნდის მეკარემ ერთად. გოლი კი მე-6 წუთზე გავიდა და მისი ავტორი **კოკე** გახდა, რომელიც არა მარტო გოლის გამო, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად უნდა დავასახელოთ. ამ შეტევის დასაწყისში, წესით, **დავიდ ვილიას** უნდა გაეტანა, მაგრამ მან ვერც ამჯერად შეძლო ყოფილი გუნდის კარის აღება და ძელს გაარტყა, შეტევა გაგრძელდა და საბოლოოდ, **ადრიან ლოპესმა** მშვენივრად დაუგდო თავით კოკეს, რომელმაც ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით შეაგდო.

„ათლეტებმა“ პირველ ტაიმში სამჯერ გაარტყეს ბურთი ძელს, „ბარსელონას“ არაფერი გამოსდიოდა, კატალონიელთა არც ერთ ლიდერს თამაში არ წაუვიდა, **ლიონელ მესის** თამადობით. არგენტინელმა მატჩი პირწმინდად ჩააგდო.

მეორე ტაიმში სურათი რადიკალურად შეიცვალაო რომ ვთქვათ, მოვიტყუებით. კატალონიელებს მინიმუმ გოლი სჭირდებოდათ, რადგან თამაში დამატებით დროში მაინც გადაეყვანათ, მაგრამ... „ჩოლოს“ ცენტრი მთლიანად გადაკეტილი ჰქონდა და „ბარსას“ ფაქტობრივად არაფერი გამოსდიოდა, ფლანგებიდან იერიშებს კი ხეირი „ვისენტე კალდერონის“ სტუმრებისთვის არ მოუტანიათ.

ტიკი-ტაკას კი ამ შეხვედრაში „ატლეტიკო“ უფრო თამაშობდა, ვიდრე „ბარსელონა“ და მატჩი **ხერარდო მარტინოს** გუნდის ფიასკოთი დასრულდა.

სხვათა შორის, „ტატამაც“ და სიმეონემაც მხოლოდ ორ-ორი ცვლილება გააკეთეს. პრინციპში „ბარსას“ თავკაცისგან, რომლის გუნდიდან წასვლაც ამ მარცხის მერე კიდევ უფრო რეალური გახდა, ამას მიჩვეულებიც ვართ. თუმცა მარტინო მეტს ვერც ვერაფერს იზამდა - **ალექსის სანჩესი** და **პედრო** გაიყვანა, მაგრამ შესაძლოა ვინმე უკმაყოფილო იმით დარჩენილიყო, რომ მან **სესკ ფაბრეგასი** და **ანდრეს ინიესტა** გაიყვანა და ვა-ბანკზე არ წავიდა.

ასეა თუ ისე, უფრო გამოცდილ არგენტინელ სპეციალისტს ახალგაზრდა თანამემამულემ სძლია. სიმეონე ქებადიდების მეტს მართლაც არაფერს იმსახურებს. მეორე ტაიმში „ჩოლომ“ ბურთის დამჭერები შეუშვა, დიეგოსა და **კლემენტე როდრიგესის** სახით და კატალონიელებს ბოლომდე დაუხშო თამაში. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი მატჩი მასპინძელთა კარნახით მიმდინარეობდა. ბურთი „ბარსას“ კი ეჭირა, მაგრამ რა ხეირი.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ამ გუნდებს ყველა ტურნირზე ზედიზედ 4 ფრე ჰქონდათ ნათამაშები და იქამდე „ბარსას“ მიჯრით 6-ჯერ ჰყავდა დამარცხებული „ატლეტიკო“, მაგრამ „როხიბლანკომ“ ნავსი გატეხა და ფინალამდე ერთი ნაბიჯია. ნახევარფინალში კი ორი მადრიდული გუნდია...

**გიორგი პაპაშაძე**



## ამბები

### ბექჰემის ახალი ბიზნესი

ინგლისის ნაკრების ყოფილი კაპიტანი **დევიდ ბექჰემი** ბიზნესზე სერიოზულად გადაერთო. მოგეხსენებათ, რომ ის მაიამიში საფეხბურთო კლუბის მესაკუთრეა, რომელიც ამერიკულ ლიგაში რამდენიმე წელში გაწევრიანდება. იქამდე კი 38 წლის ვეტერანი ფეხბურთელი არც სხვა საქმიან გარიგებებზე ამბობს უარს. ბექსი და სახელგანთქმული მენეჯერი **საიმონ ფულერი** (სპაის გელზი, **ენი ლენოქსი, ემი ვაინჰაუზი, ჯენიფერ ლოპესი, ენდი მარი, ლუის ჰემილტონი**) ამიერიდან შოტლანდიური ვისკის საკუთარი ხაზის მფლობელები არიან. ალკოჰოლურ სასმელს „ჰაიგ კლაბი“ ერქმევა და ბაზარზე 65 ამერიკულ დოლარად გაიყიდება.

### რამირესი წასვლას გეგმავს

„საუთჰემპტონის“ 23 წლის ურუგვაელი ნახევარმცველი **გასტონ რამირესი** ზაფხულზე კარიერის გასაგრძელებლად იტალიურ ვარიანტებს ელოდება, - ინფორმაციას ადასტურებს ფეხბურთელის აგენტი **პაბლო ბეტანკური**. 2012 წლის ზაფხულზე „ბოლონიიდან“ მისი გადაბირება „წმინდანებს“ 13.5 მილიონი ფუნტი დაუჯდათ, თუმცა სამხრეთამერიკელმა ვერ მოახერხა ძირითადში ადგილის დამკვიდრება. მიმდინარე სეზონში კი **მაურისიო პოჩეტინიომ** სასტარტოში ის მხოლოდ ორჯერ ათამაშა. *„თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ „საუთჰემპტონში“ გადასვლა შეცდომა აღმოჩნდა. ჩემი კლიენტი თითქმის არ თამაშობს, ამის გათვალისწინებით კი მისგან რაიმე სარგებლის მიღებაზე ლაპარაკი სასაცილო ხდება. გასტონი იტალიაში თავს ბედნიერად გრძნობდა და მოხარული იქნება, თუკი აპენინელები მას სამსახურს ისევ შესთავაზებენ,“* - აცხადებს რამირესის აგენტი.

### ლიონიდან იუნაიტედში?

აქამდე ცნობილი იყო, რომ „ლიონისა“ და საფრანგეთის ნაკრების 25 წლის ცენტრალური ნახევარმცველის **მაქსიმ გონალონის** გადაბირებას მომდევნო სეზონისთვის „ნაპოლი“ და „არსენალი“ გეგმავდნენ. ბრიტანული პრესის მტკიცებით, ბრძოლაში უკვე ჩაება „მანჩესტერ იუნაიტედიც“, ვინც ნახევარდაცვის სერიოზულად გადახალისებას გეგმავს.

### ლასანა დიარა ჯიჰადისტი არ არის

საინფორმაციო სააგენტოებმა ბრიტანულ „დეილი მირორზე“ დაყრდნობით გაავრცელეს ცნობა, რომ „ჩელსის“, „არსენალისა“ და „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი, 29 წლის **ლასანა დიარა** სირიაში შეიარაღებული ოპოზიციის მხარეს საბრძოლველად გაემგზავრა. ასეთმა ხმებმა ფეხბურთელი და მისი აგენტი ძალიან გააღიზიანა. უკანასკნელის თქმით, ლასანას ფიქრადაც კი არ გაუვლია რელიგიური მოსაზრებების გამო ომში წასვლა, ამჟამად ის მოსკოვში „ლოკომოტივის“ განკარგულებაში იმყოფება და მაქსიმალურად ცდილობს მარტის შუა რიცხვებში მიღებული ტრავმის განკურნებას.

### ნიუკასლი დე იონგს გამოისყიდის

„ნიუკასლი“ „მიონხენგლადბახიდან“ იჯარით აყვანილი **ლუკ დე იონგის** გამოსყიდვას აპირებს, - წერს „დეილი ექსპრესი“. გამოცემის მტკიცებით, „კაჭკაჭები“ მზად არიან, 23 წლის ჰოლანდიელში გერმანელებს 8 მილიონი ევრო გადაუხადონ. აქვე გეტყვით, რომ დე იონგი „სენტ ჯეიმს პარკზე“ იანვარში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე 48 საათით ადრე გადავიდა, პრემიერლიგაში უკვე 10 თამაში ჩაატარა (7-ჯერ ძირითადში), თუმცა ჯერ გოლი არ გაუტანია.

**ლევან ბიბილაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608